


# მსუ



ლიტერატურული ჟურნალი №4 (31)  
მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე  
2016



ფარნა რაინა-80

# OLE

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

**ოლე** – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
**სულხან საბა**

**ოლე** – ახომი საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

**ოლე** – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

**მთავარი რედაქტორი**  
აკაკი დაუშვილი

**რედაქტორები:**  
ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-  
მართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტე-  
ტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**)  
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-  
პალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდ-  
რე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.

ჟურნალ „ოლეს“ საიუბილეო ნომრის  
გამოცემაში განუული თანადგომისათვის უღ-  
რმეს მადლობას მოვახსენებთ შ.პ.ს. „სერჰან-  
ტინის“ დირექტორს ბატონ **ზურაბ ფეიქრიშ-  
ვილს**.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №4 (31), 2016



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი




## შინაარსი

### მილოცვა

2. საქართველოს მწერალთა კავშირი, ირაკლი ქადა-  
გიშვილი, პლატონ კალმახელიძე, ალექსანდრე შა-  
თირიშვილი, მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე,  
დავით თედორაძე, თეიმურაზ ლანჩავა, ბალათერ  
არაბული, ჯემალ ინჯია, ავთანდილ ბერიძე, თამაზ  
ხმალაძე, თემურ ჩალაბაშვილი, ზაალ ბოტკოველი,  
ფიქრია ყუშიტაშვილი, აკაკი დაუშვილი, ნინო ყატაშ-  
ვილი, ბელა ქებურია, შოთა ზოიძე, მაყვალა მიქელა-  
ძე, ზინა სოლომნიშვილი, ოთარ ხუციშვილი, ნათია  
ბოტკოველი, ნუნუ ძამუკაშვილი, მარიამ კოზმანიშ-  
ვილი, ზურაბ არსენიშვილი, მერი ზაალიშვილი, გიორ-  
გი ნატროშვილი, მწერალთა ასოციაცია „ლიტერა-  
ტურული კახეთი“, ნინო დევიძე-ზუროშვილი, გურამ  
ურჩუხაშვილი, ლეილა თარალაშვილი, ჯუმბერ სა-  
ხეიშვილი, ჟიულენ ყარაულაშვილი, ჯუმბერ უთრუ-  
თაშვილი, ნელი ზუროშვილი, ლია დაუშვილი, ზურაბ  
(მარლენ) მარკოზაშვილი.

### პოეზია

31. **ფარნა რაინა**. კატრანეპი



2005 წელი, თელავი  
ფარნა რაინა — ერეკლე მეორის გამზირი,  
ჟურნალ „ოლეს“ რედაქციის წინ.

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფარნა რაინა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ფარნა!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის თელავური გუნდის ბურჯსა და წინამძღოლს, სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეულ ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1954 წელს შედგა, როცა რუსთავის საქალაქო გაზეთ „მეტალურგში“ პირველი ლექსი დაბეჭდეთ. მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში თქვენ თქვენთვის ჩვეული პატიოსნებით, დინჯად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდით და ემსახურებით მშობელ ქვეყანას, მშობლიურ მწერლობას, ქართულ ლექსს...

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი სტორის — თუშეთის ულამაზესი მდინარის პირას დგას და იქიდან ულამაზეს ფარდაგად გადაშლილ საქართველოს ლოცავს და ეს ლოცვა რაღაც ჯადოსნური ძალით დიდგორამდეც აღწევს, ბასიანამდეც, შამქორამდეც, ასპინძამდეც და კრწანისის სანახებამდეც. სტორი კი — ეს დამფრთხალი ულაცი ჭიხვინით გარბის ხევ-ხევ...

თქვენმა საუკეთესო ლექსებმა ერთ, მართლაც რომ სიფრიფანა კრებულში დაივანა, „თუშური მოზაიკა“ რომ ჰქვია სახელად. ამ კრებულს ძალუმად ატყვია ქართული ნიჭიერების კვალიცა და ერთგულებასთან შეზრდილი დიდი სიყვარულის ათინათიც. მისი გაცნობისას ყველა დაგვეთანხმება, რომ საქართველოა თქვენი უპირველესი საფიცარი და საესავი. თუში კაცის სიმტკიცითა და შეუვლობით ემსახურებით მამულს და მის სადიდებლად ალალ, პატიოსან სტრიქონებს აღავლენთ მაცხოვარის წინაშე. უშიშარსა და გულადს თუ რამ გაშინებთ, ის გაშინებთ, რომ ცოცხლად არ დავიმარხოთ ქართველები, ცოცხლად დამარხვა კი სირცხვილმა იცის, საკუთარ ფესვებს საკუთარი ნებითვე რომ გადაჭრი, საკუთარ რჯულს რომ უღალატებ, საკუთარ ტრადიციებს რომ გათელავ ფეხქვეშ, იმით გამოწვეულმა სირცხვილმა. თუ გემინიათ, სწორედ ამის გემინიათ, ჩვენო კეთილო და სამშობლოზე ფიქრში გათეთრებულ მეციხოვნე ივერთა მინისა.

თქვენი სახით კახეთს, საქართველოს ამ უმშვენიერეს ლიბოს, ერთი ღირსეული ჭირისუფალი ჰყავს, ხალხოსნების დარად რომ იღვწის, რათა ქართული სულიერება ჩქეფდეს ერეკლე მეფის ნაფუძარზე. სხვადასხვა დროს რედაქტორობდით გაზეთებს „კოლმეურნის ხმას“, „განახლებულ თუშეთს“, „ბახტრიონს“, იყავით აღმანახ „ალაზნის“ რედაქტორის მოადგილე. 2004 წლიდან ხელმძღვანელობთ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“...

მონიჭებული გაქვთ ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის სახელობისა და ჟურნალ „ოლეს“ პრემიები, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო ნოდება, ხართ ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ ლაურეატი.

წლები ვერარას აკლებს თქვენს პოეტურ შთაგონებას. არ დამცხრალხართ, არ დაოკებულხართ, არ შემოგკლებიათ ლექსის საფანელი. დღესაც გატაცებით ეძიებთ ქართული ლექსის ახალ გამომსახველობით საშუალებებს და ამის ჩინებული დასტურია თქვენი კატრენები, რომლებსაც სიძაბუნისა არაფერი ეტყობა...

ჩვენო ფარნა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საქართველოს გაბრწყინებას გისურვებთ.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

### საიუბილეო მილოცვა

მადლობას ვუხდით პოეტ ფარნა რაინას, რომელიც, წლების განმავლობაში დაუღალავად ზრუნავს და ემსახურება ერის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების აღორძინებას. მან საკუთარი შემოქმედებით უდიდესი წვლილი შეიტანა და დღესაც შეაქვს საქვეყნო ლიტერატურულ ცხოვრებაში. მე ვფიქრობ, რომ ყველა უნდა აფასებდეს ასეთ ღვაწლმოსილ შემოქმედს.

კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის სახელით, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარეს ფარნა რაინას ვულოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს.

*ირაკლი ქადაგიშვილი*

*კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი*



## გილოცავთ!

ჩვენს სახელოვან და ღვანღმოსილ პოეტს, ბატონ ფარნა რაინას 80 წელი უსრულდება. პოეტური სიტყვის ნამდვილი ოსტატი, ენერგიული და მზრუნველი რედაქტორი, დაულალავი მოღვაწე და ჩვენი ქვეყნის, მშობლიური მხარის ჭეშმარიტი პატრიოტი, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ინტელიგენტი და მამულიშვილი, ორატორი და, არაერთი პოეტური თაობის აღმზრდელი, — ასეთია: ჩვენთვის, ყველასთვის, საყვარელი ბატონი ფარნა, რომლის დიდი ძალისხმევით და ერთუზიანებით, დღემდე, აქტიურად ფუნქციონირებს ჟურნალი „ოლე“ და მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, სწორედ, ამ ჟურნალის ფურცლებზე, გულითადად მივულოცო იუბილარს ეს, — არაჩვეულებრივი თარიღი, ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, რათა, კვლავაც არაერთი პოეტური ნაწარმოებით გაახაროს საკუთარი მკითხველი და მისი ნიჭის თაყვანისმცემელი!

გილოცავთ, ბატონო ფარნა, იხარეთ და იღლებრძელეთ მრავალჟამიერ!..

**პლატონ კალმანელიძე**

*თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მერი*

3



## ბატონ ფარნა რაინას

ნიჭიერი და ბუმბერაზი ადამიანების სამშობლოა ჩვენი თელავი. ამ ბედნიერებას ისიც ემატება, რომ სიცოცხლეშივე აღიარებს თელავი თავის ღირსეულ შვილებს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ბატონი ფარნა რაინა ბრძანდება მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე. იგი არის გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიების ლაურეატი. ქართული კულტურის ამგდარის მედლის მფლობელი.

ნამდვილად საამაყოა, რომ ჩვენ გვერდით არსებობს იმედად, ყოველდღე გვაქვს საშუალება მივესალმოდ მას, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, ვუსმენდეთ კაცს, რომელსაც პოეტური შთაგონების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ფარნა რაინა — ყველასთვის საყვარელი მწერალი დღეს თავის მაღლიერ მკითხველთან ერთად ზეიმობს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს! ბატონი ფარნა ხელოვნების ყოვლისმომცველ ბუნებაზე წერს და ეს შრომა უფასდება მკითხველის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. დღეგრძელობას გისურვებთ, ბატონო ფარნა! მრავალჟამიერ იყოს თქვენი ძარღვიანი პოეზია!

**ალექსანდრა შათირიშვილი**

*თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

## ბატონო ფარნა!

ოთხმოცს მიახლოებიხარ!

ამ ოთხმოციდან ექვსი ათეული სამშობლოს გულალალი სამსახურისთვის შეგინირავს, თუ რამ გდომებია, შენი ქვეყნისთვის და შენი ერისთვის გდომებია, ჩვენო ტკბილო და ერთგულო თანამებრძოლო.

რა სიმბოლურია, რომ პატარა კახის სატახტო ქალაქში მოღვაწეობ და შენი დიდი წვლილიც შეგაქვს იმ დიდ საშვილიშვილო საქმეში — რათა დიდი შემოქმედებითი ტრადიციების მქონე ულამაზეს და უმშვენიერეს თელავში ქართული სული, ქართული სულიერება არ ჩაკვდეს, არ გავერანდეს ბატონის სასახლე, რომელიც ჩვენთვის საქართველოს არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს...

რა მშვენიერი პოეტი ხარ, რა დიდებული ლექსებით დაგიმშვენებია ქართული პოეზიის სალარო, პოეტური აქსესუარების რა მშვენიერი ნაკადული მიგიერთებია ქართული დიდი პოეზიის დედამდინარისთვის. კატრენები, რომლებითაც ბოლო წლებში გაგვახარე, შენი მრავალნახნაგოვანი ნიჭიერების მშვენიერი დასტურია.

გილოცავ ლამაზ საიუბილეო თარიღს. იცოდე, შენ კიდევ დიდხანს დასჭირდები თელაველ პოეტთა რაზმს, დასჭირდები კახეთს, სრულიად საქართველოს დასჭირდები.

ღმერთმა გაცოცხლოს და გაბედნიეროს.

**გაყვალა გონაშვილი**

*საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე*

## პოეზიის გამწევი ხარი ხარ

ჩემო ფარნა!

60 წელია ერთმანეთს ვიცნობთ, 60 წელია შენი კარგი პოეზიის და შენი ჭეშმარიტი ერისკაცობის თვალყურისმდევნელი და ტაშისმკვრელი ვარ. ის რაც შენ ქვეყნისთვის გაგიკეთებია, იცოდე, ქვეყნისვე სიყვარულით გიბრუნდება და არამარტო ჩვენ, შენი მეგობრები, მთელი კახეთი და გონიერი საქართველო დგას რიგში, რომ მოგილოცონ სიჭარმაგის ასაკი.



ჩემო ფარნა, პოეზიის გამწვევი ხარი ხარ, უღალატო და უანგარო. ყოველთვის მაცნობდა შენს ლექსებში ჩაბუდეული, შენი სამშობლოს უილაჯო მდგომარეობით გამონვეული დიდი ადამიანური სევდა.

არ დაიღალო, გასწი ილიას გზით, გილოცავ ოთხმოციანელობას!

**შენი რეპაზ მიშველაძე**

*საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე,  
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი*

## ბატონო ფარნა!

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციისა და თქვენი მეგობარი ბათუმელი მწერლების სახელით მოგესალმებით და დიდი ქართული სამწერლო ოჯახის წევრს, პატიოსნებითა და სინდისიერებით გამორჩეულ უნიჭიერეს პოეტს გილოცავთ შესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში.

ბატონო ფარნა, უღამაზესი ქართულით გაჯერებული თქვენი ხმა თელავიდან მთელ საქართველოს სწვდება. თქვენ ბათუმისთვის ისეთივე ახლობელი და ძვირფასი ხართ, როგორც თელავისთვის. თქვენი ძარღვიანი ლექსი ყველგან ჭრის.

არ არის იოლი „ამ ეპოქის მდულარე დროში“ ადამიანმა იპოვოს თავისი ადგილი. თქვენ ეს შეძელით. იმიტომ შეძელით, რომ „სიბრძნის, სიკეთის, სიყვარულის“ მქადაგებელი ბრძანდებით. სადაც სარგებლისთვის ბრძოლა იყო გამართული, იქ თქვენი ადგილი არ გიძებნიათ. „უსასრულო ცხოვრების ომში“ იყავით ჩაბმული და მეშხანური წვრილმანებისთვის არ გეცალათ.

სიყვარულისთვის დრო მე არ მყოფნისო — ბრძანებთ და მთელი თქვენი ცხოვრება სიყვარულით არის სავსე. ამიტომაც მოიპოვეთ საყოველთაო აღიარება. თქვენი პოეზიიდან ბედკრული სამშობლოს ტკივილები მოედინება ამღვრეული ნაკადულებივით. თქვენ მათ დანმენდასა და გასპეტაკებას შეალიეთ მთელი ცხოვრება.

სულით და ხორციით, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი ბრძანდებით.

ასე ლამაზად გეცხოვროთ კიდევ მრავალი ათეული წელი. თქვენი კატრენებით თაობები ილამაზებენ სულს, „როცა დედამიწაზე ძალმომრეობის პარადია“.

ჩაუტეხელი ხიდი ხართ ნამყოდან მომავლის ნაპირებამდე.

მრავალჭამიერ, ბატონო ფარნა, მრავალჭამიერ.

სიყვარულითა და პატივისცემით,

**დავით თაღორაძე**

*საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის  
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე*

## ბატონ ფარნა რაინას

ქუთაისში (იმერეთში) მცხოვრები ქართველი მწერლები სიყვარულით მიესალმებიან ღვანლმოსილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ფარნა რაინას, ულოცავენ საიუბილეო თარიღს — 80 წლის შესრულებას. მიაჩნიათ, რომ ბატონი ფარნას სახით ქართულ მწერლობას ჰყავს გამორჩეული ხელწერის პოეტი, ორიგინალურად მოაზროვნე შემოქმედი.

რვა ათეული წელი შეალია ბატონმა ფარნამ ქართულ სიტყვასთან ბრძოლას, ოპტიმიზმით განსმჭვალული მისი პოეზია ყოველთვის იყო ხალხის სათქმელის მხატვრულად და ორიგინალურად გამოხატვის საშუალება.

ბატონ ფარნას დიახაც ეკუთვნის განსაკუთრებული პატივი და სიყვარული, რითაც იგი ხშირად ჯილდოვდება მკითხველისაგან და შვებას გრძნობს.

დროის არც თუ მცირე მონაკვეთში ბევრი სასიკეთო საქმე აკეთა, უშურველად დაიხარჯა ქვეყნის სამსახურში. იყო ერთგული პატრიოტი იმ ქვეყნისა, სადაც იშვა, იმ ხალხისა, რომელთანაც ყოველდღიური ურთიერთობა ძალას მატებდა და ენერგიას.

გვაქვს პატივი მივესალმით ხანდაზმულ იუბილარს, ვუსურვოთ ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებები, კვლავაც ახალი პრემიებითა და ჯილდოებით აღგვენიშნოს მისი მოღვაწეობა.

ბატონო ფარნა!

გვეამაყება თქვენთან მეგობრობა, გამორჩეული თქვენი პოეტური ხელწერა, ლაკონიზმი და სიტყვადახვეწილობა შესაშური მაგალითია, იმისა, როგორ უნდა ვწერდეთ, ვაზროვნებდეთ და ვცხოვრობდეთ.

იცოცხლეთ დიდხანს. იყავით მხნედ.

მრავალჭამიერ...

**თეიმურაზ ლანჩავა**

*საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე*





1956 წელი, რუსთავი.

რუსთაველ ახალგაზრდა მწერლებთან, თბილისელი მწერლები.

პირველ რიგში, მარცხნიდან მესამე — ფარნა რაინა, მეხუთე — იპოლიტე შავლობაშვილი. მეორე რიგში (სხედან), პირველი — ალაზა ხაიაური, მეოთხე — ოსი პოეტი ილია კავკაზი, მეშვიდე — რუსთავის ახალგაზრდა მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი — დოცენტი ილია მაისურაძე.

### ღვანულადი მწერალი

ჩვენს მეგობარს, გამორჩეულ მამულიშვილს, შესანიშნავ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს ფარნა რაინას 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი ფარნა ათეული წლებია კეთილსინდისიერად ემსახურება ქართულ მწერლობას, მისი ლექსები თანამედროვე პოეზიაში გამოირჩევა კეთილხმოვანებით, უშუალოებით, სისადავით, მაღალმხატვრულობით, რაც მკითხველის ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებდა და დღესაც იმსახურებს. მის ლექსებს არ მოჰკლებია ახალგაზრდული ენერჯია და გააზრება, სიახლეების ძიება, რითმის და რიტმის მრავალფეროვნება, რაც მას თავის კოლეგებში გამოარჩევს. თუშური ხალხური პოეზიის მაღლი და კახეთის შუქრდილები კარგად აირეკლება მის ლექსებში და განსაკუთრებულ სილამაზეს მატებს!

ვუსურვებთ ბატონ ფარნას, კვლავაც შემართებით ეღვაწოს სამშობლოს საკეთილდღეოდ და ქართული მწერლობის სადიდებლად!

ღმერთი გფარავდეს, ძმაო ფარნა!

დიდი პატივისცემით,

**ბალატიარ არაბული**

საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

### საიუბილეო მილოცვა

ფარნა რაინას

ვერ მივეახლოთ თუნდაც რომ პარნასს,  
ჩვენ ჩვენი ჯვარი მოთმენით ვზიდოთ.  
მოგესალმები ძვირფასო ფარნა,  
ოცდახუთი დღით შენ ჩემზე დიდო.

ეგ მოამაგე გული არ ცხრება,  
რომ ხალხს უღრუბლო ჰქონდეს გაისი.

ერის ტკივილთა გასაქარწყლებლად  
შენი ხმატკბილი ლექსიც გაისმის.

მინდა დაგლოცო — ცდუნებას ვძლიო —  
უტრაფარეტოდ და უდოგმატოდ:  
რამდენი ლოქოც მიაპობს იორს,  
ღმერთმა იმდენი წელი მოგმატოს.

**ჯემალ ინჯია**

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის  
(გორი) ორგანიზაციის თავმჯდომარე



## გლოცავთ, გვიჩადავთ!

მხოლოდ ბუნებით დიდ ადამიანზე იტყვიან — კაცური კაციაო! ამ სიტყვებში რაოდენი სიყვარულია ჩადებული, ახლომყოფელთა თვალსაწიერიდან უკეთ ჩანს.

ადამიანმა შეიძლება ასი წელიც იცოცხლოს, შეიძლება მეტიც, მაგრამ ამქვეყნად ღირსეული ვერაფერი დატოვოს, რადგან ხანგრძლივი სიცოცხლე არ ნიშნავს ბევრი კარგი საქმის კეთებას. თქვენ კი, ჩვენო დიდო და ერთგულო მეგობარო, მართლა კაცური კაცობის ეტალონო, ადამიანურად, კაცურკაცობითაც განვლეს მართლაც მძიმედ სავალი წუთისოფლის ლაბირინთები და 80 წელს ისე მოიყარე, თქვენს მიმართ მხოლოდ თბილი, ტკბილი სიტყვის მეტი არა გვსმენია რა, სიკეთის თესვა ხომ თქვენი მთელი შეგნებული ცხოვრების მთავარ კრედიტადაა ქცეული...

ფარნა ბატონო, ქართული სიტყვის დიდო ოსტატო და ხუროთმოძღვარო, თქვენი ლექსები და, მთლიანად, თქვენი შემოქმედება, თავადაა ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრების უტყუარი ბარომეტრი, რითაც ფასდებით და გვეამაყებით.

თქვენი ადრეული შემოდგომის ამ ნათელ, ცისმარე დღეებში, როცა საიუბილეო დღე დაგიდგათ და ღირსეულ პატივსაც მოგაგებენ როგორც თქვენი ახლობლები, მთელი კახეთის და, თვით დედაქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენცია, ათასობით ერთგული თაყვანისმცემელი, მე, საქართველოს ამ ძირძველი, ოდესღაც დიდი, გმირული წარსულის მქონე, გულზვიადი მონაპირე მხარიდან — მესხეთიდან, რუსთაველის ნააკვნარიდან, კერძოდ, ასპინძიდან, იქიდან, საიდანაც კიდევ უფრო გაბრწყინდა ამერ-იმერში „პატარა კახის“ — დიდი მხედართმთავრის ნიჭისა და გონიერების სიღიადე, თქვენ, იმ ფესვმაგარი და დიდი ტრადიციების მქონე ქართლ-კახეთის სამეფო დინასტიის მაღლიან მიწაზე მოღვაწე ჭეშმარიტ შემოქმედს, თავს ნებას ვაძლევ მოგილოცოთ ამაღლებული, მეგობრული სიყვარულით 80 წლის ღირსეული იუბილე.

სწორედ თქვენნაირი ღირსეული ადამიანების იმედზეა მტერ-მოყვრის მიერ ღირსებააყრილი საქართველოს მომავალი. თქვენნაირი ადამიანების ერთი ნაღდი სიტყვა ათასჯერ რომ გადასწონის იმ ვაიპოლიტიკანთა მთელ ცხოვრება მოღვაწეობასაც და მათ მიერ „ნაკეთებ საგმირო საქმეებსაც“. პოეტის სიტყვა ხომ ღმერთთან ლაპარაკია, რომელსაც ჩვენ, „მოკვდავნი ამა ქვეყნისანი“, უნდა აღვიქვამდეთ ვითარცა სანთელს წყვდიადის გასანათებლად... დიახ, პოეტის სიტყვა დროშაცაა, რომელიც მუდამ უნდა ფრიალებდეს, ნიშნად გამარჯვებისა და დღეს თქვენი ლექსები ჭეშმარიტად ამაღლებელი, ქართული აზროვნების ბრწყინვალე გამოხატულება, ის დროშაა, რომელიც დიდხანს იფრიალებს ამ დუნიაზე, რათა ჩვენმა ახალგაზრდობამ, მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რომ თქვენ — ფარნა რაინა, ეს 80 წლის ბერძუხა, ტაძარში დანთებული სანთელივით ინვით, რათა მომავალშიც გააცისკროვნოთ თქვენი თაყვანისმცემლების გულები.

გლოცავთ, გვეიმედებით, ჩვენო ერთგულო, უფროსო მეგობარო და გულითადად მოგილოცავთ ღირსეულ იუბილეს.

ჯანმრთელობა, ტანმრთელობა, სიბრძნე ნუ მოგშლოდეთ ან და მარადის!  
მეგობრობით.

**ავთანდილ ბერიძე**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი

## ბატონ ფარნა რაინას

ცოტანი შემხვედრიან ისეთი პოეტები, რომლებიც ისე ჰგავდნენ საკუთარ შემოქმედებას, როგორც ფარნა რაინა. ჩემთვის ახლა ძნელი სათქმელია ბატონმა ფარნამ დაიმსგავსა თავისი ლექსები თუ შემდგომში, თანდათანობით, ამ ლექსებმა კიდევ უფრო განწმინდა, გააცისკროვნა და გაამშვენებინა პოეტის სული, უფრო პირველი უნდა ვივარაუდოთ. სამწუხაროდ, ახალგაზრდობიდანვე არ ვიცნობდი ბატონ ფარნას, თორემ სავარაუდებელიც აღარაფერი იქნებოდა.

სულ მგონია, მისი ლექსების გამატერიალურება რომ შეიძლებოდა ისინი მთის ბროლებად იქცეოდნენ, ადგილობრივები, თუ სწორად მახსოვს, ბურბულაჭებს რომ ეძახიან. ასეთივე მთის ბროლად მესახება ფარნა რაინას შინაგნობაც — სპეტაკი, გამჭვირვალე, ზეციური ნათლით გასხვივსნებული.

80 წლისა შესრულებულა ბატონი ფარნა. ვულოცავ, ქედმოხრით ვესალმები და ვუსურვებ კიდევ ბევრი ოჩანი წელი გაეხედნოს.

**თამაზ ხმალაძე**

საქართველოს მწერალთა კავშირის სიღნაღის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე

## დაუდგრომელი სულის პოეტი

ფარნა რაინა განსაკუთრებული ხმის პოეტია, დაუდგრომელი საზოგადო მოღვაწე. სწორედ ასეთი შემოქმედნი ქმნიან ერის მაღალ კულტურას. მას თავისებური და დაუვიწყარი სათქმელი გააჩნია...

დიდხანს იცოცხლოს ჩვენმა ძვირფასმა ბატონმა ფარნა რაინამ და მისმა მუხლჩაუხრელმა ლექსმა, მისმა ეროვნული სულით გაჟღენთილმა პოეზიამ.

პატივისცემით, უფროს კოლეგას.

**თამურ ჩალაგაშვილი**

პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე



## ქართული სიტყვის მეციხოვნე

80 წლისა შესრულებულხარ ჩემო უფროსო ძმაო და მეგობარო.

რა გითხრა, რით გაგახარო?

შენს ლექსს გაუმარჯოს, თავანკარა ქართულით რომაა გაჯერებული, შენს კაცობას გაუმარჯოს, რომლის ლიბოს ქართული პატიოსნებით გაპოხილი მეოთხმოცე ლოდით რომ აქვიტკირებ.

მართლაც რომ ჩინებული პოეტი ხარ და არაერთხელ გაგიხარებევართ მართალი და გულშიჩამწვდომი სტრიქონებით.

როგორ შეგიძლია დაინახო, თუ როგორ ხრავენ ლაგამს ყალყზე შემდგარი ჩანჩქერები, როგორ ძალგის ცის გუმბათზე მოკიაფე მინანქრების გარჩევა?! რაც თავი გახსოვს, სულ მუხლმოდრეკილი ლოცულობ უფლის საკურთხეველთან და კვლავ და კვლავ ავედრებ არსთაგამრიგეს ცოტნეს მოგიზგიზე გულს, ბერი თევდორეს ნარეკლიან გზებს, პატარა კახის უკვდავებასთან წილნაყარ სიდიადეს, წმინდა ქეთევანის დაშანთულ მკერდს.

თუ რამ გალალებს, გალამაზებს, გამდიდრებს, გავსებს, იმას ქართულად ერთი სიტყვა – სამშობლო ჰქვია და ამითა ხარ ბედნიერი და ამაყი.

ვის ვის და შენ კარგად მოგეხსენება, რომ ქართველობა უფლის რწმენამ, სიყვარულმა და მზე-პოეზიამ გადაგვარჩინა.

ამიტომაც ებრძვი ხმალამოლებული ყველა უკეთურს, ქვეგამხედვარს, ბოროტებისა და სიბილნის მსახურს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ქართული სიტყვის მსახურო და მეციხოვნე.

ღმერთმა დიდხანს, ძალიან დიდხანს გატაროს შენს მამულში, ღმერთმა შენი დიდი გამარჯვებები გამაგონოს მუდამ.

**ზაალ გოტკოველი**

*საქართველოს მწერალთა კავშირის  
საორგანიზაციო განყოფილების უფროსი*

## გილოცავთ იუბილას

ბატონ ფარნა რაინას საიუბილეო წელი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, მისი პოეზიის თაყვანისმცემელთ და რიგით მკითხველთ კიდევ ერთხელ გვაქვს შესანიშნავი საბაბი, ვისაუბროთ მასზე, მის პოეზიასა და მოღვაწეობაზე და ამასთანავე გვეძლევა შესაძლებლობა საჯაროდ მივულოცოთ, ბევრი თბილი სიტყვა და ემოცია გამოვხატოთ იუბილარის მისამართით და დიდხანს სიცოცხლე, მხნეობა და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ქართული პოეზიისა და თელავის ლიტერატურული ცხოვრების საკეთილდღეოდ, რამეთუ ბატონ ფარნას ჭეშმარიტად აქვს უფლება გაიმეოროს გოგლა ლეონიძის სიტყვები: „მშობელ მინაში მიდგას ფესვებიო!“

აუნონავია მისი დამსახურება თელავის, კახეთის და არა მხოლოდ მშობლიური მხარის ლიტერატურის განვითარების წინაშე, ჯერ მარტო შესანიშნავი ჟურნალი „ოლე“ რად ღირს. დაულალავი, ენერგიული და ჭაბუკურად მიზანსწრაფული აროდეს იხევს უკან, როცა საქმე ლიტერატურისა და მისი საყვარელი პოეზიის ინტერესების დაცვას ეხება, რადგან კარგად იცის, რომ „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ხოლო ქვიშანი დარჩებიან“ და უნდა დარჩნენ კიდევ!

ბატონო ფარნა! გილოცავთ და გვინდა მუდამ გვახმიანებდეთ თქვენი სიტყვაკაზმული რიხიანი შეძახებით, რადგან ამჩვენს გაუსაძლის, პატივაყრილ და პრაგმატულ დროში საზოგადოებას ერთობ სჭირდებათ თქვენისთანა პოეტური სულის რომანტიკოსი რაინდები, რომელთაც აქვთ უფლება უბრალო მოკვდავთ შეახსენონ ღვთიური ჭეშმარიტება: „იმდენჯერ ვკვდებით, რამდენჯერაც ღირსება კვდება!..“

**ვიჟარია ყუშიტაშვილი**

*თელავის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი*

## პროფესიონალი!

პოეტთა და ხელოვანთა დიდი უმრავლესობა საუკეთესო ნაწარმოებებს ახალგაზრდულ ასაკში ქმნიან. იშვიათად, მაგრამ არიან პოეტები, რომლებიც სიჭარმაგეშიც ნერუნ გენიალურ ლექსებს. ბატონი ფარნა ასეთთა რჩეულ რიცხვს განეკუთვნება.

გასაოცარია 80 წლის ასაკში ახლის ძიების ამგვარი დაუცხრომელი ნადილი — ამის თვალსაჩინო დასტურია მისი კატრენები. დარწმუნებული ვარ, ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ბატონ ფარნას 85 წელი შეუსრულდება, მის შემოქმედებაში კიდევ რალაც სიახლის მომსწრენი გავხდებით.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდობიდან მოკიდებული ვიდრე დღევანდელ დღემდე დაწერილ ლექსებში





სუსტი ლექსის პოვნა თითქმის შეუძლებელია, რაც მისი პროფესიონალიზმის საუკეთესო დასტურია. ბატონი ფარნა პოეზიის დიდი პროფესიონალია.

ცალკე სათქმელია ფარნა რაინას დაუცხრომელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა — პირადულზე უარის თქმა და საქვეყნო საქმის პატრონობა. საკუთარ დაუსტამბავ ნიგნებზე ზრუნვის ნაცვლად, ბატონი ფარნა წლების მანძილზე ჟურნალ „ოლეს“ გამოსაცემად ხმალშემართული იბრძვის და მისი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა „ოლეს“ არსებობა.

ბატონო ფარნა, დარწმუნებული ვარ თქვენს 100 წლის იუბილესაც ბრძოლის უნით, ვაჟკაცური შემართებითა და შემოქმედებითი ხელხვაჯიანობით შეხვდებით.

**აკაკი დაუშვილი**

*ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი*



## **ვულოცავთ!**

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ სახელით 80 წლის იუბილეს ვულოცავთ სახელოვან პოეტს ფარნა რაინას.

ჩვენი ურთიერთობა თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის (რაც დამოუკიდებელი მწერალთა გაერთიანებები შეიქმნა 90-იან წლებში) და მას მერე მუდმივად ვგრძნობთ მის ყურადღებას და თანადგომას, როგორც უფროსი და უფრო გამოცდილი კოლეგისა და ამასთანავე გულითადი მეგობრისა.

ბატონი ფარნა არის ყველა ახალგაზრდა ავტორის გულშემმატკივარი და ღირსეული დამკვალთანებული, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებებს.

და კვლავ, დედოფლისწყაროელი მწერლების სახელით, გულითადად ვულოცავთ ბატონ ფარნას 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და მუზათა სიმრავლეს, რასაც დარწმუნებული ვართ, პოეზიის მოყვარულთა გასახარად, ჯერ არ უჩივის.

**ნათო ყაბაშვილი**

*დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია  
„ფიროსმანის“ თავმჯდომარე*

## **ბატონ ფარნა რაინას**

*ჩვენს სათაყვანო უფროს მეგობარსა  
და დიდებულ ადამიანს*

ვულოცავთ უფროს მეგობარს,  
პოეტთა მეინახესა,  
ჯერ სამოცის არ გვეგონა,  
თურმე ოთხმოცმა გაკვესა.  
უფლის შვილია, პოეტი...  
ვერცხლით შემოსილ ჭაღარით,  
არ უნდა მიეთ-მოეთი,  
სიტყვას შვილივით დაჰხარის.  
მოკალმასეა რჩეული,  
(ვერცხლიც ღვთის წილად ითვლება),  
მისი ლექსების რვეული,  
ფრთებით აზიდეს ჩიტებმა...  
და უფლის ტახტთან გაფინეს,  
თვალ-მარგალიტად რჩეულად,  
ლალი ფერს ჰმატებს საფირონს,  
სიტყვაში გამომწვევდელა.

უებრო სიტყვა-პასუხის  
დაულალავი ოსტატი,  
მომკითხველია მეგობრის,  
პატრონი ტკბილი ოჯახის...  
ტოროლა გალობს, ნკრიალებს,  
მისი ლექსების ნოტებზე —  
ისეთ სიმღერას — მზის ალზე,  
თითქოს ფოლადი მოკვერეს.  
სულ სიყვარულით სავსე აქვს  
გული, სული და თვალეტი,  
უყვარს ღმერთი და სამშობლო,  
მრავალ ჭირ-ნავალალები.  
ოთხმოცი წელი რა არის,  
ასეთ ღირსეულ კაცისთვის,  
ასს ისე გადააბიჯებს,  
მგონი 110-იც დაიცდის!

სიყვარულით, მონატრებით, საუკეთესო სურვილებით.

**აკაკი დაუშვილი**

*პოეტი-აკადემიკოსი, ილია ჭავჭავაძის,  
ზურაბ გორგილაძის,  
მარიკა ბარათაშვილის, „პოეზიის დღე — შოთაობის“,  
„ოლესა“ და „უქიმერიონის“ პრემიების ლაურეატი*





1989 წელი.

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ქალაქ ახმეტაში; მარცხნიდან: პირველი — ლადო მრელაშვილი, მეორე — შოთა ხოდაშენი, მესამე — ფარნა რაინა, მეოთხე — ლევან სანიკიძე, მეხუთე — მედეა კახიძე, მეექვსე — მუხრან მაჭავარიანი, მეშვიდე — ხალხური მოქმელი — იოსებ ლონგიშვილი.

### საზზაა ბათუმი-თელავი!

ძმაო ფარნა, მოგესალმები მაგნოლიების ქალაქიდან. დიდმა ვაჟა-ფშაველამ თელავს კახეთის ფილტვი უწოდა. ამაში თელავის ლიტერატურული ბოჰემაც და თანამედროვე ქართული მწერლობის თელავური შენაკადი იგულისხმება. შენც მისი თვალსაჩინო წევრი ხარ.

გულით გილოცავ დაბადების დღესა და საიუბილეო თარიღს. გისურვებ დაუშრეტელ ენერჯიას. ჩემი გულითადი მოკითხვა შენს ოჯახსა და ყველა ჩვენს თელაველ კოლეგას. არასოდეს დამავინცდება თელავში, თქვენს გვერდით, გატარებული დღეები.

ახლაც საზზაა ბათუმი-თელავი!

შოთა ზოიძე  
ბათუმი

### საიუბილეო მილოცვა კვირვას მემოზარსა და პოეტს — ფარნა რაინას

წელს ცნობილ ქართველ მწერალს, მრავალი პოეტური კონკურსების გამარჯვებულს, ბრძნული კატრენების დიდოსტატს — ფარნა რაინას — დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. საერთოდ, პოეტების ცხოვრების წელთა ათვლა, ალბათ, პირველი პოეტური სტრიქონის დაწერიდან უნდა იწყებოდეს, მაგრამ, რაკი ეს უფლის რჩეული ადამიანები პოეტებად იბადებიან, მათი ასაკიც, ალბათ, დაბადებიდან უნდა ავითვალოთ.

ფარნა რაინა პოეტად არის დაბადებული.

პოეტია ის თავისი შინაგანი ბუნებით, სიკეთის მსახურების შეუწყვეტელი სურვილითა და ბრძნული აზრისა თუ დახვეწილი რითმის მისეული გამორჩეული ჰარმონიით. მან თავის ღრმავაროვანსა და დახვეწილ კატრენებში „სიტყვას სიცოცხლე მისცა, სულიც, გულიც და მზის ნათებაც სტრიქონში ჩადო.“

კითხულობ სიკეთითა და სიბრძნით სავსე მის კატრენებს და უნებლიეთ გაგონდება ქართველი ბრძენკაცის — პავლე ინგოროყვას — შორსნიშნაანი კითხვა: „ — დახვეწილი პოეზიაც რელიგიასავითააო იქნებ?“

— დიახ, რელიგიასავითაა სწორედ ფარნა რაინას დახვეწილ სტრიქონებში დავანებული სიკეთის გაბედული საგალობელი, სიცოცხლისა და სიყვარულის ეგზომ მომხიბლავი იდილია.

რა ბედნიერები ვიქნებოდით თურმე ადამიანები, თუ მხოლოდ სიკეთეს მოვუყრიდით ერთად თავს! სწორედ ამის გაცნობიერებაში გვეხმარება ფარნა რაინას საოცარი წყობილსიტყვაობით გამორჩეული პოეტური ქმნილებები. თითოეული კატრენი ბრძნული სიტყვაა, გენიალურ შემოქმედს ქინძისთავზე რომ მოუთავსებია.

არჩევანი ჭირს, კატრენები თავისი ბრძნული შინაარსით ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. აი, რა სულგრძელად გაუნანილებია სიკეთე ბრძენ მეღექსეს ერთ-ერთ კატრენში:

„...ღმერთო, ამყოფე  
ყველა



ჩემზე  
ათასჯერ უკეთ,  
მაშინ ვიქნები  
ბედნიერი  
ათასჯერ უფრო...“

მერე რაა, რომ წლები გასულან, ბედნიერი შემოქმედი მზადაა კიდევ დიდხანს ემსახუროს უანგაროდ სალოცავ ხატადქცეულ სამშობლოს, კვლავაც გაუძღვეს ხალხს სიკეთისა და სინათლისაკენ:

„...უუნინარეს  
ეს იქნება  
ვედრებაც,  
ლოცვაც,  
ისევ  
„სამშობლო“ წამომცდება  
სამარის კართან“.

სულითა და გულით ვულოცავთ საამაყო მეგობარსა და პოეტს საიუბილეო თარიღს!  
მხნედ, ძვირფასო ფარნა რაინა! ადამიანთა გულების ჯერ კიდევ რამდენი კუთხე-კუნჭულია პოეზიის სიბრძნისა და სიკეთის მადლით გასასხივოსნებელ-გასანათებელი.

*მაცვალა მიქელაძე*  
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

## გილოცავთ...

მკითხველის დასაინტერესებლად ძალიან დიდი პოეტური ნიჭია საჭირო; სიღრმისეულ ცოდნას უნდა ფლობდე პლანეტის, ისტორიის თუ ბუნების მოვლენების შესახებ. მართლაც ვიზუალური ლექსიკონივით არის ასხმულ-ამძივებული ყოველი ლექსი ბატონ ფარნა რაინას პოეზიაში.

ასეთი სიზუსტე რითმების, ასეთი მუსიკალობა, ასეთი გრადაცია, ასეთი ევფონია... ამდენი მონორიმი.

ეს ყველაფერი გამორჩეულთა ხვედრია... და ეს ხვედრი ერგო პოეტ ფარნა რაინას.

პოეტმა კარგად იცის, რომ თვით უნდა გქონდეს რწმენა, რომ სხვა დაარწმუნო, თვით უნდა იყო მართალი, რომ სხვას სიმართლეზე ესაუბრო, თვით უნდა იყო დიადი, რომ სხვისი სიდიადე გაიგო, თვითონ უნდა ამოგდიოდეს გულიდან მზე, რომ სხვა გაანათლო და გაანათო, სხვის გულში, — სიკეთის სხივები მიაშუქო...

მისი კატრენი „დიადი“ ამის მკაფიო დასტურია:

სულიც და  
გულიც  
აზრს უნდა მისცე,  
დაპურდე, —  
უფლის სიბრძნის  
ხშიადით...  
ვერ-რით შეწვდები  
დიადის სივრცეს,  
შენ,  
თუ,  
არა ხარ, —  
თვითონ  
დიადი...

მას კარგად მოეხსენება, რომ წუთისოფელი წარმავალია და გასაკვირი არც ტახტია და არც სიმდიდრე და ბრძანებს:

თუ, გამაკვირვებს —  
ვინმე,  
როსმე,  
მხოლოდ —  
ღირსებით... (ლექსში: „თუ, — გამაკვირვებს“)  
და პოეტს ერთი, დიდი ნადილი აქვს:

## ნადილი...

მთა — ატყორცნილი  
სინდისის დროშით, —  
მწვერვალთ  
მწვერვალიც,  
ვინ თქვა —  
უბაროდ?!..  
უსამანო და...



უსაზღვრო დროში,  
არ მსურს:  
თოვლივით დავდნე, —  
უბრალოდ...  
გილოცავთ, ბატონო ფარნა, ამ დიდებულ და ლამაზ იუბილეს, — 80 წლისთავს. მკითხველის სიყვარული ნუ მოგაკლოს ღმერთმა. გისურვებ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს, სულ ჯანმრთელად და ბედნიერად ბრძანდებოდე! დაგილოცავ თქვენ ლამაზ ოჯახს... გისურვებ მრავალი წიგნის გამოცემას.

**ზინა სოლომონიძე**  
პოეტი

## უფლის გზით მავალი პოეტი

ძმაო ფარნა, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ბოლო პერიოდში შენი ათაპაპისეულ გვართან (რაინა) დაბრუნება როგორღაც დამაბნევს და ჩვენს მიერ ნატიფად ნაგებ მეგობრობას ერთგვარად გააფერმკრთალებს. არა, ეს არ მოხდება, მით უფრო, რომ ამ ძმობასა და მეგობრობას ქართულ ჟურნალისტიკაში ჩვენს მიერ ოფლმონურული არა ერთი და ორი წელიწადი ასაზრდოებს.

ახლაც გუშინდელივით მახსოვს, გაზეთ „ბახტრიონის“ მორიგ ნომერზე მუშაობისას, შენი ღმერთთან იდუმალი მეგობრობის თაობაზე სიტყვა რომ ჩამოგიგდე, როგორი „დარცხვენილი“ გულწრფელობით ამიხსენი:

— აბა როგორ, ძმაო, მე პოეტი ვარ, უღმერთო პოეზია კი, მითხარ, სად გაგონილა? მე პირადად დღეში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც ავდივარ ცაში უფალთან, ვემთხვევი ხელზე და კაი გვარიანად დაზურგული ვბრუნდები ამ ცოდვა-მადლით გაძედილ დედამინაზე.

— კი მაგრამ, ამდენი რა მოგაქვს? — დავინტერესდი.

— სიკეთე, სინათლე და ბედნიერება, ძმაო, ლექსებად აკინძული.

— აგაშენა ღმერთმა, — ვინერ პირჯვარს, — მაგრამ რახან ეს გამიმხილე, იქნებ ისიც მითხრა, მზესთან როგორღა ხარ? უფლის მესტუმრე, გზადაგზა, მზესაც ხომ არ შეუვლი ხოლმე?

— გამოიცანი, აბა უმზეოდ როგორ ვიქნები? ჩემთვის უფალი იგივე ნათელია მზისა, ხოლო ნათელი, — იგივე უფალი. უუფლოდ და უმზეოდ ვერც ჩემი სიცოცხლე იქნება და ვერც ლექსი. „მშვა ღმერთმან, სადაც — მზე მკოცნის ახლაც, თავს მღერით იკლავს სად იადონი, სადაც ღირსების საზომი გახლავთ: საქმენი — საღვთო, სადიადონი“ — წაილილინა მგოსანმა.

უფალი და მზე ფარნა რაინასთვის, როგორც თვითონ ამბობს, რწმენისა და სიცოცხლის სიმბოლოებია. ისინი — მზე და უფალი და კიდევ მინიერი ყოფის გაკეთილშობილების სურვილი, ასაზრდოებენ პოეტის მუზას. მკითხველს მოსწონს პოეტის მოქალაქეობრივი პათოსი, მისი სიბრძნე და ჭეშმარიტების წვდომის უშრეტი წყურვილი, უწმინდურობისა და უზნეობისადმი შეურიგებლობა, რაც ასერიგად სჭირდება ზნეობრივი ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე მდგომ კაცობრიობას.

სწორედ საკაცობრიო ცივილიზაციის ჩანჩქერში მოქანავე დღევანდლობამ უბიძგა ფარნა რაინას, ფრიად საჭირო, სასიცოცხლო წამალივით სათქმელი „დაეყურსა, აზრით დაეხუნძლა, რამდენიმე სტრიქონში ჩაეჭუჭკა“ (მისი სიტყვებია), „კატრენები“ დაერქვა და საჭაშნიკოდ მკითხველისთვის შეეთავაზებინა. აკი დააგემოვნა კიდევ მკითხველმა პოეტის მიერ სტრიქონებად ჩამოსხმულ ლექსებში სხარტად, ლაკონურად ჩატეული სიბრძნე და დიდად ნასიამოვნებაც დარჩა.

რატომაც არ დარჩებოდა. ღვთისნიერი კაცია ჩვენი ფარნა რაინა, უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ლექსში და სხვებსაც აქეთკენ უბიძგებს. „მე უფლის გზით სიარულს გისურვებთ! — მოუწოდებს ის ახალგაზრდა მწერლებს — და დაგლოცავთ, რომ თქვენი შემოქმედება იყოს: არა — სატანისეული, ბოროტი მაკულატურა, არამედ — ქართველი ხალხის საკადრისი საგანძური, მარადიული მეკვლე, — სიბრძნის, სიკეთის, სიყვარულისა და სიდიადისა“.

უფალმა გისმინოს ჩვენო 80 წლის იუბილარო, ძმაო ფარნა. დაე, უშრეტად იდინოს შენმა თავანკარა პოეზიამ ქართველთა გულებში.

**ოთარ ხუციშვილი**  
მწერალი, ჟურნალისტი

\*\*\*

საქართველოს პოეზიის რუკაზე კახეთს, ჩვენს დიდებულ კუთხეს, განსაკუთრებული ადგილი უკავია. მკითხველი ნუ იფიქრებს, თითქოს ამ სიტყვებით მსურს მხოლოდ წარსული დროის პოეტებს მივავო პატივი. საამაყო წარსული მემკვიდრეობა, ასევე საამაყოდ გააგრძელეს თანამედროვეობის პოეტებმა, მათ შორის, ფარნა რაინამ, რომლის კალამი ყველაზე მძიმე წლებშიც არ გაჩერებულა. „ოლეს“ ერთგული მკითხველი უკვე გაეცნობოდა ბატონ ფარნას მიერ შემოთავაზებულ დახვეწილ და ორიგინალურ კატრენებს.

კატრენი ერთგვარი სალექსო ფორმაა, მცირე ზომის, დამოუკიდებელი თემითა და მონაცვლეობადი გართმვის შესაძლებლობით. ბატონი ფარნას კატრენები გამოირჩევა ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულობით, რითმით, რიტმით ასევე სხვა მრავალი ასპექტით, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ბოლო დროს გავრცელებული მოსაზრების თანახმად პოეზიაც სამყაროს ტემპს აჰყვამ — აჩქარდა. პოეტურ ნაწარმოების ექსპრესიულობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, პირველი, ესაა ალიტერაცია:



## ნალმა წარგვიძღვეს

ნალმა  
წარგვიძღვეს, –  
წესით,  
წყენას –  
წარხოცდეს  
წყრომით:  
წილკანი,  
წყაროსთავი,  
წულრულაშენი,  
წრომი...

ანდაც:

ცხრანყაროს ვფიცავ,  
ვფიცავ –  
ცხუმარს,  
ცხუმალდს და  
ცხრუკვეთს...

დავაკვირდეთ „წ“ და „ც“ ბგერის გამეორებას მოყვანილ ლექსებში, ალიტერაციას აშკარა ექსპრესიული-ბასთან ერთად ემოციურობაც შემოაქვს. ალიტერაცია გვხვდება ასევე სათაურებშიც, მაგალითად: „ცერცეტი, ცრუ და ცანცარა“.

ექსპრესიას აძლიერებს ლექსიკური და სემანტიკური გამეორების მხატვრული ხერხებიც:

...მწამს მოდერნიზმი

ზეახლის,  
ზესვლის და  
წინსვლის...

და...

არასოდეს,  
არასოდეს –  
კარგის დამხოვის...

ანდაც:

დრო –  
მიდის,  
მირბის,  
ქარად სხვა მორბის...

კატრენების კითხვისას აუცილებლად დაგჭირდებათ დაკვირვება და გააზრება, ეს არ არის „ამხანაგთა სათრეველად“ ანუ გასართობად დანერგილი ლექსები. რუსთველი გავიხსენეთ და არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი ფარნას შემოქმედება ეროვნულ მემკვიდრეობაზე დგას, ამას ადასტურებს როგორც ალუზიები ქართველ დიდ მგოსნებთან, ასევე მათი ენის გაცოცხლება და გააქტიურება, ეს უპირატესად უნდა აღინიშნოს „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით, ბატონი ფარნა ხშირად იყენებს რუსთველისეულ ან საბას ლექსიკონში შენახულ სიტყვებს იმისათვის, რომ გვახსოვდეს, არ დაგვარგოთ, არ გაგვიუცხოვდეს (მაგ: „ნასი, საზეო“ – რუსთველი, „წმახი“ – საბა).

ლექსიკაზე საუბრისას არ შემიძლია, არ გამოვყო ოკაზიონალიზმები და კულტურული რეალიები, პირადად ჩემთვის უცხო იყო „რქაჟანგიანი ხარის“ სახე, რომელიც თუშურ კულტურულ რეალიას წარმოადგენს, გავახსენებთ რამდენიმე ოკაზიურ ფორმასაც: მოკეისრობდა, ქიშპისტები, ხვეჭისტები, ღვარძლისტები, ამოსხივდა, წაქვავდა და ა.შ.

ავტორი წარმატებით იყენებს დიალექტიზმებსაც: დეიხსომე, დეინყე, ამფერ-იმფერი. ახლა არასრული სიტყვები იკითხეთ, როგორ ჰარმონიულად ლაგდებიან სალექსო ფორმაში:

ვინ – სად?!..

ვის – ნებით?!..

რის – ცოდნის სიბრძნით?!..

რის – სინრფელით?!..

ანდა, – რის ღვანლით?!..

არც – გულის სანთლით,

არც – სინდისით,

არცრა – ღირსებით...

გარდა ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, ტროპის სხვა მრავალი სახეობა დაგხვდებათ ბატონ ფარნა რაინას შემოქმედებაში, დანარჩენის შემჩნევა, ალქმა და გააზრება მკითხველის საქმეა, ამ ყველაფერს კი მკითხველის სათანადო რეაქცია უნდა მოჰყვეს, მერე რომ არ გავკვირდეთ, მერე რომ არ განვცვიფრდეთ და გავოცდეთ.



მერე –  
გაჰკვირდებიან...  
მერე –  
განცვიფრდებიან  
მერე –  
გაოცდებიან,  
როცა –ალარ ვიქნები...

**ნათია გოტოკოველი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი



1962 წელი, 9 ივნისი.  
ქალაქ ქუთაისში სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა შორის,  
მარჯვნივ, ნინა პლანზე, ფარნა რაინა.



1989 წელი, დაღესტანი. ახმეტის რაიონთან დამეგობრებული წუმანდის რაიონის მშრომლებმა ახმეტის რაიონულ  
ვაზეთ „ბახტრონის“ რედაქტორს ფარნა რაინას საჩუქრად გადასცეს — თეთრი, ლეკური ნაბადი,  
ხეში გამოკვეთილი კავკასიის ჯიხვი და არწივი.  
სტუმარ-მასპინძელთა ქართულ-ლეკური ცეკვა; თეთრი ნაბლით — ფარნა რაინა.



## მზე ლექსებამაც დააფრთიანა

გენიალური კატრენების ავტორს ფარნა რაინას

ვუყურებ, როცა ცის ლამაზ ტატნობს,  
მზე — შენმა ლექსმაც დააფრთიანა...  
სულ, სიკეთეს და სიყვარულს ადნობ, —  
ცისა და მიწის მაღლით, — მთლიანად...

ბევრ სიბრძნეს ვსწავლობთ, დღეის, თუ წარსულს,  
განძია — სულის, მთების ტოლია...  
რა ბუმბურაზი და რა დიადი, —  
მთავარი მთა ხომ, — ეს, — ჩვენ გვყოლია.

შენც თვალი მოგკრა მთამ-ჯომოლუნგმა...  
რომ აუქროლე, მალლა, ტიტანმა...  
და... პოეზიის ღმერთი ლაღადებს, —  
მზესთან სიტყვა რომ შენც მიგეტანა.

მზე, — კატრენები სუნთქავს და გვათბობს,  
და გვაცისკროვნებს — მამულზე ზრუნვით,  
სიმართლის რწმენა, უფლის გულისთქმა, —  
იყო... და... არის — შენი მეგზური...

ნუნუ კამუკაშვილი  
პოეტი

## „კაცი, რომელიც უხდება ქალაქს“

ყველა დროს და ადგილს თავისი განსაკუთრებული, გამორჩეულად ნიჭიერი და სამშობლოსთვის გულანთებული პიროვნებები ამშვენებენ.

ხშირად ისინი ისე ჩუმად და მოკრძალებით გაივლიან ცხოვრების რთულ გზას, რომ ადამიანები თითქოს ვერ ამჩნევენ... ვერ ისიგრძეგანებენ გონებაში მათ სულიერ აღმატებულებას.

უფლის ნებით და წყალობით ჩვენს ქალაქსაც ბევრი დიდი ადამიანი ჰყავდა და ჰყავს.

სწორედ ასეთია ჩემი უფროსი მეგობარი, პოეტი, მწერალთა სოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე, ბატონი ფარნა რაინა.

ადამიანი, „კაცი რომელიც უხდება ქალაქს“. მდიდარი პოეტური ნაშრომ-ნაღვანის ავტორი, ღირსეულად წარმომჩენი ქართული პოეზიის სიმალღეების, არაერთი სიახლის ავტორი, გამორჩეულად ლამაზი თვის — ქრისტემობის იუბილარი!

უამრავი კარგი რამ მინდა ვუთხრა და ვუსურვო ძვირფას მეგობარს, დიდებულ პიროვნებას, მაგრამ სიტყვები ხშირად ვერ გამოხატავენ სათანადოდ სულიერ განწყობას და სიტბოს...

გილოცავთ ბატონო ფარნა დაბადების დღეს!

დღეგრძელობას, მზეგრძელობას, მუზის წყალობას, მკითხველთა საყოველთაო სიყვარულს და წარმატებებს გისურვებთ!

დიდხანს იარეთ თქვენებური, დიდებული უბრალოებით, თელავის მაღლიან ქუჩებში, მეგობარ-ახლობელთა და თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელთა გასახარად!

მარიამ კოზმანიშვილი  
პოეტი

## სიბრძნე ასაკისა

ფარნა რაინა 80 წლისაა! მერედა, რა? მასზე ხნიერებიც არიან ჩვენს ირგვლივ და მასზე ახალგაზრდებიც! მთავარი სხვაა, ვინ როგორ იცხოვრა და ცხოვრობს ამ ჭრელ წუთისოფელში. გვინახავს ბევრი შემოქმედი, რომელიც სიტყვით ერთს ქადაგებს და საქმით კი საპირისპიროს ამტკიცებს. ფარნა რაინა ბედნიერი გამონაკლისია, მისი დინჯი ნაბიჯიც კი, თითქოს, შემოქმედების თანაზიარია. შესაძლოა, ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ გზასავალი — სახლიდან რედაქციამდე და პირიქით, თელავის ისტორიულ გულს, ვახვახიშვილების ციხე-გალავანს და ბატონის ციხეს მოიცავს. რა გასაკვირია, რომ პოეტის შემოქმედების წყაროც და საყრდენიც სამშობლოს სიყვარული იყოს, მაგრამ პოეტი, მხოლოდ გამორჩეული ლექსით არ შემოიფარგლება. წლების მანძილზე, იგი მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე და



ჟურნალ „ოლეს“ რედაქტორია. მისი დამსახურებაა, — არაერთი ნიჭიერი შემოქმედის სახელის გამომზეურება და დამწყები პოეტის დაფრთიანება.

ფარნა რაინას ღვანლი სათანადოდ არის დაფასებული. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს: გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემიები, დაჯილდოებულია ქართული კულტურის ამაგდარის მედლით. ეს, ყოველივე, კარგი და მისასალმებელია, მაგრამ მთავარი ჯილდო მაინც ფარნა რაინასთვის ღვითთ მინიჭებული შემოქმედებითი ზრდის ნიჭია. ამის დასტურია — ბოლო წლებში დაწერილი „კეტრენები“, რომლებშიც ცხოვრებისეული სიბრძნე და პოეტური ნიჭი ორგანულად არის გაერთიანებული ისე, რომ ძიება ანუ, ცხოვრება გრძელდება!..

**ზურაბ არსენიშვილი**

*მწერალი, ჟურნალისტი*

### **როგორც ალტაცება, როგორც გაკვირვება, როგორც მოწოდება!..**

ყველა ეპოქაში, ყველა დროში, ყოველნაირ საზოგადოებრივ ფორმაციაში, არიან ადამიანები, რომლებიც ათასობით პრობლემებით სავსე, ჩვენი ყოველდღიური, ყოფითი ამბების ერთფეროვნებაში შემოდინ როგორც ალტაცება, როგორც გაკვირვება, როგორც მოწოდება და შეგონება, რომ არის მარადიული ღირებულებების, მარადიული ფასეულობების ერთგული მსახურების ცოცხალი მაგალითები!

ჩვენი, — ხნითხნოვანი ქალაქის — ჩვენი თელავის ერთი გამორჩეული ფენომენი ისიც არის, რომ ასეთი ადამიანების არა ერთ და ორ მაგალითს გვთავაზობს!.. მათი ღვანლის წარმოჩენით, მათი დაფასებით აფერადებს და ალამაზებს ჩვენს ყოფას, ჩვენს ცხოვრებას, წუთისოფელს...

ფარნა რაინა ასეთ მოღვაწედ მესახება, ასეთია მისი პოეზია, მთელი მისი -ცხოვრება და მოღვაწეობა!

დიდი პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს ბატონ ფარნა რაინას, ჩემს მეგობარს და ჟურნალისტურ საქმიანობაში ერთად გატარებული წლების მემგატიანეს იმის ღრმა რწმენით, რომ ისე, როგორც მთელ მსოფლიოში საქართველოშიც დადგა ახალი დრო — მარადიული ფასეულობების, კულტურის, ხელოვნების ღირსეულად დაფასების დრო და ამ ვითარებაში, მაინც, გამოიცემა მისი, — არაჩვეულებრივი ლექსების მრავალტომეული და მკითხველთა ფართო წრეს მიეცემა მისი წაკითხვის, მისით ტკბობის დიდი სიამოვნება.

**მერი ზაალიშვილი**

*ჟურნალისტი*



*1981 წელი, იანვარი, ახმეტა.*

*მარცხნიდან, — მესამე — გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქტორი ფარნა რაინა რედაქციის თანამშრომლებთან ერთად.*







1989 წელი. დაღესტანი.  
მთის ბობოქარ მდინარესთან — ანდისყოიუსთან. მარჯვნიდან, — პირველი ფარნა რაინა.

\* \* \*

ბატონ ფარნა რაინას აგერ უკვე ორი ათეული წელია რაც ვიცნობ. ჩვენს პირად ურთიერთობაზეც და საზოგადოდაც მასზე მხოლოდ და მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. იგი არის ღირსეული მეუღლე, მამა, პაპა, თავისი საქმის დაუღალავი მუშაკი და სამშობლოსათვის გულშემატკივარი მამულიშვილი.

80 წლის იუბილეს ქრისტესმიერი სიყვარულით ვულოცავ პოეტური სიტყვის დიდოსტატს — ფარნა რაინას და ვუსურვებ თავისი ლექსებით კიდევ მრავალი წელი გაეხარებინოს პოეზიის დამფასებელი საზოგადოება.

**გიორგი ნტროშვილი**  
ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“  
რედაქტორ-გამომცემელი

**„საუკუნეებს ელვასავით გადავანათებ“!!!  
80 წელი კი არა, 80 გამარჯვება...  
გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!..**

მართლაც და რჩეულთა ხვედრია ეს, მზესთან ხელშეწვენა, გულში, ლექსებში გადმოსახლება და ამ მზიანი გულით, მზიანი შემოქმედებით ქვეყნის ნათება.

მართლაც, მზემდის ადის მისი ლექს-შედეგების ყველა სიტყვა და მკითხველის გულს აცისკროვნებს, ვარსკვლავებს აკრეფინებს.

სიმართლე, რწმენა, ზნეობა, ჩვენი სათაყვანებელი მამულის უდიდესი სიყვარული, მომავალი თაობის დამოძღვრა და სიტყვებიც არ გვყოფნის პოეტის შემოქმედების თემატიკის, მაღალი იდელების ჩამოსათვლელად.

ბატონმა ფარნა რაინამ ძნელი გზა განვლო, სანამ „ლიტერატურული კახეთი“ სიცოცხლეს დაიწყებდა ბატონ აკაკი დაუშვილთან ერთად, ასეთი ლამაზი, შინაარსიანი და, მართლაც, გზამკვლევი იქნებოდა მკითხველისათვის.

როგორც პროფესორი და უნიჭიერესი მწერალი, ქალბატონი მაყვალა მიქელაძე აღნიშნავს, მისი გენიალური ლექსები — კატრენები ამშვენებს ჩვენს ჟურნალს „ოლეს“ და იმ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, სადაც ეს შედეგები იბეჭდება.

მსოფლიოს უდიდესი პოეტური ხელოვნების გამოცდილებით და ნოვაციებით არის სავსე მისი პოეტური საუნჯე. რაოდენი განსწავლულობა და ზოგადი ცოდნა არის საჭირო, რომ ასეთი შედეგები შეიქმნას, დაიწეროს, — ლექსის მძივად აისხას, ააფერადოს და განუმეორებელი ელვარება შესძინოს.

დიდი ილია ბრძანებდა:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის  
მიწიერი, ზეციერსა,  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

ბატონი ფარნაც ილიას გზას მიუყვება, „რა სასწაულმა გადაგვარჩინა“ — ბრძანებს და ასეცაა...

„ჩვენ — უფლის რწმენამ გადაგვარჩინა“

„ჩვენ — სიყვარულმა გადაგვარჩინა“

„მზე — პოეზიამ გადაგვარჩინა“ — აი, მისი ლექსის მისია.

რუსთაველს, როცა სიტყვა ურანდავს, —

ლექსით, სიკვდილის ძალა დაჩრდილა

ჩვენ — უფლის რწმენამ, სიყვარულმა და,

მზე-პოეზიამ გადაგვარჩინა.



დრო თავის სიტყვას იტყვის და დროულადაც უნდა თქვას ასეთი დიდებული მგოსნის ლექსთწყობის სიახლეებზე და სიმაღლეებზე, მისი ლექსები ხომ ზოგადსაკაცობრიო სიბრძნითა და ყველა იმ სილამაზით არის გაბრწყინებული, ნამდვილი ლექსი — რომ ინატრებდა!

ჩვენი სათაყვანებელი მამულის — საქართველოს სიყვარული არის პოეტისათვის მთავარი, — ლექსი — „სამშობლოს განცდა“...

უსხივესია,  
უმძაფრესი —  
სამშობლოს  
განცდა, —  
სიყვარულს ყველას, —  
რაც არსებობს,  
გაუსწრო,  
გასცდა...

ეს ლექსები მზე-ლექსებია, რომელიც მკითხველს ჟრუანტელს მოჰგვრის, თუნდაც...

## ლექსი

ვქსოვ ლექსებს,  
ვითარ —  
მგოსანი მოგვი,  
დრო —  
მზელექსების  
ლაყვარდს  
არ დახევს...  
სტრიქონი, როცა —  
ჟრუანტელს მომგვრის,  
მაშინ, —  
სიკვდილის  
ვლენავ —  
არტახებს...

მსოფლიო საგანძურს დაამშვენებს პოეტის ლექს-შედეგები: „სამშობლო“, „ქართული ენის სადიდებელი“, „რა სასწაულმა გადაგვარჩინა“, „სიტყვა ქართული“, „სადღეგრძელო“, „კახეთი“, „უსიყვარულოდ“, „ვინ ვარ?“, „საღვთო, საერო სადიდებელი — ყველაზე უფრო დიდი ქართველის!“, „გამთლიანდი საქართველო!“, „ერისიონი, — ანუ — საქართველოს სადიდებელი“, „საით მივდივართ?!“

როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ — პოეტის „სადღეგრძელოს“ — ანუ ფილოსოფიურ-დიდაქტიკურ ტრაქტატს, რომლის 33-ივე სტროფი ერთსიმეტრიულ-რითმულ ინტონაციაშია. ეს ლექსიც, როგორც ყველა სხვა მისი ლექსი, გასაოცარი მუსიკალურობით, გენიალურობით, ორიგინალობით — გვხიბლავს და გვაოცებს, რითმების სიზუსტით, სილამაზით, მდიდარი მხატვრული სახეებით.

ძალავ  
დიდო! —  
კოსმიური შემოქმედის  
შენი აზრის  
სიმაღლე და  
განი მოგვცა,  
დაილოცა:  
სიდიადე საკურთხევის, —  
სიცოცხლე და  
უკვდავება  
დაილოცა!..

და ვერ ავუვლით გვერდს რომელიმე სტროფს, ყოველი სტროფი — სასწაულია, გენიალურია. აქ მოვიყვანთ — ბოლო სტროფს.

სიყვარულში,  
სიქველემში  
შევეჯიბროთ,  
არ მოგვაკლოს  
ქვეყნად;  
მზის და  
მთვარის კოცნა...  
დაილოცა —  
ერთგულება,  
ერთად ყოფნა,  
ერთიანი საქართველო  
დაილოცა!..

ანდა... შედეგრი — ლექსი — „ქართული ენის სადიდებელი“, ამ ლექსში — ზეობაა ქართული ლექსიკის, ქართული ენის დალოცვაა, ქართული მინის, ზეცის, ტაძრების გამობრწყინებაა, ცისკრის სიცილია, მთვარის ჩანჩქერია, ჟღერტულით მონავარდე მერცხალია, „მრავალჟამიერი“ და „ჩაკრულო“, ბაღნარია, ვენახია და ღმერთების ენაა, ბუღბუღის გალობაა.

ბატონი ფარნას შემოქმედება ნიგნებად რომ გამოიცემა, უფრო, ნათლად წარმოჩინდება პოეტის პოეტური სიდიადე და მთელი პოეტური ხელოვნების არსენალი.

მისმა ფილოსოფიურმა, სიბრძნით სავსე კატრენებმა ხომ განაცვიფრა, გააოცა, გაახარა მკითხველი.

თავდაპირველად, ფრანგულ კატრენს, ოთხსტრიქონიან სტროფად აგვირისტებს, ხოლო, მერე პარცელაციის სახით ჩამოამძივებს, თვითეული სიტყვა ემოციური მუხტით, ლაკონიზმით, უფრო ექსპრესიული და გულშესახები რომ გახდეს, — ტრადიციულის მოდერნიზმია, ინოვაცია, — პარცელაციის ევფონიური ინტონაცია.

თითოეული კატრენი ხომ, ცხოვრების სიბრძნეა, ლამაზი აფორიზმია, ფილოსოფიური ნააზრევია. დავასახელებდით: „სანამ“, „ლექსი“, „ტიკვილი“, „შეგონება“, „საქართველოს სახელით“, „მზეს რომ ვუყურებ“, „მისნური განცდით“, „მაჩვენეთ გული“ და მართლაც პოეტის უანგარო სურვილია

მაჩვენეთ გული  
უანგარო,  
ალალი მზისებრ,  
რომ  
გული მივცე  
გულისათვის ვენდო და  
ვლოცო.

პოეტი ღრმად სწვდება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ფესვებს და თავყვანს სცემს: ბრძენთაბრძენ — სოკრატეს, რუმის, საადის, ჯამის, ჰემინგუეის, ჰიუგოს, დანტეს, ბაირონს, შილერს, გოეთეს, შექსპირს, ლაო-ძის, მარკესს, შოთას, დავითს, ნიკოლოზს, ილიას, ვაჟას, შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა, რომელთა მარადიული მადლი მოსავს მის შემოქმედებას.

ბატონი ფარნას უპირველესი და უზენაესი სურვილი ხომ საქართველოს გამთლიანებაა. ლექსი, —

## გამთლიანდი საქართველო

თავისუფალ მთებს და ველებს  
რომ უცინი ალიონო,  
მინდა შენი უკვდავების  
სადღეგრძელო დალიონო...  
ორგულმა და მუხანათმა  
არასოდეს აღარ თელონ —  
ლომების და არნივების  
საბუდარი საქართველო...





ჯაჭვისპერანგაუხდლო, —  
ანგელოსთა აკვანთელო,  
გაბრწყინდი და გამზიანდი,  
გამთლიანდი საქართველო.

აი, როგორ ულოცავს, ბატონ ფარნას შემოქმედებით საღამოზე, — ჩვენი სათაყვანებელი მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაყვალა მიქელაძე.

„ფარნა რაინა იმ სანეტარო გენიოსთა დასის წევრია „ვინაც სიტყვას სიცოცხლე მისცა, სულიც, გულიც და მზის ნათებაც სტრიქონში ჩადო“.

სიტყვას წონა აქვს მის პოეზიაში!.. ფერი, გემო და სურნელიც!.. ეს რომ იწამო, ფარნა რაინას ერთი კატრენი მაინც დაგემოვნებით უნდა წაიკითხო. მხოლოდ, მერე შეძლებ უპასუხო უნებლიედ წამოჭრილ კითხვებს:

— საიდან ამ თემატურად დათითოებულ სტრიქონებში ამდენი სიყვარული ადამიანებისა, საქვეყნო სიმალლე და გადამდები შინაგანი ენერგია, რაც უმაღლეს „ცხოვლად სულს დააჩნდების“ მკითხველის გულსა და გონებას.

რა მდიდრები ვიქნებოდით თურმე ადამიანები, თუ, ჩვენს ყველა სულიერ სიკეთეს ერთად მოვუყრიდით თავს!.. სწორედ ამის გაცნობიერებაში გვეხმარება ფარნა რაინას ეს საოცრად დახვეწილი სტრიქონები. თითოეული კატრენი ბრძნული სიტყვაა მოკლედ შთამბეჭდავად თქმული გენიალურ შემოქმედს ქინძისთავზე რომ მოუთავსებია!

— ეს აფორიზმებია, გულის ფიცარზე რომ უნდა ეწეროს თითოეულ ჩვენგანს!..

— ეს შუქურაა მანათობელი კაცობრიობის უკეთესი მერმისისაკენ სავალ გზაზე!..

— მიზანია, რომლისაკენ უნდა ვისწრაფვოდეთ ყველა!..

და გვრჩება, კიდევ, სწორედ, გულის ფიცარზე, თითოეული კატრენი თავისი ბრძნული შინაარსითა და ამ მხრივ ტოლს არ უდებენ ერთმანეთს, — არჩევანი ჭირს.

— რანი ვყოფილვართ!..

— რა შეგვძლება!..

— რა ლამაზი ყოფილა საყოველთაო ბედნიერებისაკენ სავალი გზა!..

მოჯადოებული გამოდიხარ ფარნა რაინას შემოთავაზებული კატრენების სამყაროდან და თავს გახსენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საოცრად ბრძნული შეგონება იმის შესახებ, რომ: ყველანი გავაცნობიერებდით, საყოველთაო ბედნიერებისა და კეთილდღეობის როგორი ოაზისი გვექნებოდა აქვე, მიწაზე, ჩვენს საფიცარ სამშობლოში.

მხნედ, ძვირფასო, ფარნა რაინა! ადამიანთა გულების, ჯერ კიდევ, რამდენი კუთხე-კუნჭულია პოეზიის სიბრძნისა და სიკეთის მაღლით გასასხივოსნებელ-გასანათებელი.

21-ე საუკუნის მძიმე რეალობით დაბნეულ-დათრგუნული მკითხველი, კვლავაც, სასოებით დაელოდება უმაღლესი პოეზიის მაღლით გაბრწყინებულ თქვენს კატრენებს.

P.S

მე, თქვენი ღვთიური მაღლით შთაგონებული რიგითი მკითხველი, ყველა დანარჩენი მკითხველის სახელით, უღრმესი პატივისცემით გილოცავთ მიმდინარე წელს (2015 წ.) საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჟურნალ „ოლეში“ 2015 წელს (N3) გამოქვეყნებულ

ლი თქვენი გენიალური კატრენებისა და მთლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის გათვალისწინებით მონიჭებულ უმაღლეს ჯილდოს — ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატობას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებებს პოეზიის მაღლიან გზაზე.

*მაყვალა მიქელაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

შესანიშნავად აფასებს ფარნა რაინას ადამიანურ თუ, პოეტურ ღვაწლს, — საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე — მაყვალა გონაშვილი.

„ქართველებს ერთი მშვენიერი სიტყვა გვაქვს: ღვთისნიერი კაციაო, იტყვიან ისეთ კაცზე, ღვთისნიერი რომ შერჩენია გარეგნობასა და სულში; ეს სიტყვები შეგვახსენებს, რომ მამაუფალმა ადამიანი თავის მსგავსად შექმნა.

განა ბევრია ჩვენს შორის ისეთი, საუკუნეთა მდინარე გამოვლილს სახე რომ არ შეცვლია, ჯერ, ისევ რომ შერჩენია მის სხეულს — უფლის წმინდა ნათითურები, მის სულს — უფლის სუნთქვა, მის გულს — უფლის დანაბარები, — რომ ღმერთი სიყვარულია.

ფარნაოზ რაინაული სწორედაც რომ ღვთისნიერი კაცია, უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ლექსში, ყველა ჩანაფიქრსა და ნამოქმედარში.

მწერალთა კავშირის ეს ღვანლმოსილი მოღვაწე ჩვენი მწერალთა დიდი ოჯახის უსაყვარლესი წევრია“...

გულიანი და მართალი სტრიქონებით მიმართავს ბატონ ფარნას — ზაალ ბოტკოველიც, — საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე — „შენ ლექსს გაუმარჯოს, ახლა უკვე, კატრენების არტახებში მოქცეულ ლექსს, თავანკარა ქართულით რომაა გაჯერებული, შენს კაცობას გაუმარჯოს, ქართული პატიოსნებით რომ აქვიტკირებ...“

საქართველოს მწერალთა კავშირში, ფარნა რაინას დაჯილდოების ცერემონიაზე, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელმა პოეტმა ნუნუ ძამუკაშვილმა თავის სიტყვაში ისაუბრა ბატონი ფარნას გამორჩეულ შემოქმედებაზე.

„...მზისებრ ბრწყინავს და იბრწყინებს პოეტ ფარნა რაინას შედეგები, რომლებიც ბევრი სიახლით გამოირჩევა — ეს ძალიან ფართო თემა და შეუძლებელი იყო ამ კონკრეტულ ღონისძიებაზე ვრცლად გველაპარაკა მასზე.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, მხატვრული სიტყვის შემოქმედნო, დიდმა ილიამ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას ოთხი სიტყვით გამოხატა გაცემა: „კითხულობ და გიკვირს, გიკვირს და კითხულობ“...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ... მეც ასეთი გაცემა მინდა გამოვხატო ფარნა რაინას კატრენების კითხვისას... საქართველოში საყოველთაო მონონებას იმსახურებს მისი პოეზია, მაგრამ, როგორც თვითონ, ავტორი აღნიშნავს, ალბათ მისი შემოქმედების გვირგვინი, მართლაც, კატრენებია, რომელსაც განსაკუთრებული განხილვა, განსჯა და ანალიზი სჭირდება.

ერთი რამ, — ცხადი და ნათელია, რომ: კატრენები ბატონ ფარნა რაინას ჭეშმარიტი პოეტური გამარჯვებაა.

*ნუნუ ძამუკაშვილი.*

ფარნა რაინას პოეზიის მთავარი ღერძი სიყვარულია, რადგან დედამიწაც ხომ სიყვარულით ტრიალებს თავის ღერძის გარშემო...



წამიც არ მწამს —  
სიძულვილის:  
მტრობა,  
ვნება, —  
გზა — უსულო...  
გზა — უგულო...  
გზა — უმარჯნო...  
გაუმარჯოს:  
სიყვარულის —  
ღვთიურ  
ნებას,  
სიყვარულის —  
უკვდავებას  
გაუმარჯოს!!!..  
და, კიდევ, ლექსი „სიყვარული“  
დრო, —  
მარადისი,  
ავად,  
კარგად  
მი — მო,  
დია — დის...  
ვისთვის — ღამეა,  
ვისთვის — მზისებრ,  
სულში დარულობს...  
სიყვარულია, —  
თუ, —  
რამ არის —  
ცის ქვეშ,  
დიადი...  
წამი რა არის?  
წამიც  
არ მწამს —  
უსიყვარულოდ...  
პოეტი სულმნათი დიდი ილიას გზას მიჰყვება...

**ჩვენი ერის —  
დიდ მოძღვარსა და  
მამას — ილიას...**

სისადავე,  
სიქველე,  
შენ გვასწავლე,  
უფალო,  
და... მზეც —  
სისადავისა,  
სიდიადით  
დია დის, —  
რამდენადაც —  
დიადი,  
იმდენადვე —  
უბრალო,  
რამდენადაც —  
უბრალო,  
იმდენადვე —  
დიადი...  
ღირსება! — აი, ეს არის ადამიანისათვის —  
მთავარზე მთავარი, ყველაფერზე მაღალი.

**ღირსება...**

ღირსების —  
სხივთა სიდიადით  
მზისებრ ვივსები,  
ღირსებით უნდა  
ვსუნთქავდეთ და

ვახელდეთ  
წამწამს...  
თუ, ამაღლდება —  
ვინმე,  
უფრო, —  
მხოლოდ —  
ღირსებით,  
უფრორე — მაღლა, —  
ღირსებაზე,  
არარა —  
არ მწამს...  
და პოეტი, ამასთანავე, მოძღვრავს ახალ-  
გაზრდობას ლექსით:

**ყველაზე ბრძენი  
მასწავლებელი**

დაფიქრდნენ უნდა:  
ასულნი,  
ძენი, —  
ასე იყო და...  
ასეა — ახლაც, —  
ყველაზე მკაცრი,  
ყველაზე ბრძენი  
მასწავლებელი  
ცხოვრება გახლავთ...  
ბატონი ფარნას დევიზია: „და... მაინც, მზისკენ!!!“  
სიმართლისაკენ, სინათლისაკენ, და კარგად მოეხსენება მგოსანს, რომ შუქზიარა მზე ყველას თანაბრად გვათბობს, ყველა სიკეთეს გვთავაზობს და ჩვენც მზე უნდა გულებით ვატაროთ... ჩვენს გულშიაც მზე უნდა ბრწყინავდეს:

**და... მაინც,  
მზისკენ!..**

გავუსხლტე უნდა —  
ნისლების წამწამს,  
გავკვეთო უნდა —  
ღრუბლების სისქე,  
ხომ ვიცი:  
დამცლის...  
დამნაცრავს...  
დამწვავს...  
და... მაინც —  
მაღლა!!!  
და... მაინც —  
მზისკენ!!!  
და, თუ, ერთმანეთს შევეჯიბრებით, — ეს სიკეთე-  
ში უნდა იყოს და მაშინ, უფრო, ახლოს მივალთ უფალ-  
თან.

**უფალთან ახლო...**

ცხოვრება არის  
ბრძენი და...  
მკაცრიც, —  
მზეცა და  
ღამეც  
აქ, ერთად, სახლობს...  
კეთილი არის —  
რაც, უფრო,  
კაცი,  
იმდენად არის —  
უფალთან ახლო...



სიდიადე ხომ სახელშია, საქვეყნო საქმის კეთებაში და... რომ არ დარჩეს მომავალ თაობას ბუნდად ეს სახელი, ამიტომ... ლექსი —

### ღიადი

აი, —  
ღიადი —  
იგი არის,  
ვინც საქმით  
იტყვის:  
ჩემი სიცოცხლე —  
მე  
კი არა,  
ქვეყანას უნდა...

ხანდროს, საკუთარ თავზეც გვმართებს გამარჯვება. აი, ეს არის მთავარი.

### მთავარი

მე, თუ —  
მკითხავენ,  
უნინარეს,  
მტერზე კი არა,  
საკუთარ თავზე  
გამარჯვება  
არის მთავარი...  
პოეტს გულისგულში ჰყავს სატარები ჩვენი,  
სათაყვანებელი, სამშობლო... და ეთაყვანება მთელი თავისი არსებით,

### ჩემო —

### სიცოცხლე...

მაქვს —  
ფიქრის ულო,  
ვლოცავ —  
ამ ულოს,  
შენს სახელს, —  
ღიადს,  
ამოს ვუთქვამდე...  
ჩემო —  
სიცოცხლეც,  
ჩემო —  
მამულო,  
შენთან ვარ:  
ბოლო  
ამოსუნთქვამდე...  
ბატონი ფარნა გვიმხელს რომ, —

### სასოებით

### მისნურით

ზეცამდე ვარ  
მისული  
სასოებით, —  
მისნურით...  
რაც  
მინაზე ვიმკვიდრე  
და... განსჯით,  
ვიხალიბე,  
საიდუმლო  
შევიცან —

სხვისიცა და  
ჩემიცა:  
სიღარიბის —  
სიმდიდრე...  
სიმდიდრის —  
სიღარიბე...  
სამყაროში ხომ ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია.

### ჯილდოთა ჯილდო, —

### უღიადესი

რომელი ჯილდო?  
ან — რა ძეგლი?  
ან — რა ორდენი?  
ჯილდოა:  
ხალხის  
სიყვარული  
უღიადესი...  
სიყვარულის სიდიადე: ეს ლამაზი გრძნობა,  
მართლაც და ლამაზად გამოხატა ლექსში — როგორც არავინ  
ჩემი ფიქრი და  
ჩემი განცდა  
ამ მზის ცალია,  
მსურს:  
სიყვარულმა  
უკვდავების  
მეჯლისს დამასწროს...  
მიყვარხარ ისე,  
ისე ძლიერ,  
ისე ძალიან,  
როგორც — არავინ,  
როგორც — არვის,  
როგორც — არასდროს!!!..  
პოეტს სწამს პოეტური გენიისა და გვმოდღვრავს:

### პოეტური გენია...

მწამს: გენიოსი, —  
ვინაც  
სიტყვას —  
სიცოცხლეს მისცემს,  
სულიც,  
გულიც და  
მზის ნათებაც  
სტრიქონში ჩადოს...  
მე —  
მწამს გენიის:  
სიყვარულის —  
უსაზღვრო სივრცე, —  
აზრიც გენია,  
ფერწერაც და...  
მუსიკის ჯადოც...  
პოეტის ლექსებში მძაფრი ეპოქის ანარეკლია...

### როგორც — სარკეში...

მზე დავიჭირე  
სიტყვის ანკესით, —  
მოვეყვები:  
ამ გზას,  
ამ ნარეკლიანს...  
და...  
ჩემს ლექსებში,



როგორც — სარკეში,  
მძაფრი ეპოქის  
ანარეკლია...

ბატონი ფარნა, კატრენების შესახებ, ასე  
გვესაუბრება:

„მიუხედავად თემატური მრავალფეროვნებისა,  
ჩემს წიგნში: „კატრენები“, — ძირითადი არსი და  
ლეიტმოტივი — ზნეობა და მორალია, რადგან — იგია  
კაცობრიობის ღირსებისა და გადარჩენის ერთ-ერთი,  
მაგრამ უპირველესი გზა... ადამიანთა გაადაამიანე-  
ბისათვის ფასდაუდებელი ამაგი დაგვდეს პლანეტის  
სწავლულებმა, რომლებიც, თავისი ჯვარცმის ფა-  
სად ოფლით, სისხლითა და ცრემლით წერდნენ ჩვენს  
ზნეობრივ და მორალურ კოდექსს.

დიდი უმადურობა იქნებოდა ბრძენთაბრძენ წინა-  
მორბედთა შეუფასებლობა და დაუფასებლობა...

ჩემი წინამორბედი რომ არ ყოფილიყვნენ, ამ გზას  
ისე ვერ გამოვივლიდი, როგორც გამოვიარე. მე გზად  
და ხიდად გამოვიყენე მათი მდიდარი გამოცდილება და  
ჩემი წარმატება მათი უდიდესი დამსახურებაც არის“.

ფარნა რაინამ თავისი, — ახალი სიტყვა თქვა ქარ-  
თულ პოეზიაში, — ახალ საფეხურზე აიყვანა რითმა,  
ახალი ნოვატორული საზომი მიუყენა მას... პოეტის  
ყოველი ლექსი დიდი ექსპრესიით იკითხება, მდიდა-  
რი სიტყვიერი პალიტრის დიდოსტატია. მისი პოეზია  
ადამიანების სიყვარულით არის ნაკურთხი. სულის  
ზეობით და მზეობით გაჯერებული, და დღევანდელ  
პოეზიაში, მართლაც, როგორც მკითხველები აღიარე-  
ბენ, გენიალური ლექსების მშობელია.

პოეტი ბავშვების გულის მესაიდუმლეცაა, მისი  
ლამაზი, დიდაქტიკური საბავშვო ლექსები — ცალ-  
კე წიგნად გამოსვლას მოითხოვს, რათა გაახაროს  
ბავშვები, — დიდაქტიკური მუხტით ანთოს ჩვენი  
მოზარდები. მისი დასაბეჭდად გამზადებული წიგნი-  
დან: „ნატურისთვალადან“ ერთი ლექსი „წელიწადის  
დროები“ შევიდა საბავშვო პოეზიის ანთოლოგიაში:  
„მზე შინა“.

შეუძლებელია პოეტის ყველა ლექს-შედეგების  
აქ მოყვანა, მაგრამ, გული არ მოგვითმენს, რომ არ შე-  
ვებოთ, კიდევ, ლექსს:

### საუკუნებს

### ელვასავით

### გადავანათებ!!!

ვდუღდი...

ვიწვოდი...

ვენთებოდი —

ავი წლებითა,

რწმენა,

იმედი —

მუდამ,

უფლის

ჰგავდა ბარათებს...

მე —

ამ დუღილით,

ამ ტკივილით,

დავინვები და...

საუკუნებს

ელვასავით

გადავანათებ!!!

ფარნა რაინას შემოქმედებითი მოღვაწეობა ახალ-  
გაზრდა პოეტებთან, როგორც პოეტური მოძღვარის,  
საუბრის ცალკე თემაა, მაგრამ შეუძლებელია მილოც-  
ვის ფორმაში ყველაფერი ითქვას, ამიტომ, მოვიყვანო,

მხოლოდ, ერთ ეპიზოდს.

მიმდინარე წლის 21 ივნისს მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურულმა კახეთმა“ მოაწყო თელავის ი. გო-  
გებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
— ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში: „ჩვენ მოვდი-  
ვართ“ — გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო  
ღონისძიება და ლიტერატურულ-შემოქმედებითი სა-  
ღამო.

საღამოზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მწერალთა  
ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომა-  
რე — ფარნა რაინა.

აქვე გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ სიტყვიდან:

### ილიას გულით, ილიას გზით, ილიას სიბრძნით...

ჩვენო ძვირფასო, ახალგაზრდა მწერლებო, ჩვენო  
ძვირფასო სტუმრებო, უპირველეს ყოვლისა, გულმ-  
ხურვალედ მოგესალმებით, გილოცავთ ლიტერატუ-  
რულ კონკურსში გამარჯვებასა და ჟურნალ „ოლეს“  
ახალი ნომრის საზეიმო წარდგენას.

...ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი შთა-  
მომავლობა უნდა გაიზარდოს ჩვენი სინმინდებით,  
ჩვენი კულტურით, ჩვენი სახელით, ჩვენი ღირსებით,  
რომ პირნათელი ვიყოთ: ჩვენს მერმისთან, ხალხთან  
და ღმერთთან.

აი, ერთი საუკუნის წინ, როგორ გვმოძღვრავდა  
ჩვენი, მინიერი უფალი, დიდი ილია:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის

მინიერი — ზეციერსა,

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარვუძღვე, წინა ერსა...

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,

მენვოდეს მის ტანჯვით სული,

მის ბედით და უბედობით

დამედაგოს მტკიცე გული“...

ქართველი ერის მამის ეს ღვთაებრივი სიტყვები  
გულის ფიცარზე უნდა დაინეროს თითოეულმა ახალ-  
გაზრდა, თუ ძველგაზრდა შემოქმედმა, თუ, მართლა,  
ჭეშმარიტი შემოქმედი და, არა — სატანის მსახური.  
ეს არის — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის  
მარადიული გზამკვლევი, ორიენტირი და გადარჩენის  
კრედო.

სად არის ჩვენი ნიკოფსია? სად არის ჩვენი ლორე,  
ტაშირი? სად არის ჩვენი საინგილო? სოჭი? სად არის  
ჩვენი ტაო-კლარჯეთი? სად არის ჩვენი სამაჩაბლო?  
სად არის ჩვენი აფხაზეთი? სად არის ჩვენი წინაპრე-  
ბის სახელოვანი ისტორია? ვინა ვართ? რანილა ვართ?  
რალა დაგვრჩა საქართველო, ხვალ ვინ ვიქნებით? რა  
იქნება ჩვენი სამშობლო? ვის ხელში იქნება ჩვენი კურ-  
თხეული საქართველო? აი კითხვები, რომელსაც თავს  
უნდა დასტრიალებდეს ჩვენი ფიქრიცა და საქმეც.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც, ვიმეორებ, რომ  
ადამის მოდგმა, უპირველეს ყოვლისა, მწერლობამ გა-  
მოიყვანა გამოქვაბულიდან...

იმ ჟამიდან კულტურა გახდა, ხალხების ერთ-ერ-  
თი არსებითი, სულიერი და ზნეობრივი მეკვლე, ერის  
ერობის ქვაკუთხედი, ხოლო კულტურის მწვერვალი  
მწერლობა გახლდათ...

ქვეყნად, ბევრი რამ არის წარმავალი, ჭეშმარიტი  
მწერლობა წარუვალა; ამიტომ, მწერლობას უდიდესი  
და განმსაზღვრელი მისია აკისრია, არა მარტო: თავის  
ერის, არამედ — მთელი კაცობრიობის წინაშე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული  
ავტორის შემოქმედება მის მორალურ სახეს წარმოად-  
გენს, იგი სარკეა მისი ზნეობრივი არსენალისა და სუ-





ლიერი სიმაღლისა. მწერალი შემოქმედია და შემოქმედი სინონიმია ღმერთისა და ვინც შემოქმედის კალამს აიღებს, მას უფლება არ აქვს უფლის უწმინდეს გზას გადაუხვიოს და სატანის გზით იაროს.

ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე ვდგავართ და უნდა ვიცოდეთ, გულიდან ამოსულ, ალალ, მართალ, ბრძნულ სიტყვას ატომზე მეტი ძალა აქვს და, ეს ძალა სიკეთისა და სიყვარულის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ...

ერთი გული, მაგრამ — ასი თვალი და ასი ყური, ღვთის რწმენა და მწერლური სინდისი, აი, ახალგაზრდა კალმოსანთა კომპასი, კრედო, მისია და მიზანი... მათ უნდა განჭვრიტონ; ამ წუთისოფლის ოკეანეში, რა ბედი ელის, ჯვარზე გაკრულ, მირონცხებულ მამულს.

გენიალური რუსთაველისა არ იყოს:

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა — გონებანი

გონიერსა“

ხოლო, დიდი აკაკისა არ იყოს:

„ახალგაზრდებო, ან, კი, თქვენ,

გამოდით, თქვენი ჭირიმე“!..

ახლა, სიტყვა თქვენზეა... მომავლო კალმოსნებო.

მე უფლის გზით სიარულს გისურვებთ და დაგლოცავთ, რომ თქვენი შემოქმედება იყოს: არა სატანისეული, ბოროტი მაკულატურა, არამედ, ქართველი ხალხის საკადრისი, საგანძური, მარადიული მეკვლე, — სიბრძნის, სიკეთის, სიყვარულის და სიდიადისა...

თქვენ, ბატონო, ფარნა, — ინოვაციური ლექსებით, მართლაცა... ჩვენი, თქვენი სათაყვანებელი შედეგებით, ყველას გული გადაანათეთ, მზის სხივები და სითბო გვაჩუქეთ, რწმენა და იმედი განგვიმტკიცეთ... ნამდვილი პოეზიის ნეტარებას გვაზიარეთ... აკი, ღირსეულად გადმოგცეს: გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიები და ქართული კულტურის ამაგდარის მედალი და... გისურვებთ: გაგრძელებულიყოს მათი ღირსეული ჩამონათვალი.

გილოცავთ, გილოცავთ, დიდი პატივისცემით,

სითბო-სიყვარულით — დაბადების ჯერ კიდევ, კიდევ, ჭეშმარიტებით შეუფასებელ 80 წლისთავს, — თქვენი შემოქმედებით, ლამაზი ოჯახით: თქვენი შემოქმედების პირველი თაყვანისმცემლები და დამფასებლები, რომ არიან, შვილიშვილებიც ხომ სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ: პაატა, მარიამი, ფარნაოზი, ნათია კი მხატვრის მწვერვალებს აუყვანა.

გისურვებთ, დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს, და გისურვებთ იმ უამრავი წიგნების გამოცემას, რომლებიც დიდი ხანია ელიან მკითხველთან შეხვედრას.

თქვენთვის, ყველაზე მაღალი, ჯილდო ხომ: მკითხველის სიყვარულია და ამ მილოცვას დავამთავრებთ თქვენი — გენიალური კატრენით, —

**ყველაზე დიდი:**

**ჯილდოც და...**

**ძეგლიც...**

უფალმა —

ცის ქვეშ,

სიყვარული

დასვა, — ამინდად,

თუ, —

სიცოცხლისთვის,

მზესაქმეს და

სიტყვას უფლიან...

სიყვარულია:

არსთა

არსი, —

დასაბამიდან...

ყველაზე დიდი:

ჯილდოც,

ძეგლიც —

სიყვარულია...

ბატონო ფარნა, კვლავ და კვლავ გილოცავთ ამ, — ლამაზი სიბრძნის იუბილეს!..

მრავალჟამიერ!!!..

**მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“**



1979 წელი.

ყვარელი, ილიას ძეგლთან, — ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. მარცხნიდან — (დგანან) პირველი ფარნა რაინა.



## გილოცავთ, ბატონო, ფარნა!

ბატონო ფარნა, მინდა მოგილოცოთ ეს ლამაზი და ხვავრიელი იუბილე, — დაბადების 80 წლისთავი.

ჩვენ ხომ თანაკურსელები ვართ.

ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდი და გვიყვარხარ! რადგან თქვენ იყავით ძალიან ნიჭიერი, გამორჩეული სტუდენტი, პოეზიის მაღლით ცხებული და, თან, მეგობრული.

თქვენ არამარტო კარგად სწავლობდით, არამედ, ინსტიტუტის ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდით, თქვენი რედაქტორობით გამოდიოდა სტუდენტური გაზეთები: სატირულ-იუმორისტული გაზეთი „ჭინჭარი“ და დამწყებ მწერალთა გაზეთი „ახალგაზრდა შემოქმედი“.

ინსტიტუტის კედლებზე გამოკრულ ამ გაზეთებს ხომ უამრავი მკითხველი და თაყვანისმცემელი ჰყავდა.

კარგად მახსოვს ჩვენმა ინსტიტუტმა გაგვგზავნა ქუთაისში სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე.

თქვენმა ნაკითხულმა თემამ „ერთი ზეპირსიტყვიერი გმირის ანარეკლი ვაჟა-ფშაველას პოემებში“ კონფერენციისა და მთელი სამეცნიერო საზოგადოების უმაღლესი მონონება დაიმსახურა.

ჩვენი კურსი ყოველთვის ამაყობდა თქვენი პიროვნებით და პოეტობით.

დიდი ხალისით ვესწრებოდით იმ შეხვედრა-საღამოებს, სადაც თქვენ კითხულობდით თქვენ ლამაზ, უზადო ლექსებს და ახლაც ვესწრებით....

ახლა, ჩემს სანერ მაგიდაზე მიწყია მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ჟურნალ „ოლეს“ ის ნომრები, სადაც თქვენი ლექს-შედეგები თუ, გენიალური კატრენებია დაბეჭდილი.

ლექსები თუ კატრენები ერთიმეორეს ეჯობებიან თავიანთი სიბრძნე-სიკეთით. ჭირს გამორჩევა — ერთმანეთზე უკეთესია, თქვენ მკითხველს არწმუნებთ, რომ:

### არის ასეთი — სასწაული

სიტყვა:

ურითმოდ

უმუსიკოდ,

მეფურად არ ზის...

თქვით —

ოქროსიტყვა

ოქროლექსიც

გახდება ვერცხლი...

ხომ დიადია

უმზესი და

უბრძნესი აზრი?

სასწაულია:

და

სამზეო

მუსიკის ცეცხლით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს თქვენს ოჯახთან და მახლობლებთან ერთად....

### ნიმე დევიკა-ზუროპილი

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო  
პედაგოგიური ინსტიტუტის დამსახურებული პედაგოგი,  
შრომის ვეტერანი

### ჭაშმარიტი პოეტი

არიან პოეტები, რომლებიც წინამორბედების გავლენას განიცდიან. ფარნა რაინა თვითმყოფადი პოეტია, მისი ლექსი განსაკუთრებული მელოდიურობით ჟღერს. როცა მის პოეზიას ვკითხულობ, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს, ბორბალოს მთის გულიდან გადმოხეთქილი წმინდა ალაზანი ჩამოედინება კახეთის მთებსა და ველებზე. იგი, მხოლოდ, თავისი ქვეყნის ტრადიციების წარსულის და ხვალისდელი დღის გავლენის ქვეშ იმყოფება. სიტყვის წარმოთქმისას გულწრფელია და ყოველთვის გამოირჩევა მთიელი კაცისათვის დამახასიათებელი სიმართლით და სიალალით. ნათქვამია: თუ, თვითონ არ განიცადე, სხვას ვერ განაცდევინებო და, მისი უსაზღვრო პოეზიიდან, შევჩერდები ერთ, პატარა სტროფზე.

ფიქრნიც მზეობენ,

ფიქრნიც, როცა —

ფიქრებს ერთვიან...





მზეს რომ ვუყურებ,  
მეც მგონია,  
რომ... მზე  
ღმერთია...\*

*\*ღმერთი, რომელსაც მე თვალთ ვუყურებ, ეს — მზეა..  
ნაპოლეონ ბონაპარტი*

ქრისტიანობამდე ქართული წარმართული ღვთაებები დაკავშირებული იყო ციურ მნათობებთან, განსაკუთრებით მზესთან. მზის კულტი საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო. მიწისა და ცის კავშირი ანტიკური აზროვნებიდან დღემდე ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენდა. მრავალი ოდაა მიძღვნილი მზისადმი. განა სულ ახლახანს, „ევროვიზიაზე“, საქართველოდან წარგზავნილმა პატარა მარიამმა თავისი ღვთაებრივი ხმით მზეს არ უმღერა? რის გამოც მსოფლიო აალაპარაკა. დიახ, ბევრი ლექსი თუ სიმღერა მომისმენია მზესთან დაკავშირებით, მაგრამ... ბატონ ფარნას ეს სტროფი გამაოგნებელია. ეს სიტყვები იმ რიტუალის ნაწილია, რომელიც ქართული კულტურის თუ ტრადიციების სათავეებიდან მოდის, მარტო ეს პატარა ლექსიც იკმარებდა, რომ გვეთქვა ფარნაზე: იგი — ჭეშმარიტი პოეტია...

**გურამ ურჩხაშვილი**  
*თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი,  
ფოლკლორულ ანსამბლ „წინანდლის“ სოლისტი*

## გილოცავთ იუბილეს...

მთის სურნელებაა ჩანწული პოეტ ფარნა რაინას შემოქმედებაში.  
თუშეთის ზურმუხტოვანი მიწიდან აქვს საზრდო ალებული მის მდიდარ პოეზიას.  
თუშეთის სიო ელამუნება მის ლექსებს და მთის არწივის ფრთებივით მაღია და დაულლელი.  
თუშეთის ცამ და მიწამ შეაყვარა პოეტს სამშობლო — ქვეყანა, აქედან იწყება სიყვარული, — უდიადესი. მისი სალოცავი ჩვენი ფრთახატულა საქართველოა, სადაც სამშობლოს სიყვარულის სადიდებლად მუზას მობრძანება არ სჭირდება, — განუყრელად პოეტთანაა...

### სიცოცხლეზე მეტად

სიცოცხლეზე  
მეტად მიყვარს:  
ეს სამოთხე,  
ცა, — ლივლივა,  
ვინაც —  
ღმერთის  
მცნებას მიჰყვა, —  
სიყვარულში  
დაილია  
არა მარტო, —  
მზედ რომ,  
ელავს, —  
დიდი:  
შოთა  
და ილია,  
ამ მიწისთვის  
ვინაც —  
დატკბა,  
დაშვრა,  
დადნა,  
დაილია.

რწმენა, — აი, უმთავრესი — ყოველი ადამიანისათვის.  
რწმენა — უფლისადმი, — რომელიც სასიცოცხლო ძალას გვაძლევს, სასიცოცხლო ძალას გვმატებს.

### უფალო

უსაზღვროა და  
უნაპირო,  
რაც მიწა  
მზით ვთქვა,



სამარადისო შარავანდი  
რარიგად  
გშვენის!..  
არ მეგულეა —  
სამყაროში,  
ისეთი  
სიტყვა  
რომ გამოვხატო  
სიდიადე,  
უფალო  
შენი.

და, როგორც კეთილ ზღაპრებშია, სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს და რა სჯობია, რომ: სიკეთე, ერთიმეორის თანადგომა ჩვენი ცხოვრების მიზანი იყოს, და, რა სჯობია — გვიყვარდეს ადამიანი!..

### სანამ...

ერთიმეორის —  
ხმას  
სანამ ვისმენთ,  
და... სანამ —  
გულის  
თვალეებით ვხედავთ,  
ერთიმეორით  
ავსხვივდეთ, — ისე,  
რომ...  
ბენვის ხიდზეც  
გავიდეთ მხნედა...

და, როგორც პოეტი გვმოძღვრავს — პოეტი ყოველთვის ცა და მიწას შორის აბმული სიმია, — რომელიც ყველა მოვლენას, ყველა სასწაულს გაითავისებს და ჩვენც — მკითხველებსაც ამ სასწაულს გვაზიარებს.

ბატონი ფარნა ყველა მკითხველის სათქმელს ამბობს თავის პოეზიაში, — განსაკუთრებით ლაკონურად და სხარტად, თავის ლამაზ და ფილოსოფიურ კატრენებში სტოვებს მკითხველს დიდხანს, დიდხანს, — გაოცებულს...

პოეტი დიდებულად სწვდება ყველა სფეროს, ცხოვრების რეალურ სურათებს გვიხატავს. იგი მკითხველის გულის გულთამხილველია და ჩვენთვის სათქმელი დაუსწრაფო, — ფიქრობს მკითხველი, — გულდაჯერებით.

გილოცავთ, ბატონო ფარნა, დაბადების 80 წლისთავს, გისურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას, გულის სიმთელეს და დაუთვლელ წლებს, კიდევ გენეროთ ასეთი, — გენიალური ლექს-კატრენები.

**ლეილა თარალაშვილი**

*პოეტი, ბიოლოგიური მეცნიერების დოქტორი*



1989 წელი.

ახმეტის რაიონთან დამეგობრებული დაღესტნის, წუმანდის რაიონის მშრომელთა შრომის დღესასწაულზე.  
მარჯვნიდან, — პირველ რიგში, პირველი, — გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქტორი ფარნა რაინა.





1988 წელი.  
მარცხნიდან, — მესამე — ფარნა რაინა. თუშეთი, — სოფელ ომალოს აეროპორტზე.

## იხარე და გაგვახარე!..

ფარნა! გილოცავ სახელოვან იუბილეს, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს გეტარებინოს ის დიდი ტვირთი, რასაც მამულის და ერის სიყვარული ჰქვია. კიდევ ბევრი ერთობლივი სიმღერა შეგვექმნას ქვეყნის და ერის სადიდებლად, დიდი სიყვარულით მოვფერებოდეთ ჩვენს სალოცავ ენას.

იხარე და გაგვახარე შენი ამაღლებული პოეზიით; მრავალჯამიერ!..

**ჯუშუპარ სახეივნილი**  
მუსიკოსი

## მრავალჯამიერ, მეგობარო!

„ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სისტემაში უყურო, როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება“. ამბობდა ჩვენი სასიქადლო მწერალი ნოდარ დუმბაძე. ზუსტი და გონივრული რჩევაა ნებისმიერი ადამიანის — როგორც პიროვნების და მოღვაწის ჭეშმარიტი შეფასებისათვის. ალბათ, ამიტომაც გამახსენდა ეს სიტყვები, როდესაც გადავწყვიტე ფარნა რაინასთვის მისი საიუბილეო 80 წლისთავის მისალოცად ორიოდე სიტყვა მეტყვა. ამისათვის მარტო სურვილი და კეთილგანწყობა კი არა, ჩვენს შორის თითქმის 60 წლიანი საქმიანი ურთიერთობა და წმინდა მეგობრული სიყვარული და პატივისცემა, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტ ღირებულებას იძენს. დიახ, ფარნა რაინასთან ჩემი ასეთი ხანგრძლივი და მეგობრული ურთიერთობის გამოცდილება მაძლევს საფუძველს ხმამაღლა განვაცხადო, რომ რომელიც კუთხიდანაც გსურთ იქიდან უმზირეთ ფარნას, ყოველი მხრიდან იგი იმზირება უპირველეს ყოვლისა, როგორც სამშობლოსა და თავისი ხალხის სამსახურში მდგარი და მათზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომლისგანაც უხვად მოედინება უღვევი სიკეთე, სიყვარული, შრომისმოყვარეობა, ერთგულება, ზნეობა, პატიოსნება, პრინციპულობა, სამართლიანობა და სხვა უამრავი დადებითი იმპულსები (რომლებიც სამწუხაროდ, თანდათანობით ასე დეფიციტური ხდება ჩვენი რთული და დაძაბული ყოველდღიური ცხოვრებისათვის). ამის თვალსაჩინო დადასტურება კი უპირველეს ყოვლისა მისი მრავალფეროვანი და ორიგინალური პოეტური შემოქმედებაა, რომელმაც კარგა ხანია განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება მოიპოვა მრავალრიცხოვან მკითხველთა შორის. ფარნა რაინა „თხემით ტერფამდე დახვეწილი პოეტი... ძველი ღვინოსავით დაწმენდილი პოეზიის პატრონია“ (ზაალ ბოტკოველი). „ფარნაოზ რაინაული სწორედ რომ ღვთისნიერი კაცია. უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ლექსში, ყველა ჩანაფიქრსა და ნამოქმედარში. მწერალთა კავშირის ეს ღვანლმოსილი მოღვაწე ჩვენი მწერალთა დიდი ოჯახის უსაყვარლესი წევრია“ (მაყვალა გონაშვილი — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე). „ფარნა რაინას თითოეული კატრენი ბრწყინვალე სიტყვაა მოკლედ და შთამბეჭდავად თქმული, გენიალურ შემოქმედს ქინძისთავზე რომ მოუთავსებია“ (მაყვალა მიქელაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი). უამრავია ფარნას პიროვნებით და მისი პოეზიით აღფრთოვანებისა და მონონების გამომხატველი სიტყვები და გული სიამაყით გვევსება, რომ ეს ყველაფერი შენს თანაქალაქელზე და მით უფრო მეგობარზეა თქმული, რომელიც სრულიადაც არ არის გადაჭარბებული. ეს პოეტის ნიჭისა და შესაძლებლობების ჭეშმარიტი აღიარებაა.

ფარნა რაინას შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალრიცხოვან მოყვარულებთან



ერთად მისი მეგობრებიც ვულოცავთ დაბადების 80 წლის იუბილესა და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

არ დაიღალო, არ შედრკე, არ შეჩერდე. 80 წელი არც ისე ბევრია, ჩვეული შემართებით და გამართული ვაჟკაცური ნაბიჯებით კიდევ დიდხანს იარე შენი ცხოვრებისა და შემოქმედების ფართო გზაზე. მრავალჟამიერ, მეგობარო!

**ქიულენ ყარაულაშვილი**

თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის  
1963 წლის კურსდამთავრებულ თანაჯგუფელთა სახელით

## მამულის სენი განუხებს

*ფარნა რაინას*

თითებზე ჩამოითვლება  
შენებრ ვაჟკაცი ქართველი,  
შენი ლექსებით ითვრება  
თვალში ვისაც აქვს ნათელი.  
ლომი ხარ პოეზიაში,  
ჯილაგითაც ხარ მაგარი,  
შეხვედი უკვდავთ სიაში,  
როგორც თელავის ჭადარი.  
არ გეურჩება რითმები,  
სანთელივით ქნი სტრიქონებს,  
ბერდები, სიბრძნით ირთვები,  
ცინცხალ შედევრებს იგონებ.  
მარტო თელავის კი არა,  
მთელი კახეთის ხარ თვალი,  
ქართულ ზნე-ნირით კრიალა,  
მუზით და ლექსით დამთვრალი.  
მამულის სენი განუხებს,  
გატირებს მოყვასის ჭირი,  
ლექსით გლეჯ სევდის მარწუხებს,  
ლექსით ქართველის ჭირს დასტირი.

**ჯუმბარ უთრუთაშვილი**

*პოეტი*



2009 წელი.

მარცხნიდან მარჯვნივ, პირველ რიგში: პოეტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლეილა თარალაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეილა შალვაშვილი, მეორე რიგში, მეორე — ფარნა რაინა და პოეტი, ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი — ნუნუ ძამუკაშვილი.



## „კასოვ ლექსებს, ვითარ — გგოსანი მოგვი“ იმედიანი სიტყვით — ცხოვრების პირისპირ...

ყველა ქალაქს ჰყავს თავისი კოლორიტები, თავისი გამორჩეული პიროვნებები. მე არ მსურს იმის თქმა, რომ ბატონი ფარნა რაინა მხოლოდ თელავშია გამორჩეული, თუმცა კოლორიტი მაინც არის.

მას საქართველოში იცნობენ, როგორც თვალსაჩინო პოეტს, ჟურნალისტს, პუბლიცისტს, ჭეშმარიტ პატრიოტს.

ბატონი ფარნა რაინა არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირის სამეურვეო საბჭოს წევრი.

მრავალი პრემიის: გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ჟურნალ „ოლეს“, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მოქალაქე, თელავის ლიტერატურული ელიტის თავკაცი, შემოქმედი, რომელიც მართალი სიტყვით, მთელი ძალისხმევით ემსახურება თავის ერს, თავის ქვეყანას. ქართული სიტყვის სრულქმნის ოსტატია იგი.

უკიდევანო ბატონი ფარნას სიყვარული სამშობლოსადმი. ის დიდი ცოდნითაა აღჭურვილი: ზედმიწევნით იცის საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, ლიტერატურა, ბრძნული მითოლოგია, ფილოსოფია და ბევრი სხვა რამ. ის მაგონებს მემატეიანეს, რომელიც აღწერს ქვეყანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ავედრებს ღმერთს, რათა გაბრწყინდეს მისი სათაყვანებელი სამშობლო, ხან მეხოტბეა საქართველოსი, ხან ჭირისუფალი; სხვადასხვა ასპექტში გვიმხელს თავის სიყვარულს ქვეყნისადმი...

ჩემო სახატე, ჩემო მამულო,  
ტანჯულ-გვემულო, სისხლით ნამულო...

.....  
დატორილო,  
დაგლეჯილო,  
დაფლეთილო  
მინავ...

.....  
მზის შადრევანო, ვაზის მტევანო,  
მამულზე ფიქრით ღამის თევანო...

### სამშობლოს განცდა

უსხივესია,  
უმძაფრესი —  
სამშობლოს  
განცდა, —  
სიყვარულს ყველას, —  
რაც არსებობს,  
გაუსწრო,  
გასცდა...

და კიდევ რომელი ერთი გულისმწველი სტროფი, ან, სტრიქონები გავიხსენო?

პოეტი მთელი არსებით მინდობია ღმერთს, ღმერთი მასშია, ამიტომაც, ალბათ, უზენაესმა დაამადლა მას ასეთი გამორჩეული ნიჭიერება, სიკეთე, გულისხმიერება.

უფალო —  
ცათა  
სიკეთის მძლოლო,  
აბნელებ — ვისთვის...  
და... ვისთვის ელავ...  
რაიც მე ვიშვი,  
მე ერთს გთხოვ, —  
მხოლოდ,  
რომ...  
ჩემზე უკეთ  
ამყოფო ყველა...

შეიძლება არაერთი ბრძნული და, ღამაზი სტრიქონების მოტანა ბატონ ფარნა რაინას პოეზიიდან, მრავალრიცხოვანი გამოსვლებიდან საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობებზე თუ, ახალგაზრდა შემოქმედებთან შეხვედრებზე, უპირველეს ყოვლისა, ერთი რამ კი ცხადია, მისი ყოველი ნათქვამი ფრაზა გამორჩევა სიღრმით, განსწავლულობით, ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისადმი.

ბატონი ფარნას ძარღვიანი სიტყვა ძალას გვმატებს.

ორი პოლუსი: უნაზესი ღირსი და პატრიოტული შემართება იკვეთება მის პოეზიაში (დიდაქტიკურ-მორალურიც — კატრენებში). ამას თან ერწყმის პოეტის ფილოსოფიური ჭვრეტა. ეს გვიბიძგებს იმისკენ, რათა, კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდეთ ფარნა რაინას პოეზიას. ის, როგორც აღვნიშნე, სიყვარულითა და სიამაყით ხოტბას ასხამს ქართულ მუსიკას, სპეტაკი გრძნობით გადაუშლის გულს სატრფოს, ამათრახებს ქვეყნის



გამყიდველს, ჩვენი მძიმე ეპოქის დრამატული მოვლენების დროს, იმედიან სიტყვებს ამბობს, აღვივებს ცეცხლს სამშობლოს სიყვარულისადმი. სიტყვაკაზმული მეტაფორებით აჩუქურთმებს თავის გულისნადებს.

ბოლოს, მინდა მოვულოცო ბატონ ფარნას დაბადებიდან 80 წლის იუბილე. ჩვენდა გასახარად კიდევ შეექმნას პოეტური შედევრები, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და თავისი სანუკვარი ოცნების — ჩვენი ქვეყნის გაერთიანების, გაბრწყინების ასრულება.

მინდა მის ოჯახსაც მივულოცო ეს თარიღი, წარმატებები ვუსურვო, არ მოშლოდეთ უფლის თანადგომა!..

**ნელი ზუროზილი**

*ნიკო სულხანიშვილის სახელობის  
სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი*

## ბილოცავთ!

ბატონო ფარნა, მინდა მოგილოცოთ 80 წლის იუბილე, მივულოცო თქვენს ოჯახს, თქვენს ლამაზ და ნიჭიერ შვილიშვილებს.

ძალიან მიყვარს თქვენი ფრაზა — ჩხუბი და საყვედური არაფერს მოგვცემს, კაცი ნამუსის ცხენზე უნდა შესვაო. სულ მეცინება ამ სიტყვებზე, მაგრამ ვალიარებ, თქვენმა სიმშვიდემ და პრინციპულობამ ბევრი კაცი შესვა ნამუსის ცხენზე.

ღმერთმა მოგცეთ ძალა კიდევ დიდხანს ხატოთ ქართული ლექსი (ვისაც ბატონ ფარნას ხელნაწერი უნახავს დამეთანხმება, რომ იგი კი არ წერს, ხატავს). კარგია სუფთა კაცები რომ არსებობენ ქვეყანაზე.

მიხარია, რომ ჯანმრთელსა და შემართებულს გხედავთ.

**ლია დაუშვილი**

*ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის  
„წმინდა ნინოს ჯვარი“ ორგანიზატორი*



*1969 წელი, თუშეთი.*

*რაინაულების საგვარეულო სოფელ ვესტმოს სალოცავი ნიში, — ე.წ. ხატი (წმინდა მარიამის სახელობის),  
სადაც მიაქვთ არაყის, ღვინისა და ლუდის ზედაშე, სანთლებს ანთებენ და ცხვარს სწირავენ.*

*თეთრ, ხატის დროშასთან, მარცხნიდან, — მესამე — მამისეულ ქათიბში (ჩოხის ერთ-ერთი სახეობა, —  
მსგავსი, მასრების გარეშე) ფარნა რაინა გვარ-ბიძაშვილებთან.*



## ფარნა რაინას საიუბილეოდ

„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია...“  
გალაკტიონი

შენს კატრენებს ვენაცვალე,  
ფორმით ფრანგულს,  
სიბრძნით ქართულს.  
რომ დახუნძლე და ჩაჭუჭყე  
ულამაზეს სტრიქონებად.  
დაგვაჯერე, ასე სათქმელს, —  
სხვა ვერ იტყვის შენნაირად,  
რითმების გენიოსი ხარ,  
გიხმობენ ფარნა რაინად.

ჯადოსნურ სიომ დაბერა,  
შენი ლექსთწყობის წიაღში,  
სიახლე შემოიტანე  
მსოფლიო პოეზიაში.  
საამაყო პოეტი ხარ,  
არა, ვილაც, ერთი რამცა,  
კატრენებში ჩაატიე  
მორალიც და ზნეობაცა.  
აფსუსს, გოგლა ლეონიძე,  
როგორ გულით დაგლოცავდა.

სულ გინდა, რომ ღვთიურ მუზებს  
ლექსის სიახლე მოსტაცო,  
მორალურ-დიდაქტიკური  
შეგონების დიდოსტატო.

კიდევე, ბევრჯერ, დაგვანახე,  
ელვარება შენი ნიჭის,  
გალიაროთ დიად მგოსნად,  
დამერწმუნე, სულ არ გვიჭირს.  
არსად არ თქვა: ოთხმოცის ხარ,  
ორმოცსაც კი არვინ მოგცემს,  
იმ სპონსორებს გაუმარჯოს:  
შენს საგანძურს ვინც გამოსცემს...

მწამს, რომ დიდხანს მოაძოვებ —  
მაგ ქუდის ქვეშ ფიქრის ვერძებს,  
ბრძენი დიოგენესავით,  
ადამიანს ფარნით ეძებ.  
იუბილეს მოგილოცავ,  
ავსებული ფიქრის ყანნით,  
სიბრძნის მარგალიტებისთვის,  
ლამეები კიდევე დასწვი.  
მცირეში, რომ ბევრი რამ სთქვა,  
ეს ხომ შენი დევიზია,  
კატრენებმა მოგიმრავლა —  
მკითხველების დევიზია.

ჩვენს თელავში დიდხანს გეველოს,  
პოეზიის დიდო ლომო,  
თუშეთიდან აფრენილო,  
სიყვარულის ეტალონო!..

**ზურაბ (მარლენ) მარკოზაშვილი**



2006 წელი, 27 დეკემბერი.

ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსის: „ჩვენ მოვდივართ“, — მოსწავლეთა და ყიურის წევრთა ერთი ჯგუფი — წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ძეგლთან.



## კატრენები

ფარნა რაინას კატრენების I ტომი ჟურნალ „ოლეში“ გაგრძელებებით გამოქვეყნდა. წინამდებარე საიუბილეო ნომერში სრულად გთავაზობთ კატრენების II ტომს. დასაბეჭდად მზადაა კატრენების III და IV ტომები.

### იესო...

ხამს, —  
სულით ვიბროლოთ,  
ხამს, —  
გულით ვიბროლოთ  
და... სიკვდილიც კი  
ვერ გვიცვლის  
იესო...  
და... მე მწამს —  
იესო...  
და... მე მწამს —  
იესო:  
ღირსების სიმბოლო, —  
სიმართლის სიმბოლო,  
სინდისის სიმბოლო, —  
სინდისის სიმბოლო,  
სიყვარულის და  
სიკეთის სიმბოლო...

7. VI. 2016

### წელი – 80...

ხარ: ბედნიერი,  
როცა —  
ზე-ილტვი, —  
ზე-შემოქმედი —  
ამო\* ცვლილების...  
წელი — 80  
არის  
ზენიტი:  
ცოდნის,  
სიბრძნის და...  
გამოცდილების...

10. XI. 2016

ამო\* (რუსთ.) საამო

### ლექსი...

მარადისობის  
მზით, თუ —  
მოელტვი...  
და...  
სიბრძნე  
თუ, ხარ —  
ლექსის  
ნეკერო...  
ლექსი —  
მაშინ ხარ:  
ყველას,  
ყოველთვის,  
გულში —  
ენტო და...

პირზე —  
ეკერო...

18. X. 2016

### გული...

სიკეთე, მიწყევ,  
უფლის გონია...  
ავი კი ზეობს —  
სიავის  
ჩვევით...  
რასაც ვნერ  
ცეცხლით, —  
ლექსი ჰგონიათ,  
ლექსი კი არა,  
გულია, —  
ჩემი...

7. IX. 2015

### მხოლოდ — სიმართლე...

ჭეშმარიტებად  
ვინც —  
არ ინათლებს,  
გაჰყვება —  
წელთა  
მზაკვართა  
ქართა...  
ხამს:  
მხოლოდ,  
მხოლოდ,  
მხოლოდ —  
სიმართლე...  
და... არაფერი —  
სიმართლის  
გარდა...

24. VIII. 2014

### ვინც — როგორც ინვის...

სიბრძნეს ვუწოდებ —  
ცეცხლის  
ამ დებას, —  
წერს ვინაც  
მზის ქვეშ,  
მზისებრ ბარათებს...  
ვინც —  
როგორც ქრება,  
ისე —  
ღამდება,





ვინც —  
როგორც იწვის,  
ისე ანათებს...

### ნობელი...

მზის ქვეშ —  
მზედ,  
ბინას იკეთებს,  
ღმერთმა დალოცა  
ნობელი, —  
მთელი პლანეტის  
სიკეთედ...  
და...  
სიყვარულად  
მდნობელი...

9. XII. 2010

### საქართველო...

შენი — ეშხი,  
შენი — სუფრა,  
შენი — ცეკვაც  
სად არ ფასობს? —  
პოეზიის,  
სიმღერის და  
სიყვარულის  
სადარბაზო!..

5. V. 2015

### ვარ ბედნიერი, — ყველაზე, მაშინ... ანუ — საქართველოს...

შენ გხედავ —  
ვაზის მირონის  
სმაშიც, —  
რაც სათქმელია,  
გულმა რომ  
სულ თქვას...  
ვარ ბედნიერი, —  
უფრორე,  
მაშინ —  
შენ, როცა გიძღვნი:  
სიცოცხლის  
სუნთქვას...

1. X. 2010



### უნინარეს, უპირველეს: დედაენა, — ქართული...

ყველა ენა —  
სინდისია,  
სიყვარულის  
ნათლული, —  
უნინარეს,  
უნინარეს,  
უნინარეს,  
ქართული!!!  
ყველა ენა —  
სიცოცხლეა  
და... სიკეთით  
განთქმული...  
უპირველეს,  
უპირველეს,  
უპირველეს:  
ქართული!!!..

20. I. 2011

### უნდა — დაინვა...

გვაქვს:  
მერამდენედ? —  
მუხა —  
ნამუშლი,  
დარდის ბაღნარი:  
მინა,  
აი, ცა...  
თუ, — გტკივა —  
გულიც,  
სულიც, —  
მამულით,  
უნდა —  
ენტო და...  
უნდა —  
დაინვა...

15. IV. 2011

### ჟემარიტი მწერალი...

სულია მისთვის:  
ოქროც და  
ვერცხლიც...  
და...  
ყველა დროის —  
აზრის  
მწვერვალი...  
ინთება...  
ინვის —  
ეპოქის ცეცხლით...  
დულს —



ჭემმარიტი, თუა,  
მწერალი...  
გულს აძლევს  
დულილს  
და... რწმენა —  
მზით ჰყვია...  
სიცოცხლედ  
უღირს —  
მართალი  
სიტყვა...

18. V. 2013

### კახეთი...

ილიას  
სიბრძნის  
გზის დამლოცველი,  
არსად: ჭაჭანით  
ქაჯთა, —  
არა ზნის...  
უფლის თვალის და  
მზის საკოცნელი —  
ეს, —  
ძუძუსავსე —  
ველი  
ალაზნის...

25. IX. 2010

### თუშეთი...

სიყვარულით და...  
ნებით  
უშრეტით,  
სახელის ჟინი  
მძაფრი დაუვლის...  
დროის კვარცხლბეკზე  
შედგა —  
თუშეთი, —  
ვითარ:  
ქანდაკი  
გაფრინდაულის...

25. IX. 2010

### ვფირავ...

ვფიცავ: ყველა,  
დასაფიცარს, —  
კუბოდ გავთლი  
დასტა ფიცარს,  
მამულს —  
გული  
თუ, არ მივცე,  
წამს, —  
სამიზნედ  
დავსვა ფიცხლად...

19. VII. 2014

### თუ, გვსურს — გადავრჩეთ...

თუ, გვსურს —  
გადავრჩეთ, —  
აზრი —  
სიბრძნით,  
თუა ნათალი,  
უნდა:  
ორგული,  
უმზაკვრესი,  
ვდევნოთ —  
ცხრა მთამდე...  
ბოლოს და...  
ბოლოს,  
სჯობს გაირჩეს —  
მტყუან-მართალი,  
ბოლოს და...  
ბოლოს, —  
ჯოჯოხეთი  
უნდა —  
დამთავრდეს...

11. VIII. 2016

### მხოლოდ და... მხოლოდ, — სიყვარულისთვის...

ბრმა გული —  
მინყვი,  
დარჩება ბრმავე, —  
უსიყვარულოდ,  
ის ბრმა გული თრთის...  
სიცოცხლე  
თუ ღირს, —  
ამ ქვეყნად,  
რამედ,  
მხოლოდ და...  
მხოლოდ,  
სიყვარულისთვის...

5. XII. 2010

### ყველაზე, უფრო: სასახელოვ და... ძნელიც, — უფრო...

ვინ არ გვებრძოდა, —  
დასაბამით,  
ცა-მინის მძვრელი,  
ყველა ქაჯეთმა —  
ქართველობას  
სანთელი  
უქრო...  
სასახელოა —  
თუ,  
რამ,  
უფრო,





და... უფრო... ძნელიც,  
ქართველობაა:  
სასახელოც...  
და... ძნელიც, —  
უფრო...

5. IX. 2016

### სიღიადე...

რა ცოტამ იცის —  
სიღიადე,  
რამდენმა —  
ბუნდად,  
ასევე — ცოტამ,  
თურმე,  
ცოტამ,  
იცოდა გუშინ...  
არსად არ არის —  
იგი, —  
სხვაგან...  
და... ცოდნა  
უნდა, —  
სიღიადეა —  
ღვთაებრივი:  
სულშიც და...  
გულშიც...

30. X. 2016

### რატა უნდა გამიკვირდეს?!..

რაიც ვთესეთ, —  
ვიმკით შედეგს,  
რითაც —  
გულებს  
ალი ვკიდეთ...  
მზის ქვეშ, —  
უფლის  
ჯვარცმის შემდეგ,  
რატა უნდა  
გამიკვირდეს?!..

6. IX. 2015

### ადამიანად — ხომ, უნდა დარჩე?!..

მოხვეჭის ხიბლმა  
რამდენი  
შერყვნა?!..  
რამდენი ელის —  
სირცხვილის  
სარჩელს...  
რაც უნდა იყოს —  
ცხოვრება, —  
ქვეყნად,  
ადამიანად —  
ხომ, უნდა  
დარჩე?!..

29. X. 2016

### აისი... (სურათი)

ვწვავ ღამეს, —  
ფიქრის  
სუსხით მოსრესილს...  
და...  
ცაც იღებავს —  
იერს, — სოსანით...  
მზე —  
შარავანდით, —  
უსხივოსნესით,  
გადმოდგა მთებზე, —  
იესოსავით...

### ღიადი...

ღიადი არის  
მსგავსი —  
არსით მზის, —  
მისებრ,  
მწვერვალზე —  
აზრის,  
ვინ ადის?..  
ის —  
ვერ შეწვდება  
ღიადს, —  
საზრისით,  
ვინაც არ არის —  
თვითონ,  
ღიადი...

28. VI. 2016

### ვინც — წოტა იყის, ვინც — ბევრი იყის...

აზრს, —  
დღეში, ხუთჯერ,  
ის —  
არ-რით იცვლის,  
ვინც იცის  
სიბრძნე —  
ამ მიწის,  
იმ ცის...  
ის —  
ბევრს საუბრობს,  
ვინც —  
ცოტა იცის,  
ცოტას საუბრობს,  
ვინც —  
ბევრი იცის...

9. I. 2016



## რა წოტა არის?!..

ჩვენი სიცოცხლით, —  
რამდენი  
ვცოდავთ?! —  
მზიან გულს,  
როცა —  
ავდარს მივაშლით...  
რა ცოტა არის?! —  
ძალიან,  
ცოტა:  
ადამიანი —  
ადამიანში...

30. VII. 2016

## დასანანი...

მონმა:  
მინა,  
მზე,  
მთვარე და...  
ვარსკვლავთა კრებაც, —  
სიყვარულია:  
არსთა  
არსი, —  
ყველაფრის... ამის...  
დასანანია —  
დრო, როდესაც:  
ქარივით ქრება,  
უსიყვარულოდ,  
როცა ქრება —  
მცირედი ნამიც...

19. X. 2016

## იქნება, შევცოდე?..

ხანდახან, —  
გულს მინვავეს  
ფიქრების  
მზე, — ცხარე...  
იქნება, შევცოდე,  
ციურო  
მამაო?..  
იქნება, —  
თუშეთმა დაკარგა  
მეცხვარე?..  
და...  
ლექსებს ვბლანდავ და...  
ეჩხიბაობ, —  
ამაოდ?..

12. IX. 2016



## მე — ვიყო, — თვითონ...

ასე მგონია:  
ვინც ამზევდა,  
ვინ — ის და...  
ვინ — მე?..  
რამდენი ფიქრობს:  
ბაძვით,  
ბედის —  
ვარსკვლავებს  
ვთვლითო...  
მე —  
არასოდეს მიფიქრია,  
რომ ვიყო —  
ვინმე,  
ვინცა ვარ,  
რაც ვარ,  
მირჩევნია:  
მე — ვიყო, —  
თვითონ...

25. X. 2016

## ტკივილი...

გულის ტკივილით,  
ფიქრის  
ცეცხლით,  
ნერვები გაცვდა,  
ძნელია:  
ყურის,  
თვალის,  
კბილის  
ტკივილიც თუა...  
მაგრამ... გაუძლებ —  
ათას ტკივილს,  
ტკივილთა განცდას,  
როცა —  
შენ თავზე  
შენ მეფობ და...  
არ გტკივა —  
ჭკუა...

12. VIII. 2015

## მოსწრება უნდა...

თავი და ბოლო  
ალარ ვიცით,  
ისე აგვრიეს, —  
იმედი —  
მზისებრ,  
რომ სხიოდა,  
ჭიატებს ბუნდად...  
დაუძახია —  
სანამ,  
ჩვენივე,  
მიქელ-გაბრიელს,



ფიქრს,  
ოცნებას და...  
სიყვარულსაც —  
მოსწრება უნდა...

13. IV. 2016

### ხომ შეიძლება?..

შეგხვდებათ —  
ვინმე,  
კაცი,  
ქუში,  
უგულო, —  
ქვისებრ...  
ყოველი დღე კი  
უკეთესის  
ლოდინში გაცვდა...  
ხომ შეიძლება —  
ამაღლდეს და...  
ასხივდეს  
ისე,  
გენიალური იყოს, —  
არსით,  
სიქველევც კაცთა?..

6. VII. 2011

### მარადი სიბრძნე...

ცხოვრება არის:  
ხან — მშვიდი და...  
ხან — ქროლა  
ქართა...  
წყალობა სთხოვე:  
ანყურს,  
სიონს,  
იკორთას,  
სხალთას,  
ეს სიბრძნე  
უნდა მიიტანო —  
სამარის  
კართან, —  
შენ,  
რაიც არ გსურს,  
არ მიაგო,  
აროდეს, —  
სხვათაც...

10. IV. 2016

### წარმავალია ყველაფერი...

დროებითია, —  
ცაზე შვიდი  
რომ ელავს ფერი,  
თქვით —  
ან, — სადღაა  
ჭაჭანება  
მქუხარე გვართა?..

წარმავალია:  
ყოველივე...  
და... ყველაფერი...  
ქვაც  
არ დარჩება,  
მზით ნაქსოვი  
სახელის გარდა...

12. XI. 2010

### სიყოცხლის აზრი...

ბედნიერია,  
ვინც —  
სიკეთით,  
სიყვარულს ჰპოვებს...  
და... ამ სიყვარულს  
არ შემოდებს —  
დახლებზე, —  
ბაზრის...  
სიკეთე არის:  
სიყვარულის —  
„ანიც“ და  
„ჰოეც“...  
სიკეთე არის:  
უწინარეს,  
სიცოცხლის —  
აზრი...

11. IV. 2016

### ვფიქვ...

სიტყვა  
რომ გითხრა, —  
საკადრისი:  
ვინ — შოთა,  
ვინ — მე?..  
მაგრამ...  
თუ, იტყვის:  
ღმერთქალიო, —  
ვინმეზე —  
ვინმე,  
მე ვფიცავ —  
ამ ცას,  
ამ მიწას და  
მე ვფიცავ —  
შენ მზეს,  
ზედგამოჭრილი:  
ეს იქნება,  
ძვირფასო,  
შენზე...

### ჯეშმარიტი სიყვარული...

არსებით,  
მიზნით...  
და... სურვილით —  
ქვეშ-ქვეშ მძრომელი,



თვით, —  
სიყვარულსაც  
ჩარჩის თვალთ —  
აფასებს,  
უმზერს...  
მწამს სიყვარული:  
ჭემპარიტი,  
ნაღდი,  
რომელიც —  
არ იყიდება:  
ტახტზე,  
სკამზე,  
განძზე და  
ფულზე...

8. IX. 2015

### სიბრძნე...

კალმოსანთ —  
სიბრძნე ვიცოდეთ  
უნდა:  
მკითხველთან ვცოდავთ?  
თუ, —  
არა ვცოდავთ?..  
მზეს ვხედავთ  
ნათლად?..  
თუ, —  
ვხედავთ  
ბუნდად?..  
ცოტათი ბევრს ვწერთ?..  
თუ, —  
ბევრით —  
ცოტას?..

7. VI. 2016

### მკოცნის...

მსგავსი:  
ჩახჩახა,  
ბრიალა —  
კოცნის,  
უსხივეს —  
კისკისს  
და... კიაფს  
მე მფენს, —  
მეალერსება...  
მელვრება...  
მკოცნის:  
ეს, —  
ციურეთის —  
დიადი,  
მეფე...

30. X. 2016



### ჩვენა ვართ, — თვითონ...

რამდენჯერ ვცოდეთ?! —  
ღობე-ყორეს  
ვედებით ათასს,  
შული გვაქვს —  
შიგნით,  
რომ —  
ერთურთის  
გულევი ვფლითოთ...  
თუ, რამ გვჭირს —  
ავი  
და... ქაჯური,  
ვაბრალეობთ სხვათა,  
მტერიც,  
მოყვარეც, —  
ჩვენი თავის,  
ჩვენა ვართ, —  
თვითონ...

14. X. 2016

### აი, — მთავარზე, უმთავრესი — დასაბამიდან...

სიღრმით ჭვრეტისთვის —  
ცით, —  
უფალიც  
გვიგზავნის ამბორს,  
ხამს:  
აზრით,  
სიბრძნით ვაოცებდეთ —  
გონებით ბრმასაც...  
ის კი არ არის —  
უმთავრესი:  
ვინ,  
რასაც ამბობს?..  
აი, —  
ის არის:  
რომ შევიცნოთ,  
არ ამბობს, რასაც...

6. VIII. 2016

### ქართველი...

ის არის —  
ქვეყნის კუბოს  
გამთლელი,  
ცხოვრება ვინაც —  
განგებ,  
ართულა...  
სინდისს  
აროდეს კარგავს —  
ქართველი,  
არც —  
სისულელეს ამბობს  
ქართულად...

16. VI. 2016



## უწინარეს და უპირველეს...

უკვირს —  
ატყორცნილ კავკასიონს  
და...  
უკვირს ველებს,  
რომ შემოიჭრა  
და ბოგინობს  
ამინდი —  
მგლური...  
ვინც ჩივის  
ტკივილს,  
უწინარეს  
და...  
უპირველეს,  
უნდა —  
ხალხზე და  
ქვეყანაზე სტკიოდეთ  
გული...

8. X. 2016

## მამაო

*უგვირგვინო მეფეს,  
ქართველი ერის  
მოძღვარსა და მამას — ილიას*

შენებრ, —  
არავინ მეგულვის,  
ერის და  
ქვეყნის —  
მამაო...  
ჩვენთვის დაშრიტე —  
მზეგული,  
ნამიც  
არ გქონდა —  
ამაო...

16. IV. 2016

## მათ — საქართველოს სინდისი მოკლეს...

თუ, ვცდები, —  
უმაღლ,  
მოვიჭრი ორ მკლავს,  
მე —  
პილატეზე  
ვერ ვიტყვი  
პროკლეს...  
ვინაც —  
მისანი ილია  
მოკლა,  
მათ —  
საქართველოს  
სინდისი მოკლეს...

19. III. 2011

## SOS!!!..

მკაცრად გვაფრთხილებს  
დროის კარეტა,  
ემმაკი გვაცდენს, —  
სულით,  
სულ-კრულით...  
როგორც —  
არასდროს,  
ჩვენი პლანეტა  
არ მდგარა, ასე,  
ზღურბლთან —  
უფსკრულის...

### P.S.

მე ვისმენ:  
უფლის —  
განგაშის ზართა, —  
კაცობრიობის  
სასრულის ზღვართან...

### SOS!!!..

29. II. 2016

## ფიქრიც კი — მზარავს...

თითქოს, —  
მზეც, უკვე,  
გვიყურებს წყრომით, —  
პლანეტის ხმებიც  
გაისმის —  
ზარად...  
სუნს ვგრძნობ —  
მესამე  
მსოფლიო ომის,  
სიკვდილი, ვითარ,  
ფიქრიც კი —  
მზარავს...

### P.S.

ღმერთმა ჯოჯოხეთს  
არ-რით დაგვასწროს, —  
სიბრძნე...  
სიფრთხილე:  
როგორც —  
არასდროს!!!..

12. VII. 2016

## მსოფლიო უნდა — გადავარჩინოთ!!!..

ყოფნა-არყოფნის  
მძაფრი  
იარა,  
როგორც — არასდროს,  
გახდა საჩინო...  
მარტო:  
ქართველი ერი  
კი არა,  
მსოფლიო  
უნდა —  
გადავარჩინოთ!!!..

## XXI...

ოცდამეერთემ —  
 ძალის,  
 ფულის  
 აუშვა აფრა, —  
 ჯიქურ ირევა  
 ერთმანეთში:  
 აზრი და  
 დროცა...  
 დღეს —  
 გულისცემა  
 დედამინის  
 იგონობა მძაფრად,  
 ათქმევიანებენ  
 ენის სათქმელს  
 იარაღს  
 როცა...

28. V. 2006

## კარობრიობის — გადასარჩენად!!!..

დღეს —  
 ბედისწერა  
 დრო-ჟამს ვისად თვლის?..  
 მე ვლოცავ:  
 უბრძნეს  
 აზრთა გაჩენას, —  
 კაცობრიობის —  
 მომავლისათვის...  
 კაცობრიობის —  
 გადასარჩენად!!!..

25. III. 2016

## ეროვნება...

იყენებს ვინაც  
 სისულელეს —  
 პურად და  
 ყველად,  
 ორ ფეხზე მდგომებს  
 ეროვნება არ აქვსო, —  
 ღორობს...  
 ადამიანებს —  
 ეროვნება  
 ყველას აქვს, —  
 ყველას...  
 არ გააჩნია  
 ეროვნება —  
 ცხოველებს, —  
 მხოლოდ...

2. IX. 2016



## ცხოვრება — თეატრი...

ვულკანის ლავით —  
 ფიქრის  
 მთა მაშრობს,  
 და... წლებიც, —  
 თითქოს,  
 იქცნენ —  
 მსტოვრებად...  
 თეატრში —  
 ახლა,  
 ვინლა  
 თამაშობს?!..  
 თეატრი გახდა —  
 თვითონ,  
 ცხოვრება...

12. IV. 2016

## სიყვარულის დღესასწაული...

სიყვარული ხომ —  
 სიცოცხლის და  
 სიბრძნის  
 ღმერთია,  
 ამ პლანეტას კი —  
 სიძულვილით,  
 დღესაც წვა უვლის...  
 რომ შევაჩვენოთ —  
 სიძულვილი, —  
 ერთხმად,  
 ერთიან,  
 სჯობს:  
 დავამკვიდროთ —  
 სიყვარულის  
 დღესასწაული...

25. III. 2016

## „ბესამე მუჩო“\*

მუხლს  
 არ მოგიყრით,  
 ეპოქავ, ურჩო,  
 ჩვენ —  
 იანვარშიც,  
 მოვიყვანთ ივნისს...  
 მღერიან, როცა —  
 „ბესამე მუჩოს“,  
 მგონია —  
 მთელი,  
 პლანეტის ჰიმნი...

5. IV. 2016

\*ესპანურად, — მაკოცე მაგრად... ეს, — სიყვარულის  
 სიმღერა დანერა მექსიკელმა კომპოზიტორმა —  
 კონსუელო ველასკესმა, — 15 წლის ასაკში, ესპანურ  
 ენაზე, 1940 წელს. „ბესამე მუჩო“ XX საუკუნის,





ერთ-ერთ, ყველაზე, პოპულარულ სიმღერად იქცა მსოფლიოში. გასაოცარი ის არის, რომ — ისე დაინერა ეს, სიყვარულის ჰიმნი, „მაგრად მაკოცეს“ ავტორს, არავისთვის უკოცნია, არც — დაქორწინებულა და მარტოობაში გარდაიცვალა 81 წლისა, 2005 წლის 22 იანვარს

**უფრო — ჯვარცმა და...  
უფრო — ტკივილი...**

ბრიყვნი —  
უფრორე,  
ნეტარ დადიან...  
ბევრჯერ, —  
უღირსი  
მოგვდევეს კივილით...  
ღირსება, —  
თურმე,  
უფრო — დარდია,  
უფრო — ჯვარცმა და...  
უფრო — ტკივილი...

28. IV. 2016

**თუკი, —  
ვერ ვიტან —  
რაიმეს,  
უფრო...**

ვერ ვიტან:  
ღამე, როდესაც  
უფლობს,  
დაბალი —  
მაღალს  
დაჰყურებს მაღლით...  
თუკი, —  
ვერ ვიტან —  
რაიმეს,  
უფრო, —  
მზის ანაფორით  
შემოსილ თაღლითს...

5. VI. 2016

**შეგონება...**

თუ, — გნებავს  
მიჰყვე —  
გზას ბრძენთა, —  
არსთა,  
არ დაემსგავსო  
ყრანტალა  
სვით — ყვავს...  
მზის ნათელს  
უნდა აფრქვევდე  
აზრს და...  
უნდა ნონიდე —  
ყოველთვის,  
სიტყვას...

21. VII. 2016

**დასაბამიდან  
მოგვყვება, რაიერ...**

ვინ მისცემს  
შვებას —  
ხალხს, —  
უღლით დაღლილს?..  
ზნე გაარჩიოს:  
მგლისა და  
ძაღლის?..  
ქურდს —  
ქურდი მოსწონს,  
თაღლითი —  
თაღლითს...  
პატიოსნება  
არ მოსწონს —  
თაღლითს...

12. VI. 2016

**სურათი...**

ხევ-ხუვში, —  
მთათა,  
ჩასთვლიმა ნისლეებს,  
გაფითრდა ღამე —  
მკრთალი და  
მქრალი...  
ცის ტახტზე —  
ახლა,  
ზის  
მთვარე, — ისე,  
ვით —  
ვნებით სავსე, —  
შიშველი  
ქალი...

30. IV. 2016

**რა საჭიროა  
სიტყვები?..**

გულისთქმას  
როცა —  
მივყვებით,  
უფრო ნათდება  
ცა, — უფრო...  
რა საჭიროა  
სიტყვები,  
როცა —  
თვალეებით  
ვსაუბრობთ?!..

11. VII. 2016



**სკოზია –  
განყდეს!..**

გვიყურებს ვინაც,  
ვით —  
ბატის ჭუკებს,  
მზეს და  
სიმართლეს —  
ციხეში  
ამწყვდევს...  
არ შეიძლება —  
მოთმენა, —  
უკვე,  
ნვრილია, სადაც,  
სჯობია —  
განყდეს!..

8. VII. 2012

**„მე ის ვიცი,  
რომ —  
არაფერი ვიცი“...\***

ვის ხვდება  
ნკეპლა, —  
არცოდნისთვის,  
ხოლო,  
ვის — სარი...  
მეც —  
არაფერი ვიცი,  
თუმცა,  
ვიცი —  
ვალი ცის...  
უბედურება —  
ცერცეტიის კი,  
უფრო,  
ის არი:  
ვინაც  
არ იცის,  
არაფერი,  
მაგრამ...  
არ იცის...

17. VI. 2016

\*სოკრატე

**ჭეშმარიტება...\***

რაიც მზე ენთო, —  
სანყისიდან,  
დღესაც ინთება,  
ჭეშმარიტება —  
უკუნეთში,  
მოჰგავს:  
მზის ციალს...  
სიმართლის დროშით  
ბევრი ებრძვის —  
ჭეშმარიტებას,  
ჭეშმარიტება  
რომ არ კვდება,

ის —  
არ  
იციან...

P.S.

ყველა ტკივილი  
სიმართლისთვის,  
არად იურვის,  
ჭეშმარიტება  
სიბრძნე არის, —  
მარადიული...

25. VI. 2016

**ჩემო — ალალო,  
ჩემო — კარგო,  
ძვირფასო, ხალხო!..  
ანუ —  
საარჩევნო  
მიმართვა...**

მზე —  
აზრის,  
სიბრძნის,  
დღემდე... ყინულს  
რად ველარ ალბობს?!..  
ფიქრით დავკარგე  
მოსვენება  
და...  
ველარ ვცხრები...  
ჩემო — ალალო,  
ჩემო — კარგო,  
ძვირფასო, ხალხო,  
როდისღა უნდა  
გაარჩიო —  
მგლები და...  
ცხვრები?!..

18. VII. 2016

**მზესულის —  
ევზომ სიღიაღე  
მაოჩებს თქვენი...**

*ქართული მანდილის სიმბოლოს —  
მაყვალა მიქელაძეს*

რამდენმა —  
შური  
და... სიავე  
დაიდგა რქებად...  
ფიდიასიც, ხომ,  
მოიკვეთეს —  
შურით და...  
რქენით?!..  
მე არ ვამბობ, რომ  
ვიმსახურებ —  
ქებათა  
ქებას,



მზესულის —  
ეგ ზომ სიდიადე  
მაოცებს  
თქვენი...

18. XII. 2015

## სად არის?!..

*საქართველოში უცხოური  
სიმღერების კონკურსის მესვეურებს...*


მზე — განცდა,  
მზე — გული,  
მზე — სული  
თუ, ანდე, —  
ვით —  
ტირტეოსის მუსიკას,  
არ — თულის...  
ტაოს რომ გადაყრის  
და... მოგგვრის  
ჟრუანტელს,  
სად არის,  
სად არის —  
სიმღერა  
ქართული?!..

19. VI. 2016

## მზე...

სიბრძნის სინორჩე  
მიაჩნია რეგვენს —  
ბერ ხედა...  
ზოგი —  
ვერ ხედავს:  
ამ სამოთხეს,  
ამ ველს,  
ან — ამ მთებს...  
რა ვუყოთ —  
თუკი,  
ზოგი — ბრმაა  
და... მზეს  
მზეს ვერ ხედავს?!..  
მზე კი, —  
ხომ,  
მაინც —  
დიადია...  
მაინც —  
ანათებს...

19. VII. 2016



## ნატვრა...

*„ნეტავი, ამსვა, დამსვა და...  
შენთან დამსვა“...*

*ხალხური მოტივი*

ჯოჯოხეთს გავძლებ  
შენთან,  
შენთან გავუძლებ —  
ას ვას...  
„ნეტავი, ამსვა,  
დამსვა...  
ამსვა და...  
შენთან —  
დამსვა...“

15. VII. 2016

## ჭკვიანი კარ...

სიცოცხლე —  
ზოგმა,  
სატანური სურვილით  
ძაგრა, —  
ტაცებით,  
პარვით,  
ხვეჭით,  
გლეჯვით  
და... სხვათა  
ძარცვით...  
თავი კი, თავი —  
შეიძლება, —  
გადაცდეს,  
მაგრამ...  
არ-რით შეძვრება  
სათაგურში —  
ჭკვიანი  
კაცი...

16. VII. 2016

## მაინჯ, — როდემდე?!.. მაინჯ, — სადამდე?!..

ფუჭ დაპირებებს  
არავინ უკლებს, —  
არ დაგვაჭრანო  
ყურებზე —  
ხახვი...  
ზიმბამბვემ —  
ალბათ,  
გაგვასწრო, —  
უკვე...  
თოვლივით დადნა —  
ლოდინით,  
ხალხი...

12. VII. 2016



## ესპანური ეპიგრამა...

ეს, — არ გეგონოთ:  
ზღაპარი ცრუთა,  
არც —  
მოგონილი,  
სიტყვების ქარგა, —  
„კარგს აკეთებდა —  
ძალიან ცუდად,  
ცუდს აკეთებდა —  
ძალიან კარგად“...

13. VII. 2016

## მხოლოდ, — სიტყვების კორიანტელით...

ზოგია: სიტყვით,  
მტვერის  
ამდენი...  
ალარ სჭირდება —  
ფოლიანტები...  
ითვრება... მაინც,  
რადგან  
ამდენი —  
მხოლოდ, —  
სიტყვების  
კორიანტელით...

13. VI. 2016

## გვიანლა არის — თითების კვნიტა...

გვიანლა არის —  
თითების კვნიტა,  
დრო თუ, დაუდგა  
თავში საცემი...  
რაც მაღლა არის,  
მით, უფრო,  
მეტად,  
მართებს სიფრთხილე, —  
დაბლა დაცემის...

19. VI. 2016

## ხალხის სახელით?!..

ფარისევლური  
სპექტაკლები:  
ავთა,  
ავსულთა, —  
კრავის ტყავით რომ  
ანთებს  
სანთელს —  
ქვეყნის მსახვრელი...

ხალხი ბრმა არის?!..  
ხალხი ყრუა?!..  
რით ვერ  
გასრულდა —  
ქარაფშუტული  
ლაღადისი, —  
ხალხის სახელით?!..

18. VI. 2016

## არვის სჭირდება ისეთი — მეფერ...

გულს არ სწვავს  
ვისიც —  
საქვეყნო  
ალხი,  
თვითონ კი  
ციდან —  
ვარსკვლავებს  
კრეფენ,  
არ სტკივა,  
ვისაც —  
ტკივილი  
ხალხის,  
არვის სჭირდება  
ისეთი  
მეფერ...

19. VI. 2016

## ზოგჯერ...

აყალ-მაყალში  
აზრი ინთქმება, —  
ასე სწამთ —  
სიბრძნით  
მდიდრებს...  
დუმილით —  
ზოგჯერ,  
მეტი ინთქმება,  
ჭექა-ქუხილით  
ვიდრე...

23. VI. 2016

## სასაფლაოა — არსით, კაზინო...

თუ, —  
არ შეუშვი  
დღეის —  
ხმა ყურში,  
ტკივილიც,  
დარდიც  
უნდა —  
აზილო...  
სულელთა:



მახე,  
მწარე მარყუჭი...  
და...  
სასაფლაო არის —  
კაზინო...

22. V. 2016

### ლამის...

ვინც იყვნენ —  
დაბლა,  
ასკუბდნენ —  
მალლა...  
ვინც იყვნენ —  
მალლა,  
დასკუბდნენ —  
დაბლა...  
თეატრალური —  
სპექტაკლი?! —  
დაღლა...  
ქვეყანას, ლამის,  
დაეცა —  
დამბლა...

P.S.

სათქმელი —  
ბევრი, —  
არ —  
ნაცრის,  
ლამის...  
წუხს —  
ერიც,  
ბერიც, —  
გავსრულდეთ,  
ლამის...

25. V. 2016

### ქვეყნის — მართვისთვის სადლა სცალიათ?!..

რატომ  
არ არის —  
იოტი ძვრაიცი?! —  
პარტია — ბევრი,  
ერთი — ძვალა...  
სულ:  
ღვარძლი,  
შულლი  
და...  
ვუი...  
ვაი...  
ქვეყნის —  
მართვისთვის  
სადლა სცალიათ?!..

17. VI. 2016

### ნუთუ, — სირცხვილის ნატამალიც ალარ არსებობს???!..

ზოგი — არნივობს  
და... ხომ, ვიცით:  
ნალდი, —  
ბატია?..  
ხალხი არც გახსოვთ,  
მაინც,  
თავს გრძნობთ  
ლალად, — ნასებო,\*  
ხალხის სახელით  
რომ ფაფხურობს  
შავი —  
პარტია,\*\*  
ნუთუ, —  
სირცხვილის —  
ნატამალიც  
ალარ არსებობს???!..

12. VI. 2016

\*(რუსთ.) უშნო, ცუდი, ავი, ცბიერი, მზაკვრული  
მოამბე, მოსაუბრე. 1205,1; 1364,2; 1574,4

\*\*ყველა პარტია — მინიშნებით, პირობითად და  
სიმბოლურად შავია, რომელიც ხალხის სახელით  
ლაპარაკობს და ხალხის სიკეთისათვის არაფერს  
აკეთებს... პირიქით, ყველაფერს ხალხის წინააღმდეგ  
აკეთებს...

### სიმართლისა და სინდისის გარდა...

მტვრად აქცევ  
ფულით —  
ემმაკის  
ნებას,  
ყმად იმსახურებ —  
სამეფო გვართაც...  
იყიდი ფულით —  
რაიც კი  
გნებავს,  
სიმართლისა და  
სინდისის გარდა...

21. VI. 2016

### მიყვარხარ!!!..

შენს სიცილს  
ვადარებ —  
მრგვალი ცის:  
მზის ღიმილს,  
მზის კისკისს,  
მზის ხარხარს...  
ეს სიტყვა  
ვერ გითხარ, —  
არ იცი:  
მიყვარხარ,  
მიყვარხარ,  
მიყვარხარ!!!..



## დიადი სიბრძნე...

დიადი სიბრძნე —  
 მზის ქვეშ,  
 ღმერთმა  
 დასვა ამინდად, —  
 „ჩვენ“-ით და  
 „მე“-თი განსხვავდება —  
 არსი, —  
 ყოველი...  
 „ჩვენ“-ს და  
 „მე“-ს შორის  
 არის —  
 მიჯნა, —  
 დასაბამიდან...  
 ადამიანის —  
 „ჩვენ“ არის და  
 „მე“ კი —  
 ცხოველის...

16. V. 2016

## ისევ... ისევ... ღა... ისევ — ღირსება...

თავი რომ მოაქვს  
 ბულბულად —  
 ბლუ ყვავს, —  
 უღირსი —  
 შურით,  
 ღვარძლით  
 ღვრის სნებას...  
 ვისაც —  
 თავისი ღირსება  
 უყვარს,  
 პატივის სცემს —  
 უნინ,  
 სხვათა  
 ღირსებას...

7. V. 2016

## არ — რით, — არ გვინდა!!!.

არ გვინდა:  
 ხალხის  
 ჯვარცმით გართული, —  
 მძევლის ბედი და...  
 მძევლის უფლება,  
 სხვათა მართული —  
 ანტიხალხური,  
 ანტიქართული  
 ხელისუფლება!!!.

20. IV. 2011

## სიბრძნეთა სიბრძნე...

არ უნდა ჭვრეტდე  
 მზის სანყისს  
 ბუნდად, —  
 ეკუთვნი:  
 რა ხალხს?..  
 რა ჯილაგს?..  
 რა ტომს?..  
 სიბრძნეთა —  
 სიბრძნე  
 იცოდე, —  
 უნდა:  
 გიყვარდეს — ვინ?.. და...  
 გიყვარდეს — რატომ?..

9. VI. 2016

## ბანდა...

ქვეყნის,  
 ხალხის გზას  
 აცდა, —  
 ვინც  
 ეშმაკს  
 ფეხებს ბანდა...  
 თელავში იყო  
 ნაცთა —  
 ერთ-ერთი,  
 დიდი ბანდა...

12. X. 2012

## მეტამორფოზა...

რისხვით ინთება  
 ცა, — უფრო,  
 თითქოს, —  
 სამყარო —  
 იქცევა...  
 იესოსავით —  
 საუბრობს,  
 იუდასავით —  
 იქცევა...

25. IV. 2016

## პოეტური გამოყვანა...

ვიცი, — მოგვთხოვს  
 ვალებს — ქინქლაც,  
 ველარ გავშლით —  
 მალე, წინ, მკლავს...  
 ვინც —  
 ამ ხალხს და...  
 ამ ერს გვიკლავს,  
 ის —  
 სულს აძლევს:  
 ვის?!..

.....



## სიხარული და... მწუხარება...

ცხოვრება არის:  
ჭაპანწყვეტა, —  
ლხენაც...  
ვალალიც...  
გამოუცნობი:  
არსით — სფინქსი,  
კითხვა — ბოლომდი...  
მე —  
ცხოვრებაში,  
სიხარული მიყვარს —  
ალალის...  
მაგრამ...  
თუ, მიყვარს —  
მწუხარებაც, —  
მხოლოდ,  
ბოროტის...

3. V. 2016

## ვინც — სიკეთისთვის, არ იწვის...

დრომ —  
ბევრი ჩანთქა  
და... ბევრსაც  
ჩანთქავს, —  
მიდის და  
მოდის  
წამსვლელთა  
რიგი...  
ვინც —  
სიკეთისთვის,  
არ იწვის,  
არ თქვას,  
რომ... ცოცხალია —  
საერთოდ,  
იგი...

3. V. 2016

## ხალხისთვის — არის?.. თუ, არა?..

ბროლის კოშკს  
ვინაც იკეთებს  
და...  
მზესაც —  
ირგვლივ,  
უარა,  
რომ იმკის —  
მრავალ სიკეთეს,  
ხალხისთვის —  
არის?..  
თუ, არა?..

4. IV. 2016

## წოცხალი და მკვდარი...

ვისთვის — ავდარი,  
ვისთვის — დარია, —  
წარსული —  
ვისთვის,  
არის  
დროც ხვალის...  
ზოგი — ცოცხალი,  
უკვე,  
მკვდარია...  
ზოგი — მკვდარი კი,  
ისევ,  
ცოცხალი...

3. V. 2016

## რჩევა...

დაიხსომე, კარგად, —  
ბრიყვო,  
მოკლედ გეტყვი, —  
კმარა —  
თავმდაბალი უნდა  
იყო,  
თავდამბალი —  
არა...

7. V. 2016

## სიწოცხლეც...

სიცოცხლეც, —  
მზისებრ,  
რა კარგო,  
სიბრძნით,  
სიკეთით ნაქარგო,  
სჯობს:  
ტახტიც,  
განძიც დაკარგო,  
ვიდრე —  
ღირსება დაკარგო...

5. V. 2016

## პარლამენტი...

კანონებით  
სიბრძნეს რგავდეს, —  
ჰგავდეს —  
დედის უბეს, —  
პარლამენტი  
რომ არ ჰგავდეს:  
ბაყაყების გუბეს...

6. V. 2016



## როჯა...

ვერვინ დაფარავს  
სახელს —  
ბინდითა,  
მზით, — სათნოების,  
თუა — ნათალი...  
როცა — უფალთან,  
როცა — სინდისთან,  
როცა — თავთანაც  
არის — მართალი...

3. V. 2016

## ნუთუ???!..

ნუთუ, —  
ავხორცთა  
ზეობს ნება და...  
ნუთუ, —  
სატანაც  
გულზე დავისვით?!..  
ნუთუ, —  
ვინვებით  
ცეცხლში ვნებათა?!..  
და...  
დედამინის —  
დგება  
დაისი???!..

1. V. 2016

## მუჯამ...

როცა ვაშენებ  
ფიქრის —  
მყარ ოდას,  
ან, —  
ფიქრის კიბეს  
მზემდე  
ავივლი,  
თუ, —  
ჰყვავის ფიქრი,  
ანდა —  
ჰყვაოდა,  
შენა ხარ —  
მუჯამ,  
ფიქრის —  
ყვავილი...

29. IV. 2016

## უფრორე, — მეჭად, ჩვენ, რაიერ გვიჭირს...

ხომ გვიჭირს —  
ფული?..  
და... გვიჭირს  
პური...  
გვაცვია სხვისი —

ძონდი და  
ჭინჭი?..  
მაგრამ... უფრორე,  
მაგრამ... უფრორე,  
ღირსება გვიჭირს, —  
სიკეთე გვიჭირს...  
სინდისი გვიჭირს...  
ნამუსი გვიჭირს...  
სინრფელე გვიჭირს...  
სიმართლე გვიჭირს...  
სიალალე და...  
ერთურთი გვიჭირს...  
და... სიყვარული —  
უფრორე გვიჭირს...

23. IV. 2016

## უფალო, ღმერთო...

სუყველას —  
სულის  
სიანკარის  
სანთელი გვენთოს,  
სიბრძნით ვაბამდეთ  
საუკუნის  
ანყვეტილ ქარებს...  
და... მე არ ვიცი,  
პოეზიის —  
უფალო,  
ღმერთო,  
ცრუ მოდერნისტულ  
აბდაუბდას  
ვინ უღებს კარებს?!..

10. IX. 2010

## უფალო — კახეთში...

(სურათი)

ველზე —  
ნისლის  
კაბა, დროზე,  
აუკეცავს  
ფრთასველ ნიავს...  
ზეცის —  
ზღვისფერ,  
კაბადონზე  
მზე —  
ხატივით,  
ასვენია...

## მხოლოდ...

როდი აქვს —  
ყველას,  
სიბრძნეც და  
ნიჭიც?







რომ —  
 არსით  
 არსნი შეიცნოს, —  
 სრული...  
 ზოგს, —  
 ჩვენი თავის  
 ცნობაც კი  
 გვიჭირს...  
 დიადს სცნობს:  
 მხოლოდ,  
 დიადი —  
 სული...

29. IV. 2016

### მანუხეშს — უნინ, უუნინარეს...

სამყაროს —  
 თითქოს,  
 მოედო ჩრჩილი...  
 და... გულზე —  
 დარდი გვიჭერს  
 მარწუხებს...  
 მარტო,  
 მამულზე კი აღარ  
 ვჩივი,  
 მთელი პლანეტის:  
 არსი  
 მანუხეშს...

27. IV. 2016

### საზრისი...

მნამს, —  
 პარლამენტში:  
 ბრძენი და  
 სხარტი, —  
 ქვეყნისთვის  
 ვინაც —  
 გზებს ეძებს  
 მარტივს...  
 ვცემ მათგან  
 ზოგ-ზოგს —  
 პოეტურ  
 პატივს...  
 არ მიზის თვალში —  
 ანტი და...  
 ბატი...

10. VI. 2016



### ეს არის ბრძოლა: მგლების და... ცხვრების...

ხალხს და  
 ქვეყანას —  
 რისხვით რომ  
 ავსებს,  
 ბოლოს და...  
 ბოლოს —  
 რომ ვეღარ  
 ვცხვრებით,  
 ჩვენ,  
 რასაც ვხედავთ,  
 გვგონია  
 ასე, —  
 ეს არის  
 ბრძოლა:  
 მგლების და...  
 ცხვრების...

8. VI. 2016

### შავი — კონკურსი...

მზეს, როცა —  
 ღამის  
 გამა ებურვის,  
 სიმართლე ვნახეთ  
 ქარად ცხებული,\* —  
 დამარცხებული —  
 გამარჯვებული...  
 გამარჯვებული —  
 დამარცხებული...

19. V. 2016

\* (ძვ. ქართ.) კურთხეული

### ნუთუ?!..

მინდა მომხდურთა  
 ბარიკადად ვაქციო  
 ლექსი,  
 კუნაპეტს, —  
 მტრების გონებიდან,  
 მინდა —  
 მზევ, შლიდე...  
 გამოვიარეთ —  
 ბენვის ხიდი  
 დამპყრობთა, —  
 ექვსი...  
 არ გასრულდება?!..  
 და... იქნება?!..  
 ნუთუ?!..  
 მეშვიდეც?!..

7. VI. 2016

## წენავს – მგელი... ანგრევს – ტურა...

ეს ქვეყანა  
გაყოფილა, —  
წენავს — მგელი...  
ანგრევს — ტურა...  
არასოდეს, —  
არ ყოფილა:  
ესოდენი —  
აგენტურა...

2. VI. 2016

## შერდომა...

ვის ძალუძს —  
მაღლა, —  
ღმერთთან შენვდომა?!..  
ამ სოფლის  
მრუდე:  
კიბით,  
საართ?!..  
ვის არ მოსვლია —  
მცირე შეცდომა?..  
საბედისწერო —  
ეგზომ,  
სხვა არი...

7. VI. 2016

## მთელი მსოფლიოს ცირკი?!..

დროა:  
ქაჯობის?!..  
ქვე-რყენის?!..  
ჭირს ყოფნა —  
მართლის, —  
ჭირს... კი...  
ცირკი ვიცოდი —  
ქვეყნის,  
მთელი  
მსოფლიოს  
ცირკი?!..

3. VI. 2016

## რაჯ — მაღლა არის, მით, უფრო, მეტად...

ხომ არის —  
ზოგჯერ,  
თითების კვანთა? —  
დრო —  
არწივული ფრთების  
დაცვენის?..  
რაც —  
მაღლა არის,

მით,  
უფრო,  
მეტად,  
მართებს სიფრთხილე  
დაბლა  
დაცემის...

## პოეზია...

პოეზიაა —  
ჩვენს ჯვარცმის  
დამკვეთს,  
ცეცხლს რომ  
შეუთებს, —  
მავალს ამ არეს...  
პოეზიაა —  
ლამეს რომ  
გაჰკვეთს...  
და...  
დასწავს...  
დასცემს...  
დაასამარებს...

4. VI. 2016

## ახალი ეპოქა...

ფოლადის ფრთებით,  
თუმც, —  
კოსმოსზე  
გვიჭირავს თვალი,  
სიმართლეს —  
უჭირს,  
სინდისა და  
ღირსებას  
უჭირს...  
სულ დავივიწყეთ:  
უფლის,  
ქვეყნის  
და... ხალხის ვალი,  
ეპოქა დადგა:  
აზროვნების, —  
მუცლით და...  
კუჭით...

5. VI. 2016

## როგორ ვიყო კარგად?!..

დავიღალე...  
დავიღალე...  
დავიღალე,  
მაგრამ...  
როცა —  
მტკივა  
ეს პლანეტა,  
მოსვენებას  
ვკარგავ...



## ყველაზე უფრო, დიდი ღირსება...

ღირსებას ვსწავლობთ —  
დასაბამით,  
რაც ღმერთმა  
გვშობა, —  
გვაქვს მარათონი —  
მუდამ,  
სულით  
ღარიბებს,  
მდიდრებს...  
სიკეთით უნდა —  
სიცოცხლისა  
და... დროის  
შრობაც...  
დიდი ღირსება  
არ-რა არის, —  
სიკეთე  
ვიდრე...

12. VI. 2016

## უმტრესი...

ვერები...  
განა —  
არის ქორი?..  
გადავრჩებით  
ან, კი?..  
უმტრესია, —  
ჩვენი,  
ორი:  
კაზინო და  
ბანკი...

3. VI. 2016

## მაინც...

ვაგლახ! —  
მამული რა ხელ\*  
გვიქრება?! —  
სანუკვარ სვესთან  
ვერ-რით  
მივედით...  
ცეცხლში ვარ —  
ფიქრის, —  
ხვალ რა იქნება?..  
ბენჯზე ვკიდივარ —  
მაინც,  
იმედის...

24. V. 2016

\*(ხევსურ. კილო) როგორ

## აღბათ...

უნდა გახსოვდეს —  
ბლენძო,  
ჭიმიტო, —  
თვით, — ტახტზე მჯდომსაც

როცა —  
შავი  
შავს არ ჰგავს და...  
არც —  
თეთრი თეთრს  
არ ჰგავს,  
როცა —  
ქრება  
ყოფნის აზრი  
როგორ ვიყო  
კარგად?!..

2. VI. 2016

## ახალი თბილისი...

ვერ გადადგამ  
ნაბიჯს —  
ისე,  
მათხოვარი  
ხელს შლის...  
უსულობა,  
უფულობა —  
ამოვიდა  
ყელში...

28. V. 2016

## სიკეთე არის: სიღიაღერ, სიზრძნე, ღირსება...

თეთრი და შავი —  
ცხოვრებაში,  
ხომ ჩანს  
სიმკვეთრით?..  
ღირსების სიზრძნე  
თუ, გვენყურია —  
ამ მიწის  
მკვიდრებს,  
ღირსება არის:  
სიღიადე, —  
შვილი —  
სიკეთის...  
სიკეთე... უფრო,  
ღიაღია, —  
თუ, რამ არს, —  
ვიდრე...

P.S.

სიცოცხლის აზრი —  
სიკეთეა, —  
ღირსებით,  
ხოლო,  
სხვა, — ყველაფერი —  
ნულია და...  
ნულს იქით, —  
მხოლოდ...

1. V. 2016



ბედი ელევია...  
სიკვდილი არის —  
ალბათ,  
იმიტომ, —  
ვიგრძნობთ:  
სიცოცხლის —  
ბედნიერება...

26. V. 2016

### აბუქება და... ასეთი?!..

#### ფუკა გრანდიომანებს

რვაასად აქცევს  
ვინც — რვა გრამს,  
გახდა ერთი —  
ასერთი...  
კი... აბუქება...  
კი, მაგრამ...  
აბუქება და...  
ასეთი?!..

27. V. 2016

### რატომ?!..

ჯვარცმის  
სვე გვერგო  
ტახტად...  
და...  
ჯვარცმით მივდევთ  
ამ სვეს, —  
ქვეყანა  
რატომ გახდა —  
მორიელებით  
სავსე?!..

#### P.S.

დარდი  
მეფურად დადის  
დავმსგავსებივართ —  
ბრმა ტომს...  
ბევრზე ბევრია  
დარდი,  
უბევრესია:  
„რატომ?!..“

29. V. 2016

### საუკუნეა — XXI...

გზა  
ვის დაუთმო —  
აზრის ალაგმა?! —  
საით მიქრიან:  
დროც და... მეეტლაც?!..  
გონებამ —

ვნება  
ველარ ალაგმა?!..  
და... ვხედავ:  
შიშველ  
ოცდამეერთეს...

24. V. 2016

### წოწხალი... კლასიკოსი...

ის დაფასდა:  
უფრო, —  
მეტად,  
ვინც, არ არის  
ფასი — რკოსიც...  
საქმითა ჰგავს —  
ხარაბუზას,  
სიცქაფე აქვს —  
ასი ქოსის...  
რაიც, — ჯილდო  
გამოცხადდა,  
ყველა არის —  
კვლავ, სიკოსი...  
თუმც, —  
წიგნები მიიცვალა,  
ამ, — ცოცხალი,  
კლასიკოსის,  
მასვე შეხვდა —  
დიდი ჯილდოც...  
და...  
პრემიაც —  
ტასიკოსი...

18. V. 2016

### სიმართლე და სიწრუე...

ცხოვრების —  
ფილოსოფიას  
თუ, — დაუკვირდი  
ბოლომდი,  
სიმართლე ხოა —  
სიკეთე?..  
სიმართლე არის —  
ბოროტიც...  
ჭვრეტა —  
ავ-კარგის,  
სხივს გვმატებს  
და გვიადვილებს  
მოლოდინს,  
ხან, — სიკეთეა —  
სიცრუეც,  
მაგრამ... უფრორე —  
ბოროტი...

23. V. 2016



**როგორ ენდო?!..  
როგორ ინამო?!..**

ხედავ, როდესაც —  
ასპიტივით,  
არის მძრომელი...  
დაგმო,  
დანყველა,  
და...  
დარისხა —  
ცამ და  
მინამო...  
კანონებს იღებს:  
სატანურს და  
ქაჯურს, რომელიც —  
როგორ უსმინო?!..  
როგორ ენდო?!..  
როგორ ინამო?!..

22. V. 2011

**ზოგჯერ...**

ხან, —  
მტყუანი სჯის  
მართალს...  
დღე — განკითხვისა,  
მოვა...  
ზოგჯერ, —  
ქვეყანას მართავს:  
ცრუთა,  
ყაჩაღთა —  
ხროვა...

21. V. 2016

**საქმე —  
ის არის...**

**„ცოტათი ბევრი უნდა თქვა  
და, არა — ბევრით ცოტა“...  
ხალხური სენტენცია**

ლაქლაქითა და  
ლაილაით,  
ხან, — რამდენს  
ვცოდავთ?!  
„მე“-ს ირგვლივ  
ვბრუნავთ, —  
აღარ გვახსოვს:  
ერიც და  
ბერიც...  
საქმე —  
ის არის,  
ვისაუბროთ, —  
ძალიან ცოტა,  
მაგრამ... ვთქვათ:  
უკეთ,  
ლამაზად და...  
ძალიან,  
ბევრი...

19. V. 2016

**სამინისტრო —  
კულტურისა და  
ჟურნალისტიკის...**

ჟურნალისტიკის  
ჟამი ვის მტრობს? —  
ყველამ ვიცით  
და...  
მზარავს...  
მე —  
მნამს:  
კულტურის —  
სამინისტრო,  
ჟურნალისტიკის —  
არა!!!..

17. V. 2016

**შენს პირს — შაქარი,  
ბრძენო არტურ,  
შენს პირს — შაქარი...**

**არტურ ლაისტს\***

აქ, ხომ, —  
სამზესოს სამოთხეა, —  
უფლის კვართული,  
კაცობრიობის  
აკვანიც, ხომ,  
თურმე,  
აქ არი...  
ამზევედებო —  
უფრო,  
მეტად,  
ნიჭი ქართული...  
შენს პირს — შაქარი,  
ბრძენო არტურ,  
შენს პირს — შაქარი!..

**P.S.**

შენ, მარადისი  
სიტყვა დარგე,  
ზოგმა —  
შვა ქარი...  
მე ვენაცვალე —  
შენს მისნობას,  
შენს პირს — შაქარი...

20. V. 2016

\*გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი (1952 წ. ბრესლაუ, 1927 წ. თბილისი) დიდი ილიას მეგობარი



**სარკე, ანუ –  
ჟურნალ „ოლეს“  
მკითხველთა კონფერენციის  
ანარეკლი...**

ჟურნალი, როცა —  
სულით არის  
ცამდე  
ასული,  
ხოლო, სული კი  
მიაჩნიათ ქაჯებს —  
აბსურდად, —  
საჯარო  
სჯაზე  
რად დამუნჯდა —  
ზოგი, —  
ავსული?! —  
შავს ვერ იტყოდა,  
თეთრის თქმა კი —  
არ-რით,  
არ სურდა...

**დავილუპებით —  
ბოლომდე,  
სანამ...**

სხვა —  
არ გვაპკურებს  
სიკეთის  
ცვარ-ნამს...  
და... ვართ:  
ჯუნგლებში,  
ვითარ —  
ბრმა შველი...  
დავილუპებით —  
ბოლომდე,  
სანამ,  
ჩვენ უნდა ვნახოთ:  
ჩვენი  
საშველი...

23. V. 2016

**სატანეთის და  
ქაჯეთის  
რთველი...**

სატანეთს,  
ქაჯეთს  
აქვთ, ახლა,  
რთველი, —  
დემოკრატიის —  
სიტყვების ქარგა...  
უგნურებაა:  
პლანეტის, —  
მთელი,  
ბედნიერებას  
მტრობაში ვკარგავთ...

23. V. 2016

**ნეტავ...**

ჩემო, — ლალო  
სოფელო,  
მთებო,  
ველო,  
ტყეებო,  
გულზე — ნატვრის  
მომფენო,  
ჩემი ფიქრის  
ტყვეებო,  
ნეტავ, დაბრუნდებოდეთ,  
სიჭაბუკის  
დღეებო!!!..

2. V. 2016

**ვინ დააბრუნებს?!..**

ხშირად ვაფარებ  
თავს  
ფიქრის ტყეებს,  
გული  
ნარსულის ხილვებით  
გაცვდა...  
ვინ დააბრუნებს —  
გაფრენილ დღეებს?! —  
იმ სიყვარულის —  
სანუკვარ  
განცდას?!..

21. V. 2016

**ჭეშმარიტება...**

სულს —  
ვერ შეიცვლის,  
რომც იცვალის  
მგელმა  
იერი...  
ჭეშმარიტებას  
ვერ დაფარავ,  
ვითარცა —  
ამ მზეს...  
თვით, — ბრალმდებელიც:  
უსამართლო,  
უნდო,  
ცბიერი,  
დადგება დრო და...  
ბრალდებულის —  
დაჯდება  
სკამზე...

31. V. 2016

**ბრძენი და  
ჩანჩურა...**

ბრძენი დნება  
ქვეყნის დარდით,  
დროვ,  
ეპოქავ,  
მღელვარო,



ჩანჩურა კი, —  
ისე, დადის —  
ამ, — ცა-მზის ქვეშ,  
მე ვარო...

24. V. 2016

### პანდორა...

შეცდომა, ვისაც —  
განგებ მოსვლია,  
მას —  
ვერ გაუგებ, —  
არც-რა  
ანდო-რა...  
სანამ —  
პირს გახსნის,  
ანგელოსია,  
გახსნის, თუ, არა —  
ნაღდი,  
პანდორა...

12. V. 2016

### მოსწრება უნდა...

წუთისოფელი —  
ფიქრის,  
დარდის  
ჭილყვავებს  
გვისევს...  
რამდენჯერ, —  
წვეთი —  
ზღვად იქცევა,  
ზვავად კი —  
გუნდა...  
ჩვენი სიცოცხლე —  
სიზმარია  
და... მოკლე, —  
ისე,  
სიყვარულსა და  
სიკეთესაც —  
მოსწრება  
უნდა...

15. V. 2016

### სიჯოჯოე და... სიყვარული...

ვეთაყვანები:  
სიცოცხლის და...  
ამურის  
ამბორს,  
არსებობს —  
თუ, რამ,  
სხვა — ყველაფერს  
ვადარებ —  
ქართა...  
უფრო ძვირფასი  
არ-რა არის, —  
ათასჯერ

ვამბობ, —  
სიყვარულის და...  
სიყვარულით,  
სიცოცხლის  
გარდა...

8. V. 2016

### სიმატლის — ჯვარება...

ვინ დაგინახავს,  
რომ იყო —  
ხვითო?..\*  
ციდან —  
მძივებიც რომ კრიფო, —  
ქარვის...  
სიმატლე გვიყვარს  
სუყველას,  
ვითომ,  
მაგრამ...  
სიმატლე —  
არ გვიყვარს, —  
არვის...

P.S.

ქრისტედან, რაიც:  
ქრის ნელი,  
ქრის თვე,  
ჩვენს სინდისზეა —  
ჯვარცმული  
ქრისტე...  
თავობდა,\*\* ვინაც —  
ითავა  
არც — მან...  
და...  
მოდის...  
მოდის...  
სიმატლის —  
ჯვარცმა...

9. V. 2016

\*ნატვრისთვალი

\*\*პილატე

### უფრო, მთავარი...

ქვეყნად ღირსება  
როდი არის —  
ჩალის ყავარი?! —  
ვინც გინდა იყავ:  
რა — ერისაც,  
ანდა,  
რა — რჯულის?..\*  
რა არის —  
მუდამ,  
მთავარზედაც —  
უფრო, მთავარი? —  
შენ, უნდა იყო:  
უნინარეს,



შენი —  
მსაჯული...\*\*

14. V. 2016

\*სარწმუნოების, რწმენის  
\*\*(ძვ. ქართ.) მოსამართლე

### ასე მგონია...

სხვა დროა, —  
ახლა,  
უცნაური, —  
სულ, სხვა საარი,  
ფიქრმა და  
განცდამ  
გულის ცეცხლი  
არ დამიამა...  
ასე მგონია:  
უძნელესი —  
უფრო, რა არი?  
ადამიანი:  
დღეს,  
რომ დარჩე —  
ადამიანად...

15. V. 2016

### სიწოცხლით და სინდისით...

სიყვარულმა, ხომ, —  
შვა სიკეთე?..  
განა, — შვა ურვა?!..  
ერთია,  
ნუთუ? —  
ვინც ანგრია  
და... ვინაც აგო?!..  
თუ, —  
სიყვარული ჩამეთვლება —  
დანაშაულად,  
მზად ვარ:  
სიცოცხლით  
და სინდისით  
პასუხი ვაგო...

17. V. 2016

### მოსწრება უნდა...

ნუთისოფელი —  
და ცხოვრება  
რამდენ ფიქრს  
გვისევეს,  
რამდენჯერ, —  
დარდის —  
ზღვად და  
ზვავად იქცევა  
გუნდა...  
ჩვენი სიცოცხლე  
სიზმარია, —  
მოკლეა,

ისე...  
სიყვარულსაც და  
სიკეთესაც —  
მოსწრება  
უნდა...

11. V. 2016

### საზღვარი...

ვითარ — მისანმა,  
საჭიროა  
ხვალის დროც მოსვი,  
ზღვას —  
ფიქრთა შენთა  
ესაზღვრება —  
ფიქრთა  
სხვა ზღვა — რით?..  
დროა — უსაზღვრო...  
და... ამ დროში —  
ზენა, — კოსმოსი,  
სხვას, —  
სუყველაფერს,  
მიჯნაც აქვს და...  
მიჯნის  
საზღვარიც...

13. V. 2016

### თუ...

გვასწავლა, მაღლით:  
ლმერთმა,  
ზეცამო, —  
რაც ვთქვა,  
ჟღურტული როდია —  
მერცხლის?..  
თუ, —  
ხარ — იესო,  
უნდა ენამო,  
თუ, —  
ხარ — იუდა,  
აილე  
ვერცხლი...

11. V. 2016

### დედა...

დედაა — ჩვენი:  
პატარა ლმერთი,  
სიცოცხლე —  
მოგვცა, —  
მომავლის გზადა...  
მუცლით გვატარა, —  
დღე,  
განა ერთი?..  
სიყვარულით და  
სიკეთით გვზარდა...

27. VI. 2016





## ხანდახან...

იცვლება ჩვენი —  
 ყოფნაც და...  
 არსიც,  
 ხან, —  
 ფასი  
 ვარდზე მეტი აქვს —  
 ლოლოს...  
 ხანდახან, —  
 თურმე,  
 ბერდება აზრიც,  
 უბერებელი —  
 დრო არის, —  
 მხოლოდ...

9. V. 2016

## წადილი...

ტკივილმა —  
 მზის ქვეშ,  
 ბევრჯერ იგრგვინა,  
 და... ვინვი:  
 სიბრძნის —  
 დღემდე, ძიებით...  
 მინდა —  
 ლექსს  
 თავზე  
 ედგას გვირგვინად:  
 აფორიზმები...  
 სენტენციები...

6. V. 2016

## გარეშე — სიბრძნის...

გარეშე —  
 სიბრძნის,  
 ლექსს ვხედავ  
 ასე:  
 რაც უნდა —  
 ზიზილ-პიპილით  
 ფუფუნონ, —  
 ზეფერწერით და  
 მუსიკით  
 სავსეც,  
 ყაყაჩოს ყანას  
 მაგონებს, —  
 უფრო...

8. V. 2016

## ინტყუიერია... \*

*„ავს, რასმე, მიგრძნობს ეს გული...“  
 ხალხური სამისნო*

თვითონ ვუმზადებთ:  
 ჩვენს სიცოცხლეს —  
 ახლა,  
 ამ სასჯელს, —

XXI —  
 ჩვენი სისხლით  
 ხელებს  
 დაისვრის...  
 თუ, —  
 არ შევძრწუნდით,  
 თუ, —  
 არ ვფიქრობთ,  
 თუ, —  
 არ განვსაჯეთ,  
 მალე, —  
 დადგება:  
 დედამინის —  
 დიდი  
 დაისი...

9. V. 2016

\*(ლათ) ჭვრეტა, წვდომა ჭეშმარიტებისა...

## ნუთუ?!..

დასდის თვალებს —  
 მრუმე ცვრებად,  
 გზებს გვიბუნდებს —  
 წინ...  
 ნუთუ, —  
 ისევ,  
 უმეცრება?!..  
 უმეცრება —  
 წვიმს?!..

12. V. 2016

## რამდენჯერ?!..

დრო მოდის  
 და... მიდის —  
 ქიშპით და  
 ომებით, —  
 ხან:  
 ლხინით,  
 ზეობით,  
 ხან:  
 წვით და  
 დაგვებით...  
 რამდენჯერ?! —  
 თავგები  
 ჰგონიათ ლომები...  
 რამდენჯერ?! —  
 ლომები  
 ჰგონიათ თავგები...

12. V. 2016

## სურათი...

### ჰიპერმეტრია

აი, — სურათი, —  
 ფერწერული —



ახლო,  
ნარსულის, —  
ოლონდ,  
არ სრული...  
ლექსიკონითაც —  
მძაფრით,  
ახალით,  
თავში — სახალით,  
გულზე — სახალით:  
„ფასადური — დემოკრატია“...  
„მიშოკრატია“...  
„არტისტული“...  
„ჭამტრისტული“...  
და...  
„სუპერფაშისტური“...  
ამ ლექსიკონითაც  
მიხედვით, —  
მოკლედ,  
თავისუფლება, —  
თუ,  
როგორ,  
მოკლეს...

13. V. 2016

### ვირი ღა... არ ვირი...

ვინ —  
ეშმაკს უსმენს, —  
უჯერებს,  
ვინ —  
უფლის სიტყვას  
არ იგებს...  
ვინ —  
იქით გასცემს  
წყალობას,  
ვინ —  
აქეთ ელის  
ტარიგებს...  
ზოგს —  
მთა რგებს, —  
იალალებით,  
ზოგსაც —  
გაშლილი,  
ბარი რგებს...  
იმას კი —  
რა რგებს, —  
არ ვიცი,  
ვინც —  
ცრუ პრემიებს  
არიგებს...

16. IV. 2016

### კორნა...\*

მთელი სამყარო  
მეჩვენა —  
მზისებრ,  
მზემ, როცა  
მამულს —

სხივები სტყორცნა...  
შენ დაგინახე —  
იმ მზეში, —  
ისე,  
თავდავიწყებით  
მომინდა კოცნა...

7. IV. 2016

\*6 ივლისი — კოცნის საერთაშორისო დღეა, —  
მსოფლიო დღესასწაული, ამ ზეიმის სამშობლო დიდი  
ბრიტანეთია.  
გერმანელი მედიცინის მეცნიერ-ექსპერტები  
ამტკიცებენ, რომ კოცნა ადამიანის სიცოცხლეს 5-7  
წლით ახანგრძლივებს...

### ლიმილი...

ადამის გამჩენო  
და ევას გამჩენო,  
ცხოვრების  
ჯოჯობეთს  
ნეტავ, რა  
ვუფაროთ?!..  
ლიმილი —  
ალალთა,  
წრფელთა რომ  
გვაჩვენო,  
რამდენჯერ,  
რამდენჯერ,  
ვინატრო,  
უფალო?!..

P.S.

წლებმა რომ, აქამდი,  
სამსალა  
სვეს ავი,  
მე მინდა  
ლიმილი —  
მარადი, —  
მზესავით...

16. III. 2016

### არ შეგეშალოს...

მივდივართ, —  
ზოგჯერ,  
დროის ქარდაქარ, —  
იმედის,  
რწმენის —  
სიტყვით მწყურვალი...  
არ შეგეშალოს —  
სიტყვით დასტაქარს:  
სიტყვა — მკვლელი და...  
სიტყვა — მკურნალი...

11. IV. 2016



## სანამ?!..

დრო —  
 დროდ მიფრინავს...  
 ოდენ —  
 ოცნების  
 სანამ ვაშენოთ  
 პლანტაციები?!..  
 სანამ —  
 ვიცოცხლოთ,  
 სანამ —  
 ვიცხოვროთ:  
 ილუზიებით?!..  
 ფანტაზიებით?!..

29. VI. 2001

## სანუხარი — ფრიაღ, ანუ, — ქარი — ვითარწ...

ვინაც —  
 ამ მიწას  
 არ-რა არგო, —  
 სისხლ-ცრემლით  
 ნამულს,  
 არავინ იტყვის —  
 მისი წასვლით,  
 სიტყვას: „ვაიმე“ ...  
 თუ, —  
 მისმა მოსვლამ  
 არ შემატა  
 იოტიც —  
 მამულს,  
 არც —  
 მისი წასვლით,  
 დააკლდება —  
 მისხლით,  
 რაიმე...

2. III. 2016

## მანუხებს — თუ, რამ...

სიტყვები ჩემი  
 არავინ თქვას  
 ლიტონად, —  
 ყბედის,  
 გულში მაქვს  
 როგორც —  
 ნაღვერდალი  
 და... ღმერთთან  
 მივქერი...  
 მანუხებს —  
 თუ,  
 რამ,  
 მე მანუხებს  
 სამყაროს ბედი,

ვალამ-ვათენებ —  
 ამ პლანეტის  
 ხვალეზე  
 ფიქრით...

P.S.

რამ შემაშფოთა?..  
 რა მანუხებს?..  
 რად ვლელავ?..  
 რატომ?..  
 არვინ შეახოს  
 გიჟის ხელი —  
 მძინარე  
 ატომს!!!..

27. III. 2016

## პარადოქსები...

ვისთვის — ავდარი,  
 ვისთვის — დარია...  
 წარსული არის —  
 ვისთვის,  
 დროც ხვალის?!..  
 ზოგი — ცოცხალი:  
 უკვე,  
 მკვდარია...  
 ზოგი — მკვდარი კი:  
 ისევ,  
 ცოცხალი...

1. III. 2016

## ბედნიერება...

ბედნიერება  
 ვინ თქვას,  
 ვისი? —  
 ფიქრს  
 ფიქრი მაშლის,  
 „მე“-ს  
 ვერ-რით გავცდით  
 და... სასჯელიც  
 ნუთუა, ახი?!..  
 ბედნიერება  
 მე მწამს:  
 მხოლოდ,  
 და... მხოლოდ,  
 მაშინ,  
 ბედნიერია, როცა —  
 შენით:  
 ქვეყანა,  
 ხალხი...

4. IV. 2016

## მამალი ფუტკრებით გაივსო პლანეტა...

თვით, — ეს დრო  
 ლაღადებს —  
 ავ-კარგის  
 სიმკვეთრით,  
 მომავალს მოგვიტანს —



რა დიადს,  
რა ნეტარს?..  
როდესაც —  
შრომაა:  
საწყისი  
სიკეთის,  
მამალი ფუტკრებით  
გაივსო პლანეტა...

26. III. 2016

### კოსმოსის ეპოქა...

კოსმოსისკენ  
ვესწრაფვით, —  
ისევ გვყვანან  
დღეს, ურჩნი:  
მაგელანი,  
კოლუმბი,  
ამერიგო ვესპუჩი...

3. II. 2016

### რატომ?!..

სიტყვაც და  
საქმეც,  
რომ არ აქვს  
ერთი...  
და... აქვს ქაჯური:  
ის ზნეც,  
ის ქცევაც,  
მაოცებს:  
თუკი, —  
მართლა სწამს —  
ღმერთი,  
მაშინ —  
ულმერთოდ  
რატომ იქცევა?!..

27. VII. 2015

### მიაყვანჩალებს — თვითონარს, — მერე...

დრო იყო —  
მზაკვრულ,  
ხისტი და  
მღვრიე,  
ვითარცა —  
მღვრიე  
და... შმაგი  
ვერე...  
სხვებს ვინც იჭერდა  
და...  
ხალხი რიეს,  
მიაყვანჩალებს —  
თვითონაც, —  
მერე...

12. VIII. 2015

### არსად... არავინ...

ხარ — უფალივით:  
ქველი,  
არ — ავი...  
და... მუხლს გიყრიან —  
ვარდნიც,  
იანიც...  
არ მეგულება:  
არსად,  
არავინ —  
შენზე — ლამაზი,  
შენზე — ჭკვიანი...

6. VII. 2015

### უნდურების — ყველა სათავე...

გულებს ატკობს და...  
აღხენს, როდესაც —  
ყანაც იკეთებს  
სავსე თავთავებს...  
უთავობაა, —  
ჰკითხეთ ლოდებსაც,  
უბედურების —  
ყველა სათავე...

8. VII. 2015

### მე — როგორც, ვატყობ...

ვის უნდა? — ჰკითხეთ  
კრწანისს, თუ —  
მარტყოფს,  
ძალმომრეობა  
და... ნიშნის გება?!..  
მე —  
როგორც ვფიქრობ  
და... როგორც,  
ვატყობ,  
ისევ —  
ბურჟუას  
ამინდი დგება...

4. VII. 2015

### აირია ამინდი...

აირია ამინდი, —  
აღარ არის —  
მზე... დარი...  
აღარ არის  
ნათელი, —  
დაინისლა  
არე... ცა...  
საუკუნე გამექცა,  
როგორც —



ურჩი მხედარი,  
მზის ქვეშ  
ჭუჭყი დაგროვდა,  
ნეტავ,  
რალა გარეცხავ?!..

11. VII. 2015

### ერის მამა...

დავით გურამიშვილს

ნუხდი:\* უშვილოდ,  
ჩემი ყოფნის  
ბრუნავსო —  
კევრი,  
ჩამიქრებაო ნალვერდალი —  
ფუძის და  
კერის...  
ერთი კი არა,  
შენ გყავს შვილი —  
ბევრზედაც  
ბევრი,  
რადგან —  
მამა ხარ, —  
ბრძენი მამა,  
ქართველი  
ერის...

11. VIII. 2015

\*ძე არ მყავს, არცა ასული, —  
არვინ მეძახის მამასო,  
დავჯექ და... ნიგინი დავწერე,  
ვთქვი, თუ, ვიშვილებ ამასო“...  
დავით გურამიშვილი

### არ დავხუჭავდი თვალებს, — წამითაჲ...

მე, —  
მხოლოდ,  
შენი ღამის  
წვა მინდა,  
მაგ, —  
დამსხვრეულ ფრთებს  
გავამთელებდი,  
არ დავხუჭავდი  
თვალებს, —  
წამითაც,  
შენს სიყვარულში  
გავათენებდი...

5. III. 2014



### მთავარი...

თუ, —  
გნებავთ ბედი, —  
მზისებრ,  
კრიალა,  
ხორცი — თოვლია,  
სული — მთა არი...  
წყვილთა ერთობა —  
ხორციით  
კი არა,  
სულით ერთობა  
არის —  
მთავარი...

3. XII. 2013

### რუსთველი...

ჩვენ —  
პოეზიით გადავხანძრეთ  
ღამე უთვლელი,  
გული და  
ლექსი —  
ქართველობის  
ბედად ვინამეთ...  
სიმხნე...  
სიქველე...  
სიდიადე...  
ბრძენი რუსთველის  
ვით —  
ჯომოლუნგმა,  
დგას  
ცის სვეტად, —  
დედამინაზე...

6. IV. 2014

### თუ...

მინა, თუ —  
შუღლით  
არ იხვლანჯება,  
ცხოვრების გზაზე  
ვივლით ვარდებით,  
სულ, —  
სიყვარულში  
დაიხარჯება:  
მთელი პლანეტის  
მილიარდები...

9. II. 2016

### თუშეთი...\*

აქ, —  
სილამაზეც,  
სიდიადეც —  
თავს იყრის  
ერთად,  
სადაც —  
მე ვიშვი,  
იოტიც კი,  
არ ვთქვა —



ნამეტი...  
ეს, —  
თუშეთია, —  
ცასთან ახლოს,  
ოლიმპო, —  
ღმერთთა,  
სასწაული და...  
საოცრება —  
ჩვენი პლანეტის...

\*შვეიცარიის გეოგრაფიული მეცნიერების ექსპერტთა აზრით, ჩვენს პლანეტაზე, თავისი ეგზოტიკითა და განუმეორებელი სილამაზით, სამი ადგილია გამორჩეული. ამ სამეულშია თუშეთიც

### განთიადი...

ვინ თქვა, —  
ცა  
მიწას  
ახლოს არ ერთვის?..  
შემკრთალ კუნაპეტს  
ებრძვის მამალი...  
მზის ეტლი  
მოდგა  
აღმოსავლეთით  
და... გარბის  
მთვარე, —  
ვარსკვლავთ  
ამალით...

9. VI. 2010

### მიენატრი — ისევ...

სიკეთისათვის, —  
სადღაა  
მოცლა?..  
გზას მოვდეგ  
უცხო ფეხების  
ნალახს...  
მიენატრი —  
ისევ,  
იმ დღეებს,  
როცა —  
ირემი  
ირემს  
უნვდიდა ბალახს...

31. XII. 2013

### საქმე ძეგლია, — კარისა...

თვითონვე ზიდავს  
იმ ცოდვებს,  
ვისაც აქვს  
მიწის,  
ან — ცისა...  
ხამს —  
ყველამ,  
ყველამ

იცოდეს:  
საქმე ძეგლია, —  
კაცისა...

8. X. 2015

### ნუთუ?!..

ვითომ —  
ქველია...  
ფოფინა...  
მის მახეს  
გვერდს სად აუვლი?!..  
ცხოვრება —  
ნუთუ,  
ყოფილა:  
ნიღბების  
დღესასწაული?!..

24. VIII. 2014

### რაი ვისწავლეთ?!..

გაფრინდა, თითქოს, —  
ოცი ჩიტი,  
დროს ვუნვდით  
კისრებს?!..  
იესოს აქეთ —  
საუკუნე  
გაფრინდა ოცი...  
რაი ვისწავლეთ  
იესოსგან? —  
ვართ:  
ისევ,  
ისე...  
კვლავ, —  
გართულები —  
სიმართლის და  
ღირსების ხოცვით...

7. V. 2009

### სამართლიან საყვედურს — ვენაწვალე...

სანუთროს  
სასმისი  
ყველა ვცალე,  
ჭეშმარიტება  
ნავიმძღვარე —  
კვარად...  
სამართლიან  
საყვედურს —  
ვენაცვალე,  
უსამართლო  
ტაშს და  
ფანდურს —  
არა...

13. V. 2012



უფლისეული, —  
პრისხანე კითხვა:  
„რატომ?!..“

თუკი გნამს  
ღმერთი —  
ჭკუათმყოფელს,  
არა —  
ვითარ, ცეტს,  
ღმერთს უყვარს,  
მხოლოდ:  
ბრძენი,  
ქველი,  
ნრფელი,  
ალალი...  
სხვას:  
რატომ ებრძვი?!..  
რატომ იპყრობ?!..  
რატომ იტაცებ?!..  
სხვას:  
რატომ ართმევ?!..  
იმას,  
რაიც —  
შენი არ არის?!..

18. IV. 2014

არ შეიწვლება —  
არასოდეს...

ცხოვრება გვხიბლავს, —  
თუმცა,  
ზოგჯერ,  
გიშრის ფერია...  
დღეს —  
ღამე მოსდევს,  
ღამეს —  
დღე და...  
ასეა... ხოლო,  
იცვლება...  
კვლავაც შეიცვლება —  
ქვეყნად,  
ბევრი რამ,  
არ შეიცვლება —  
არასოდეს,  
სიმართლე, —  
მხოლოდ...

26. III. 2014

განრდა...

რა ვთქვა  
ისეთი,  
რაიც არ —  
ითქვა?..  
განცდა კი —  
ღამის,  
ცა-მინას  
გასცდა...  
რა საჭიროა —  
უბრალო,  
სიტყვა?..

როცა —  
ათასჯერ,  
მეტია  
განცდა...

19. VII. 2014

არ მესმის...  
არ ვიცი?!..

არიან:  
ღანგნი\* და  
ფაშანი,  
ალანი  
რომ უყვართ —  
ზეობა,  
ფუთფუთი,  
ღღანი,  
ღირსებას  
ქცევით რომ  
ადენენ ბღღვირს...  
არჯალთა:  
არ მესმის?!..  
არ ვიცი?!..  
სიცოცხლე —  
ზიზღისთვის,  
კრულვისთვის,  
ფურთხისთვის,  
ღირს????!..

22. III. 2014

\*(ტაჯიკ.) ღანგ, ღენგ, — კოჭლი.  
ნახ. თემურღენგი, ევროპ. ტამერღანი

მოპრემიე სიკო...

სიკოსია? —  
ეს პრემიაც?!..  
ისევ...  
ისევ...  
კვლავ — სიკოსი?!..  
ყვავის  
შავი ბახალიდან —  
აცხვეს  
თეთრი  
კლასიკოსი...  
ნაბღანდიდან,  
ნახღართიდან,  
ვინ თქვას  
ფასი —  
ასი რკოსიც?!..  
მაგრამ...  
მაინც,  
მიანიჭეს —  
კვლავ,  
პრემია —  
ტასიკოსიც...  
და... ითქვა, რომ:  
ალალია —  
ხოჭოს ტაშიც...  
ტაშიც — ქოსის...

## ერი და კულტურა...

კულტურა  
ქაჯებს მიაჩნია —  
ჩიტის ჟღურტულად,  
დრო კი:  
უფლისგან,  
იერსახედ —  
ხალხის,  
წერს, — ალით...  
ერის —  
ერობის  
ქვაკუთხედი  
არის კულტურა,  
მწერლობა გახლავთ:  
ზეკულტურა, —  
მზეც და  
მწვერვალიც...

10. X. 2010

## ჭეშმარიტი მსაჯული...

ქაჯია ვინაც, —  
ცხრაჯერ,  
ცხრა რჯულის,  
დრო —  
ნებად იღებს  
სურვილს  
განა ჩვენს?!..  
დრო —  
ჭეშმარიტი,  
გახლავთ მსაჯული,  
დრო —  
გამოუტანს:  
ყველას,  
განაჩენს...

13. XII. 2013

## სიკეთე და სიავე...

ღვთიური სიბრძნე  
რომ —  
უნდა მწამდეს,  
ამ შეგონებით  
დავალ ამ არეს...  
სიკეთე —  
კეთილს  
ზე ასწავს, —  
ცამდე...  
ავს კი —  
სიავე  
დაასამარებს...

19. VI. 2010

## ბუნავი...

ქვეყნის —  
ტკვილზე,  
იარაზე  
ცეცხლით ვსაუბრობთ,  
ვიდგამთ, როდესაც —  
დარდისა და  
ლამის  
უნავირს...  
მეფის სამყოფელს,  
რომ აქვს  
სახე —  
სანდო,  
საუფლო,  
არსით და  
ყოფით:  
ზოგჯერ არის —  
ოდენ,  
ბუნავი...

24. III. 2010

## ავადმყოფობა — პირველობის...

ზეიმობს ეშმა, —  
ნიშნისგებით,  
ხარხარებს,  
დახტის, —  
შვილი ადამის  
ნახა, როცა —  
დაეცა  
რამდე...  
პირველობისთვის, —  
ბევრმა, როცა —  
დაკარგა  
ტახტიც...  
ავადმყოფობა —  
პირველობის,  
ჰკლავს ქვეყნად, —  
რამდენს?!..

26. IV. 2014

## თავის ღირსებას მაშინ სცემ პატივს...

რამდენი ვიცი:  
ღირსებით,  
ბატი, —  
სხვაზე რომ —  
შურით,  
ღვარძლით  
ივსება...  
თავის ღირსებას  
მაშინ სცემ  
პატივს,  
პატივს სცემ  
როცა —  
სხვათა ღირსებას...





## სიყვარული...

დროს —  
თან გაჰყვება  
ფუჭი ვნებით  
ფიქრი მთოველი,  
სიტყვაც  
მზე არის,  
თუ, —  
მის დარად  
სიტყვას უვლიან...  
თოვლად დადნება  
ფარატიანა —  
სიტყვა ყოველი,  
სიყვარული კი —  
ჯოჯობეთშიც,  
სიყვარულია...

27. XI. 2010

## უნდა გვიყვარდეს...

უსიყვარულოდ  
ვითარ არის  
მზის სხივთა  
ათვლა? —  
ორფად გვექონია  
სიყვარული —  
ცა-მინის მკვიდრებს...  
უნდა გვიყვარდეს —  
უფრო,  
გულით,  
თუ, გიყვარს  
მართლა, —  
გულით  
მეტია სიყვარული,  
თვალეებით — ვიდრე...

15. III. 2014

## მთავარი...

ხან, —  
კრავის ნიღაბს  
იკეთებს მგელი,  
ხოლო,  
ვარდისას —  
ასპიტი გველი...  
მტრად ხედავს —  
ზოგი,  
ნიღბების მცელავს,  
არ იცის —  
სიბრძნე  
ცხოვრების წიგნის...  
გარედან —  
ბუშტიც  
ბრწყინავს და  
ელავს,  
მთავარი არის:  
რა არის —  
შიგნით...

13. XI. 2012

## უყნინარეს...

დრო, ხან, —  
ცეცხლია,  
ხოლო,  
ხან კი —  
ანდამატია,  
ბევრი ჭრილობა  
დრომ, —  
წარსულმა  
არ დამიამა...  
ვინც უნდა იყოს  
ქვეყნის თავში,  
ანდა — პარტია,  
უყნინარეს, —  
უნდა დარჩე  
ადამიანად...

21. IX. 2012

## მოდი...

მოდი! —  
ავ-კარგის  
ცოცხო,  
სასწორო:  
ცის და  
მინის...  
ვინ —  
სიკვდილისთვის  
ცოცხლობს...  
ვინ —  
სიცოცხლისთვის  
ინვის...

3. VI. 2012

## ღირსება...

ღირსება —  
მინყვი,  
დღეა, — მზისეთი,  
ლამესთან  
სხივად გიდგას  
ფარადა...  
ღირსება თუა,  
მე მწამს  
ისეთი —  
ძმობაში,  
ვითარ, სწამდა —  
ფარატას...\*

14. X. 2014

\*ინდური ეპოსის „რამაიანას“ (ავტ. ვალმიკი, VI ს.) პერსონაჟი, დაზარათ მეფის შვილი, რამას უმცროსი ძმა, რომელსაც ტახტი შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა, — ტახტი მე კი არა, რამას ეკუთვნისო.



## არ დაბრუნდება...

ქრება —  
წლები და...  
მაქვს გულის  
წვა მით,  
ვიქცევით:  
მტვრად, თუ —  
აბლაბუდებად?..  
არ დაბრუნდება:  
არც —  
ერთი  
წამი,  
და...  
სიყვარულიც —  
არ დაბრუნდება...

1. III. 2014

## როცა — სიკვდილი უკეთესია...

ამ მიწის ჯვარცმა  
ფიქრს  
ფიქრზე მაშლის...  
ნათლავენ ტკივილს —  
უკვე, — მესიად...  
რა სიცოცხლეა?! —  
სიცოცხლე,  
მაშინ,  
როცა —  
სიკვდილი  
უკეთესია?!..

21. VIII. 2008

## როგორ?!..

როგორ ვებრძოლოთ  
პლანეტის  
კენტავრთ?!..\*  
იღებენ როცა —  
კრავის  
იერსო...  
ან, —  
ვის მოვუხმობთ  
საშველად,  
ნეტავ?!..  
როდესაც —  
ჯვარზე ვაცვით  
იესო?!..

2. II. 2014

\*(ბერძნ. მით.) ტყის დემონი, — ნახევრად — ადამიანი,  
ნახევრად — ცხენი

## ხომ სჯობს ათასჯერ?!..

ათიათასჯერ —  
გაზომე და...  
ერთხელ,  
გადასჭერ...  
სადაც სიბრძნეა  
და სიმართლე,  
მზის სხივიც  
იქ დის...  
ცით მოვლენილი  
მიცვალება  
ხომ სჯობს  
ათასჯერ, —  
სირცხვილის კომკებს,  
სირცხვილის ტახტს,  
სირცხვილით  
სიკვდილს?!..

3. III. 2014

## გაფრთხილება...

ვინ —  
ტახტით,  
სკამით,  
საკუთარი ჯიბისთვის  
ომობს...  
ვინ —  
ნაღდი მზეა...  
ვინ —  
მაგონებს  
საქმით და  
სვით ყვავს...  
იფრთხილე, ეგ ზომ, —  
ქვეყნის,  
ხალხის  
სასწორზე მჯდომო,  
დრო იტყვის:  
თავის —  
ჭემმარიტ და...  
ულმობელ სიტყვას...

22. IX. 2014

## გაზომე — ასჯერ... გაჭერ — ერთხელ...

გაზომე — ასჯერ...  
გაჭერ — ერთხელ,  
ადამის  
შვილო,  
ქუდს რომ დებ —  
ცეცხლში,  
რა დარჩება —  
ქუდიდან,  
შემდეგ?!..  
ომს უწყებ, როცა —  
ჭიაყელა,  
ანყვეტილ სპილოს,





გონებით  
ბრმაც კი —  
უნინ,  
უმალ,  
გამოთვლის შედეგს...

8. VII. 2008

### ჭოგი...

რაი ვთქვა მათზე? —  
ეგზომ,  
ნთებით,  
დროშებს რომ არხევეს...  
იქნებ:  
შეცბუნდეს,  
შეფუცხუნდეს,  
შემომწყრეს ზოგი?..  
არ ფიქრობს ვინაც:  
გულშეძრული, —  
მამულზე,  
ხალხზე,  
რისი პარტია? —  
ჯოგი არის, —  
ნამდვილი ჯოგი!!!..

22. IV. 2014

### მე გნატრობ როგორც...

არ მინდა:  
შენთვის,  
პლანეტაც ვზოგო,  
არ მინდა წამიც:  
მღვრიე და  
მქისე...  
არაფერს ვითხოვ,  
მე გნატრობ  
როგორც,  
შენც, —  
მინყივ,  
მხოლოდ,  
მნატრობდე  
ისე...

3. III. 2010

### ჩემი თელავი...

მზით იწვის —  
ღამე,  
გზაც და...  
დროც, — ვნების,  
რის —  
რიგა,  
რიო,  
რომი,  
რა ვენა?..  
ჩემი სავანე:  
მუზის,

ოცნების —  
ჩემი თელავი, —  
ჩემი — რავენა...\*

2. IV. 2016

\*სადაც, გენიალურმა დანტემ გამოძერწა უკვდავი  
ქმნილება:  
„ღვთაებრივი კომედია“

### ისევ, — ტკივილი...

ხომ გვსჯის, —  
ხანდახან,  
ცხოვრებაც და  
ბედიც, — მკაცრობით?..  
გულთამხილველნიც,  
ბრძენთაბრძენნიც  
მივდევთ —  
სხვის ნებას?..  
ტკივილი —  
ზოგჯერ,  
ნიშანია:  
ერისკაცობის,  
მწამს, —  
უტკივილოდ,  
არ არსებობს —  
თვითონ,  
ღირსებაც...

3. IV. 2016

### მარტო, თვალეზით კი არა...

უნდა ამჩნევდე  
იარას —  
სამყაროს  
ყველა ხედამდე, —  
მარტო,  
თვალეზით კი არა,  
გულითაც  
უნდა ხედავდე...

2. IV. 2016

### დაკრძალვა...

ერთი სიცოცხლე  
არ-რით  
არ მყოფნის,  
აქვს სიტყვას,  
როცა —  
არა-რა ობის...  
დღეს —  
დაკრძალვაა:  
ჩემი —  
არყოფნის,  
სიკვდილისა და...  
არარაობის...



## ეპიტაფია...

ეს გული  
მზით რომ  
ასე ინთება,  
დრო მოვა —  
მასზეც,  
მწვანის ამოსვლის...  
და...  
ლექსთა  
ჩემთა —  
აზენიტებას  
შევხვდები:  
მინის  
ტანისამოსით...

## მიუნვდომელი რაიჯ არს, — უფრო...

ხან, —  
გავიჭრები  
ოცნების მინდვრად,  
რომ აგაბრწყინოთ  
დღეებო, —  
ქუფრო...  
მე —  
მინყივ,  
მისი  
მიწვდომა მინდა,  
მიუნვდომელი  
რაიჯ არს, —  
უფრო...

1. III. 2016

## ბრძენი და სულოელი...

თქვით:  
ვინ არ ცდება  
პლანეტაზე, —  
ამ ცის ქვეშ,  
ირგვლივ?..  
ცაშია, — მარტო,  
შეუმცდარი, —  
უფალი,  
ხოლო...  
ხან, —  
ბრძენიც ცდება  
და... მუხლს იდრეკს, —  
რომ ცდება  
იგი...  
სულელი —  
ცეცხლს ჰყრის:  
არ ვცდებიო, —  
დგას — ჯიქურ, —  
მხოლოდ...

27. IV. 2015

## სინდისის ღმერთი...

გვილენავს მტერი, —  
ცხრა კუთხით,  
ცხრაი,  
ჰკითხეთ:  
ბახტრიონს,  
ხორნაბუჯს,  
ხერთვისს...  
გვაფოლადებდა —  
უფრორე,  
რაიც,  
ეს იყო:  
უნინ,  
სინდისის ღმერთი...

4. III. 2016

## ერიჯ: ერობდა, მზეობდა...

ცერულს ცეკვაავდა  
ზე, ოდაც, —  
ძმებს —  
ძმებმა,  
როცა უძმესო...  
ერიჯ:  
ერობდა,  
მზეობდა,  
ძმობილო,  
ძმაო,  
უძმესო...

3. III. 2016

## ღირსება...

ვინ — ადის მაღლა,  
ვინ — ჩამოდის, —  
იცვლება —  
ჯერი,  
ასპარეზია  
ეს ცხოვრება —  
ვნებების ქართა...  
თვით, —  
ცაზეც, უფრო,  
მაღალია —  
ღირსების ქერი,  
ნულია —  
ყველა,  
ყველაფერი,  
ღირსების გარდა...

29. VII. 2015



## ჟრუანტელი მივლის...

მაგ თვალებმა  
რა თილისმა  
მტყორცნა?!..  
თითქოს, —  
ციტ მზე  
დაულვრია ივლისს?!..  
ისე მინდა,  
ისე,  
შენი კოცნა,  
რომ...  
ნეტარი,  
ჟრუანტელი მივლის...

6. III. 2015

## ვითარ?!..

ვითარ ვსცე,  
მითხარ,  
პატივი იმას,  
მიგზავნის ვინაც  
შხამ-გესლის წვიმას...  
ვითარ?!..

28. II. 2016

## მტერზე — უფრო, უუმტერესი...

*ასიათასობით: დუტუს, დაჩის,  
დევისა და დანიელის სახელით —  
ხელისუფალთა საყურადღებოდ...*

შოკში არის  
დუტუ, — სტრესის,  
გადარჩება  
ან, კი?!..  
მტერიაო, —  
უუმტერესი:  
კაზინოც და  
ბანკიც!!!..

2. II. 2016

## უძეწარი...

უბრალოებას  
ვუმაღლით ამ მზეს, —  
მისით ხომ —  
სიბრძნის  
დიადი მზე ვსვით...  
უმეცარი რომ  
შეჯდება სკამზე,  
ვერ იცნობთ, —  
თავი ჰგონია ზევსი...  
4. II. 2016

## ჭუჭა, — ანუ — ტასიკოს პრემიის ლოაურიატი...

ჭუჭა სიტყვას —  
ებრძვის...  
სძიძგნის...  
და... მიირქვა  
კლასიკოსიც...  
გამოხანხლა —  
ასი  
ნიგნი, —  
არ აქვს ფასი  
ასი რკოსი...  
და... პრემიაც,  
თუ, —  
ეკუთვნის:  
მეტი,  
მეტი —  
ტასიკოსი...

20. VII. 2000

## ჰერ...

ვინც, თავის —  
ქარის წისქვილებს  
ართობს,  
ის —  
ქვეყნის საქმეს:  
ართულებს,  
ხლართავს...  
ჯერ, —  
თვითონ,  
შენი „მე“ უნდა  
მართო,  
თუ, —  
გნებავს:  
ხალხის  
და... ქვეყნის  
მართვა...

26. II. 2016

## მონა...

იმსხვრევა ბევრი,  
ვითარცა — მინა,  
ვის —  
თავის მართვა  
ძალიან  
უჭირს...  
თავისი თავის  
მონაა ვინაც,  
მონაა:  
ვნების...  
სურვილის...  
კუჭის...

26. II. 2016



## მართლა მასწავლებელი...

ყოფნის,  
ცოდნის,  
სიკეთის —  
მწამს მე  
მასწავლებელი, —  
როგორც — ადამიანიც,  
წკეპლამასწავლებელიც,  
ჭინჭარმასწავლებელიც  
და... ჯობმასწავლებელიც, —  
მართლა  
მასწავლებელი,  
წრფელი,  
არ — მწვალებელი...

1. III. 2016

## მონობა...

ჭეშმარიტება —  
ქვეყნის ლერძია,  
ვინ უბრუნდება  
უკან მონობას?!..  
მონობა არის,  
როცა — ებრძვიან:  
უკანონობით  
უკანონობას...

20. II. 2000

## ნუთუ?!..

სიტყვას და  
საქმეს არ ვწონით, —  
ჯერ,  
ტაში ვიცით,  
მერე — ვა...  
ნუთუ, —  
მამული,  
მანონი —  
ერთია?! —  
გული მერევა...

3. II. 2016

## ნახვამდის!..

ქვეყნის სვეზე  
მინდობილს,  
დარდის ცეცხლი  
ახლა მდის...  
და... მშვიდობავე,  
მშვიდობით...  
და... სიმშვიდევე,  
ნახვამდის...

28. II. 2008

## საცანისცები...

იმათზე საქმე  
ვინ ხლართოს?! —  
ცის ქვეშ,  
ვინც —  
ოფლი აქცია...  
ვინა ხართ?!..  
ვინა ყრიხართ?! —  
ხან, რომ  
უნყობენ —  
აქციას...

## ანგელოსები მოვედით, — წმინდა...

ვისთვის, —  
რა, სიბრძნე:  
თოვდა, თუ —  
წვიმდა?..  
და... არის:  
ფიქრი...  
განსჯა, —  
ცხოველი...  
ანგელოსები მოვედით, —  
წმინდა...  
და... ნავა  
ზოგი, —  
ვითარ —  
ცხოველი...

28. II. 2016

## ვინ?..

ვერვინ აქციოს  
მზე — ქაცვად,  
უმწვერვალესად —  
ველობი...  
ვინ —  
დროს შერჩება  
ღმერთკაცად,  
ვინ —  
გესლითა და...  
გველობით...

29. VIII. 2016

## უმთავრესი...

უმთავრესი —  
აზრია, —  
მერწმუნებით  
ამაში,  
რაა —  
რითმის კეკლუცი?!..  
მხოლოდ, —  
რითმის თამაში?!..  
სიბრძნით  
თუ, არ დავხუნძლე,  
გამიწყრება  
მთა მაშინ...





## ეს სიბრძნე ბრძანა — უბრძნესმა საბამ...

უაზრომ —  
აზრი  
ვითარ შვას,  
აბა?!..  
დაფიქრდე უნდა:  
შვილო, თუ —  
ბაბა...  
სულელთან —  
კამათს  
სულელი  
აბამს, —  
ეს სიბრძნე  
ბრძანა —  
უბრძნესმა  
საბამ...

27. VIII. 2016

## XXI საუკუნის: დემოკრატია და თავისუფლება...

უსამართლობა  
შემოგვსალტვია,  
მაგრამ...  
ვინ მოგცემს  
დავის უფლებას?!..  
აი, —  
ეს არის —  
დემოკრატია...  
აი, —  
ეს არის —  
თავისუფლება...

10. X. 2010

## ბრძენი და ჩერჩეტი...

იცის —  
განა, მარტო,  
შოთამ?  
საბამ?  
ყველამ —  
ვისაც  
უფლის გული  
უცემს...  
ბრძენი სიტყვას  
ენის წვერზე  
აბამს,  
ჩერჩეტს სიტყვა  
გაუხლტება, —  
უცებ...

17. IV. 2016

## თურმე...

როდის გასრულდება  
ჟამი —  
ერო, ვნების?!..  
შენ რომ გექცევიან,  
ექცევიან  
ასე — ბრბოს...  
სხვადასხვა ნიალი  
არსებობს —  
ხელოვნების,  
თურმე, —  
ტყუილის ხელოვნებაც  
არსებობს...

3. IX. 2016

## რატომ?!..

მიიპარება დრო, —  
სწრაფად,  
ძურწვით...  
და... მტაცებს —  
ნეტარ,  
ჯელგა იმედებს...  
რატომ ხარ, —  
ნეტავ,  
ისეთი ძუნწი,  
რომ —  
ერთი სიტყვა  
ვერ გაიმეტე?!..

18. IV. 2016

## გენია...

რომ გამოვშაღე  
ფიქრის  
გორგალი,  
რომ დავუკვირდი —  
საქმეს, —  
ბოლომდი:  
გენია არის —  
მინყვი,  
ორგვარი:  
ზოგი —  
კეთილი,  
ზოგი —  
ბოროტი...

P.S.

კეთილი არის —  
ხალხის მსახური,  
ხოლო, ბოროტი —  
ქაჯის,  
სატანის...

25. X. 2016



## თუ, — შეუნდობდა?!..

იყოს —  
ვინც უნდა, —  
რა წოდების,  
რა გინდ  
გვარისო,  
ცოდვას, —  
უსაზღვროს  
ვით შეუნდობ —  
იმას,  
ვინც გრისხავს?!..  
ერთი სიცოცხლის  
განირვაც რომ  
ცოდვა არისო,  
თუ, —  
შეუნდობდა:  
ნეტავ,  
ვინმე,  
ცოდვებს —  
ჩინგიზ-ხანს?!..

14. IV. 2016

## ძეგლი...

ჩვენი ცხოვრება —  
ბევრზე  
ბევრმა  
თარსად დაბინდა,  
დრო —  
ყველა დროშას, —  
უსამართლოს:  
დანვავს, თუ —  
დახრის...  
სასაცილოა:  
სხვა ძეგლები, —  
დასაბამიდან,  
ძეგლი მნამს:  
მხოლოდ,  
სიყვარულის...  
და... მხოლოდ —  
ხალხის...

16. VI. 2016

## ერთი სიტყვა, — მხოლოდ...

განა, —  
რამდენი:  
ფიქრი,  
აზრი  
და... განსჯა უნდა? —  
განა, —  
აზრის მზეს  
არ გინათებს —  
უფალი...  
ღმერთი...  
განა, —

ქარია —  
გულის ალი  
და... ქარებს მიჰყვა?!..  
რომ მითხრა:  
მხოლოდ,  
ერთი სიტყვა...  
და... მხოლოდ —  
ერთი...

15. IV. 2016

## სიბრმავე...

ბევრი რამ არის —  
ცხოვრებაში,  
მომდები ალთა,  
შეჭირვებულნი —  
ბევრჯერ, — ვამბობთ:  
ვაის და  
უის...  
ხომ ძნელი არის:  
სიელმე და  
სიბრმავე თვალთა?..  
ძნელია —  
უფრო,  
დაბრმავება:  
გონის და  
ჭკუის...

21. II. 2016

## რა გვეშველება?!

ერთ ქარს —  
მეორე,  
მართვის ქარით ვცვლით,  
ველარ შევეშვით  
ბატიპუტიებს...  
რა გვეშველება:  
ან-ჩვენ,  
არ ვიცი,  
ან-გადაღებულ,  
პარტიპურტიებს?!..

## საზღვარი...

ხომ არის ზღვარი  
კოსმოსის მოვლის? —  
ზღვარით სცემს პატივს:  
მთა-მთას და  
ზღვა-ზღვას...  
საზღვარი გახლავთ:  
ყველაფრის,  
ყოველის,  
ვაი-მას,  
ვინაც —  
ვერ ხედავს  
საზღვარს...

23. I. 2014







## ნუთუ?!..

ვემდურით —  
 ხშირად,  
 ბედს და  
 განგებას, —  
 ჩვენ გვხვდება  
 ორმო —  
 სხვისთვის რომ  
 ვთხრითო...  
 და...  
 ნუთუ, —  
 არ გვაქვს:  
 აზრიც,  
 გაგებაც?  
 რომ —  
 ჩვენი მტერი  
 ჩვენვე ვართ, —  
 თვითონ?!..

1. I. 2014

## ვუთვლი — სამძიმარს...

ეცადა, ვინაც,  
 მაგრამ...  
 ლექსი —  
 მზედ ვერ ამძივა...  
 და...  
 ხვალის დღეებს,  
 ხვალის განცდას  
 ელის —  
 არა — მშვიდს...  
 მე —  
 იმ პოეტებს  
 გულით ვუთვლი  
 უღრმეს სამძიმარს,  
 თვითონ ესწრება  
 ვინაც  
 თავის —  
 ლექსთა  
 პანაშვიდს...

14. VIII. 2015

## თელაველობით თავი რომ მოგვაქვს, ანუ — კითხვა, რომელიც ჩვენს პასუხს ითხოვს...

გულში —  
 იბერთა  
 სისხლი თუ, ბორგავს...  
 და... თუ, გვაქვს  
 უფლის:  
 რწმენაც, და  
 სახეც,  
 თელაველობით

თავი რომ  
 მოგვაქვს,  
 ვთქვათ:  
 რა შევმატეთ  
 თელავის  
 სახელს?..

5. IV. 2016

## იროდეს უნდა — ყოველთვის, ყველამ...

ხან, — ნავანყდებით  
 დროს:  
 ბრმას და  
 ელამს, —  
 დიდების ნაცვლად,  
 რისხვის და  
 ფარსის...  
 იცოდეს უნდა —  
 ყოველთვის,  
 ყველამ —  
 ქვეყნის და  
 თავის  
 ღირსების  
 ფასი...

24. III. 2016

## ჩემო, — ძვირფასო...

რა შუაში ვარ?! —  
 სიყვარული —  
 ვინ,  
 ვის უბუქა?!..  
 ცრუ და  
 თაღლითი,  
 ერთი მითხარ:  
 სად და...  
 ვინ ფასობს?!..  
 „მახუჭუჭებო“,  
 რომ გამოჰკარ, —  
 ვითომ,  
 მსუბუქად,  
 არ გახუჭუჭებ,  
 ამ მზეს ვფიცავ,  
 ჩემო, —  
 ძვირფასო...

25. X. 2015

## ხომ ხდება?!..

რამდენი, —  
 ნალმა-უკულმა  
 კროცავს, —  
 და... აბდა-უბდით  
 ართულებს —  
 მარტივს...  
 ხომ ხდება  
 ისეც? —



სოლომონს, როცა —  
სიბრძნის  
სწავლებას  
დაუწყებს —  
ბატი...

12. VII. 2015

### სურვილი...

უშენოდ, —  
თითქოს,  
ჯოჯოხეთის  
ეკლებზე ვწევარ,  
დღეები არ მწამს:  
გლოვისფერი,  
მწუხრი და...  
ქუში...  
ბედნიერების —  
შენ გადარებ  
სასწაულ მწვერვალს,  
მინდა:  
ჩაგიკრა,  
ჩაგიხუტო, —  
სულშიც და  
გულშიც...

15. VIII. 2015

### ნოინები...

ავად ახსოვს  
ქართველობას:  
თავგასული, —  
ოინებით  
მაფიური  
მმართველობა —  
ნაციონალ —  
ნოინების...\*

20. III. 2016

\*(მონღ.) მონღოლების მიერ დაპყრობილი გარკვეული ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულების მმართველები...

### მთავარი...

სიტყვამ —  
მთა-ბარი  
იარა, —  
სიბრძნის და  
ცოდნის  
საარით...  
მთავარი:  
ბევრი  
კი არა,  
მთავარი არი —  
რა არი?..

17. III. 2016

### მხოლოდ და... მხოლოდ...

მზეს, — მოლივლივეს —  
ვერასოდეს,  
ვერავინ ნაშლის,  
ვერ ნახავს ძმურად:  
წყალსა და  
ცეცხლს, —  
ვერავინ,  
ხოლო,  
ღირსება, მართლაც,  
თუკი გვინდა:  
მინაზე,  
ცაშიც,  
ღირსება უნდა იჯდეს  
ტახტზეც, —  
მხოლოდ... და...  
მხოლოდ...

19. III. 2016

### კახელები...

თუ, იკითხავთ:  
ვინ არიან —  
სიყვარულში  
გახელებით?..  
ომშიც —  
მტერი  
ვინა რია?..  
ვინ არიან? —  
კახელები...

21. III. 2016

### ყველა გვირგვინზე სხივმოსილი, — ღიადი, უფრო...

რა დიადია, —  
როცა, ქვეყნად,  
ღირსება უფლობს, —  
პირმშო:  
პლანეტის —  
ცოდნისა და  
გამოცდილების...  
ყველა გვირგვინზე  
დიადია —  
ღირსება, — უფრო,  
სიკეთის,  
სიბრძნის,  
სიყვარულის  
ძალმოსილებით...

22. III. 2016

ღმ





## სალოაზო...

ველარ გამოჩნდა  
შუქნათელი  
გვირაბის ბოლოს, —  
უჭირს ქვეყანას,  
უჭირს,  
ეგზომ,  
ძალიან უჭირს...  
უსამართლობამ  
სამართალი  
სანამდე ბოლოს?!..  
სანამდე იყოს  
პარლამენტი —  
სალაყბო, —  
ფუჭი?!..

15. II. 2011

## ზოგჯერ...

ჩვენ, თუ, —  
არ ვუმტრეთ  
საკუთარ თავს,  
მტერი  
რას გვიზამს?!..  
რამდენჯერ, —  
უნდა გაგვიტანო —  
ყრუ და  
ბრმა ჭირო?!..  
თუ, გვინდა —  
რწმენით მივაღწიოთ  
სანუკვარ მიზანს,  
არმოსათმენის  
მომენაა —  
ზოგჯერ,  
საჭირო...

4. I. 2016

## ვერავენ შეცვლის...

დანურა ვინაც —  
შხამ-სამსალა,  
თვით,  
მასვე ასვეს,  
დროის მსაჯული  
თეთრსა და  
შავს  
მუდამ გაარჩევს...  
დათესავს, რასაც —  
მეფეთ-მეფეც  
მოიმკის მასვე,  
ვერავენ შეცვლის —  
უფლისა და  
ხალხის განაჩენს...

24. III. 2016

## სანამ?!..

დანვავს პლანეტას —  
რისხვით,  
ალი ცის,  
სიკეთეს ქანცი  
ომით ულიეს...  
სანამ ვუთმინოთ, —  
ნეტავ,  
არ ვიცი —  
პოლიტმძორებს და  
პოლიტმუმიებს?!..

23. III. 2016

## ტყუილენის გუდავ...

ღირსებას რომ —  
ებრძვი, —  
სულ, შლი...  
და... სიმართლეს —  
გუდავ,  
ჩაიხედე:  
გულშიც,  
სულშიც,  
ტყუილების  
გუდავ...

26. III. 2016

## ორგული და ერთგული...

ალალი გული, —  
სიკეთისთვის,  
ჰგავს:  
ბნელში —  
მზა კვარს,  
ავგულობაზე —  
ხალხს,  
ქვეყანას,  
უფრორე,  
რა ღლის?..  
ძველთაგან თქმულა:  
ორგულ ორფეხს, —  
ცრუსა და  
მზაკვარს,  
ბევრით სჯობია:  
ულალატო, —  
ერთგული,  
ძალდი...

23. III. 2016



## ყველაზე მეტად...

**სიკეთის განსახიერებას**  
— *ჯემალ ბეჟანიშვილს*

სიკეთე —  
უფლის მაგონებს  
ფარსო,  
სულიც და  
გულიც  
მზით რომ ივსება...  
ყველაზე მეტად, —  
თუ, რამით,  
ფასობს,  
სიკეთით ფასობს —  
კაცის ღირსება...

29. II. 2016

## უსახური — სამსახური...

არის —  
არასამთავრობო:  
მაჩვი,  
მელა  
და... მგელ-ტურა, —  
უსახური —  
სამსახური, —  
უცხოეთის —  
აგენტურა...

16. IV. 2016

## ვისაჯ — სინდისის და ნამუსის ქუდი ახურავს...

ღირსებას,  
სახელს —  
უპირველეს  
სიფრთხილედ უნდა,  
ვისაც —  
სინდისის  
და ნამუსის  
ქუდი ახურავს, —  
ტახტ-სავარძელი  
და... სიმდიდრე  
რომ მისცენ, —  
თუნდაც,  
არ დაუდგება —  
არასოდეს,  
ეშმაკს მსახურად...

24. VIII. 2016

## ყოველთვის...

ცხოვრების აზრი —  
რომ,  
მუდამ,  
მზით თქვა,  
არ ჰგავდე —  
ფეხქვეშ სათელ  
ფათალოს,  
ანონო უნდა:  
ყოველი სიტყვა,  
ხოლო,  
ნაბიჯი —  
უნდა:  
გათვალო...

17. VII. 2015

## აყრილებლად, — მოვიმკით შედეგს...

ხან, — გვინდა:  
მზისთვის  
ხელის შეწვდომა, —  
რას —  
რა მოყვება,  
არ ვიცით, — შემდეგ...  
დავუშვებთ —  
მინყვი,  
ვინც, რა შეცდომას,\*  
აუცილებლად, —  
მოვიმკით შედეგს...

17. IX. 2016

\*ნმინდა ელენეს კუნძულებზე გადასახლებული  
ნაპოლეონ ბონაპარტი ღამეებს ტირილით ათენებდა  
თავისი საბედისწერო შეცდომების გამო

## გზას — სიკეთის ვინაჯ ასრდა...

გზას — სიკეთის  
ვინაც ასცდა,  
ეუბნება სიბრძნეს:  
„არ“-ებს...  
ეზიდება —  
საცრით  
წყალს და...  
დასაბმელად დასდევს  
ქარებს...

9. VIII. 2016

## უბრალოება...

გულებს —  
სიკეთედ,  
უნდა მოებას:  
სიცოცხლე, —





სულიც,  
გულიც —  
კრიალა...  
მნამს:  
სიდიადის —  
უბრალოება,  
მონური —  
ქედის დრეკის  
კი-არა...

7. IX. 2016

### კორიანტელი...

ნინ, —  
საარჩევნოდ,  
ვისაც კი —  
უჭირს,  
არ გვახსოვს, —  
დღემდე,  
მგონი... ამდენი...  
არის —  
შეჯიბრი,  
საქვეყნოდ, —  
ფუჭი,  
დაპირებების —  
კორიანტელი...

20. IX. 2016

### მაგრამ... ვერ დანვა წერხლმა — სიმართლე...

იყვნენ სადარნი —  
ვირთან,  
ჯორთანო...  
და... დრო  
პასუხს სთხოვს —  
დღესაც,  
იმათვე, —  
კოცონზე დანვეს —  
ბრძენი  
ჯორდანო,\*  
მაგრამ... ვერ დანვა  
ცეცხლმა  
სიმართლე...

20. VII. 2016

### წილი...\*

ხომ გადავყრივართ  
სიავით ნათრობს? —  
სიცრუის —  
ვინაც,  
სიტყვას და  
ქვას ცრის?..  
მზის სიცილს  
დათმობს,

ყველაფერს  
დათმობს,  
ცილს  
არ იკადრებს:  
კაცური  
კაცი...

P.S.

ცილი როდია —  
ქაქანი  
ქარის?..  
ცილი —  
თახსირის ზნეობა  
არის...

29. X. 2016

\*მას შემდეგ, რაც საქართველომ კანონში ცილისნამების მუხლი გააუქმა, სიცრუის ქაოსშია გახვეული. ევროსაბჭოს ნევრ ქვეყნებში მუხლი — ცილისნამების შესახებ, აკრძალულია. მწვანე შუქი აქვს — დემოკრატიის სიკეთედ მონათლულ, ხელ-ფეხგახსნილ უბედურებას

### წრუ და მართალი...

მსახურად:  
ვინ?.. ვისი? —  
კვერთხიც და...  
მუნდირიც,  
ვინ —  
ვისთვის ამზადებს:  
ვინ — მზეს და...  
ვინ — ლახვარს?!..  
ცრუ როა — მებრძოლი,  
მართალი — უნდილი,  
მსგავსი, —  
სხვა პარტიები —  
მე,  
ჯერ, არ  
მინახავს...

27. X. 2016

### სურვილი...

ხან, —  
ყოფნის ეტლი  
უკულმა ბრუნდა,  
დრო დგება:  
ვაის,  
ვიშის და  
ურვის...  
ჭკუათმყოფელმა  
იცოდეს უნდა:  
საზღვარი  
სად აქვს —  
რაიმე  
სურვილს?..

20. X. 2016



## გვირგვინი...

გონების ნაცვლად,  
რაოდენი  
აზროვნებს კუჭით,  
დასაბამიდან,  
გვირგვინისთვის  
ბრძოლაა, —  
ირგვლივ...  
გვირგვინიც,  
ტახტიც,  
სავარძელიც —  
ქარია, —  
ფუჭი,  
კაცი ის არის,  
ვინც დაიდგამს —  
ღირსების  
გვირგვინს...

15. VIII. 2015

## მაშინ, როდესაც...

მოვლეს  
ნადირთა სანახავად —  
ბარი...  
მოვლეს — მთაც,  
ზოგს კი —  
ფრინველთა  
ნახვა უნდა:  
ფრთიანის,  
უფროს...  
ზოგს —  
ზოოპარკში  
უნდა ნახვა:  
ფრინველთ,  
ცხოველთა, —  
მაშინ,  
როდესაც —  
ჩვენს გარშემო  
მეტია, —  
უფრო...

19. X. 2016

## საზღვარი...

საზღვარი ვიცი:  
სიბრძნით,  
ცოდნით,  
ვინ — მინით  
ვინ — ცით,  
გონების თვალთ,  
როცა ვუმზერთ —  
კოსმოსსაც, —  
ფართოს...  
არაფერია სამყაროშიც  
უსაზღვრო, —  
ვიცი,  
არა ჰქონია  
სისულელეს

საზღვარი, —  
მარტო...

10. VIII. 2016

## რამდენჯერ?!..

რამდენჯერ შევხვდით, —  
ოდით,  
წლებს —  
ნასეტყვსა და  
ნავსებს?!..  
ზეუმეცართა  
ბოდვით:  
ნათიალებს და  
ნავსებს...

2. II. 2007

## მზეძალა...

ძალმომრეობა  
წამოიდგა —  
ვინაც,  
თხის რქებად,  
ვინც კი —  
ზეობდა,  
დამარხულა  
მათი ოცნება...  
უფრო, —  
მზეძალა —  
არ ყოფილა...  
და... არც  
იქნება,  
ვიდრე —  
სიკეთე,  
სიმართლე და  
პატიოსნება...

21. IX. 2016

## მიწვალებული დადის მინაზე?!..

სიავე არის —  
ცრემლის დამდენი,  
მე —  
გულის ცაზე,  
ღრუბლებს  
მინვავს მზე...  
აზრით,  
ზნეობით,  
სულით... რამდენი —  
მიცვალებული  
დადის  
მინაზე?!..

4. IX. 2016





## ნეტავ, — როდის?!..

ვერ გასრულდა, —  
რიგი რო დის:  
ქაჯთა —  
ფეხთა  
ლოკვების...  
დრო გარდავა —  
ნეტავ, როდის,  
ალი-ბაბას —  
წლოკვების?!..

24. X. 2011

## გაყიდულო საქართველო...

დარდის ცეცხლი  
ველარ ვდევნე, —  
როდის უნდა  
გაგამთელოთ,  
სატანურად, —  
მერამდენედ,  
გაყიდულო  
საქართველო?!..

10. VIII. 2008

## ხრწეტი...

ცერცეტი —  
აჭი-ბაჭიას კროცავს,  
სულშიც და  
გულშიც —  
ემშაკი უზის...  
თუმც, —  
მეცოდება უნდილი,  
როცა —  
ჩემი ხმლის პირზე  
ჯდება,  
ვით —  
ბუზი...

15. X. 2016

## მტერი — თავის თავის...

ეგების ვითარ?! —  
სხვას ადინოს:  
ბურდლა და  
მტვერი, —  
დაიპყროს,  
დასცეს,  
ძარცვოს,  
ლლიტოს,  
სიტყვებით — ხვითომ...  
რატომ ჰგონია:  
მერე,  
ვითომ,  
სხვა არის  
მტერი?!..

უნინ —  
თავისი  
მტერი არის,  
როდესაც, —  
თვითონ...

9. X. 2016

## მაგრამ...

მეგონა —  
ჰქონდა:  
მზე — გონად,  
გული —  
ვარდივით, —  
ფოფინა...  
რა, დიდი კაცი  
მეგონა,  
მაგრამ...  
რა, ცურცლი  
ყოფილა...

10. X. 2010

## ვერ-რით ვიტან...

იქ არიან,  
აქ არიან...  
და... ვინ,  
სად,  
რას —  
ურაკუნებს?!..  
ვერ-რით  
ვიტან —  
თავქარიან:  
პოეტუნებს,  
პროზაკუნებს...

13. X. 2016

## ხუცხლი ვაქციე მებრძოლ ლექსებად...

დრომ —  
ფიქრი ლაშქრა,  
ვითარ  
ქსერქსემა,  
ფიქრებმა, მაინც,  
ალი გატორეს...  
ცეცხლი ვაქციე  
მებრძოლ  
ლექსებად,  
ვებრძვი:  
ამ დროის  
ალიგატორებს...

5. IX. 2016



## რა მურღალია?!..

როცა იმღვრევა,  
ეცვლება ნირი:  
მტკვარს,  
ხუანხეს,  
თუ, —  
ამუდარიას...  
სულამღვრეული:  
ორფეხა ვირი —  
სულ,  
ამღვრეული,  
რა მურღალია?!..

13. VIII. 2016

## რამდენჯერ?!..

ღმერთი გვშველის და...  
რად გვგონია —  
შემოგვწყრა  
ღმერთი?!  
შეცდომა  
რატომ გვაგინებდა?! —  
ან, დროის —  
ნირი?!..  
რამდენჯერ უნდა  
ვიმეოროთ —  
შეცდომა ერთი?!..  
როცა —  
მეორედ,  
არ გაივლის —  
გზანვრილზე,  
ვირიც...

19. VII. 2014

## ძლიერი და სუსტი...

თუ გსურთ  
შეიცნოთ —  
ღირსებით და...  
სიმტკიცით, —  
სრულით...  
და... ვის უწყდება  
თმენის ძაფი, —  
კუპრივით  
მრუშე?..  
აროდეს ყვირის,  
არ ღრიალებს —  
ძლიერი  
სულით,  
ღრიალ-ყვირილი  
ნიშანია:  
სისუსტის, —  
თურმე...

2. IX. 2014

## პრეზიდენტი...

წინაშე:  
უფლის  
და სიმართლის —  
თავს  
ვინაც არ ხრის,  
რისხვად ექცევა —  
უფლებაც და  
მისით პატივიც...  
მწამს —  
პრეზიდენტი:  
სიტყვით,  
საქმით,  
ქვეყნის და  
ხალხის...  
და...  
არასოდეს,  
არასოდეს —  
ერთი პარტიის...

21. II. 2014

## ფიქრით ღამდენა... ფიქრით თენდენა...

ცას მისწვდნენ,  
ვინაც —  
იშვნენ —  
დენდებად...  
მე კი —  
წყალს ვნაყავ:  
ამ დღით, —  
ამ მწარით...  
ფიქრით ღამდება,  
ფიქრით თენდება,  
ვარ —  
ჩემს მიწაზე  
ფიქრით  
დამწვარი...

7. IX. 2014

## ბევრჯერ...

მიწყევ...  
მიჯრით...  
მუზა ხელობს, —  
მზეგულა და  
კაკალგულა...  
მაგრამ —  
ბევრჯერ,  
უსახელოდ,  
დანთქმულა და  
დაკარგულა...

3. XII. 2010







## დროის ბრუნვაში...

დრო რამდენ:  
პოეტს,  
პროზაიკოსს  
ქარივით დაგვის, —  
ცას  
კუნწულ-კუნწულ  
რომ ასხია,  
ვით კენკრა —  
ხურმებს...  
კარის ღრიჭოდან, —  
პრეტენზიით,  
შემოძვრა თავვი,  
თავგსაც მოუნდა —  
მზესახელთა  
პრემია, —  
თურმე...

6. X. 2009

## უმთავრესი უბედურება...

ცეცხლად იქცევა, —  
ნამდვილ ცეცხლად,  
უცვლელ მდურებად,  
აუნონავი —  
სიტყვაც,  
საქმეც  
ერთურთს რომ  
ახლის,  
ქვეყნისთვის არის  
უმთავრესი  
უბედურება:  
ორ პოლიუსად  
გახლეჩილი —  
პარტია,  
ხალხი...

26. IX. 2011

## ყველა როდია არწივი?..

ქინქლის —  
არც ტიკმა  
იტიკა,  
არც — კვერცხში  
მართვე  
არ წივის,  
ვინც ააფრინა  
კრიტიკამ,  
ყველა როდია  
არწივი?..

P.S.

სანამ —  
მეტი აქვს  
კრინტი ქვას,  
იქ —

მუდამ,  
უჭირს  
კრიტიკას...

## გნამდეს...

საზეო საქმე  
აგტყორცნის —  
ცამდე...  
რა საჭიროა  
დაინვა ნერვი?..  
მზესავით  
თუკი იქცევი,  
გნამდეს,  
მზეს —  
ხელის გულით  
დაფარავს  
ვერვინ...

11. X. 2009

## ორი გზა...

ის ჩვენია, —  
ღვიძლი,  
რის სხვა? —  
ვის  
სიცოცხლე  
ორი ელის...  
ვერ ასცდება  
უფლის  
რისხვას —  
ვისაც  
ზნე აქვს  
მორიელის...

13. X. 2009

## „ინ ვინო ვერიტას“...\*

„ინ ვინო  
ვერიტას“, —  
ჰკითხეთ:  
ვარდს და  
ტიტას, —  
ღვინო გიჟებს  
ვერ იტანს,  
ბრძენს და  
ჭკვიანს  
იტანს...

21. IX. 2014

\*(ლათ.) IN VINO VERITAS — ღვინოშია ჭეშმარიტება



## ჯორი...

ვფიცავ:  
უფალს და  
ამ მზეს,  
ხომ არის  
ჩვენზე —  
ახი?..  
ჯორს რომ  
ვსვამთ —  
ოქროს სკამზე  
სულ, —  
ალარ ახსოვს  
ხალხი...

12. IX. 2014

## როგორც — ჭრილობა...

ხან, —  
სევდას ვიფენ,  
დაბლა,  
ჭილობად,  
ხან, —  
მზისებრ, ცაზე,  
დავიარები...  
ამ გულს შემორჩა,  
როგორც —  
ჭრილობა,  
შენი თვალების  
ნაიარევი...

11. IV. 2014

## ბედნიერება...

მამულისათვის:  
ვინ-მზეობს,  
უფლობს,  
ვინ კი —  
სიცოცხლით,  
არაა ანწლიც...  
ბედნიერება რაია, —  
უფრო?  
რაიც კი ძალგის,  
როცა გაქვს —  
ღვანლი...

8. I. 2014

## სიბრძნე...

ზეძალა სიბრძნის  
ქვათაც კი იგრძნეს, —  
რაიც კი მოდის  
აზრის საარი...  
არავინ  
არ თქვას —  
ლაქლაქი სიბრძნედ,

სიბრძნის  
აზრი და  
სიღრმე  
სხვა არი...

19. V. 2014

## ოლონდ...

მესმის:  
ქვითინებს  
ყველა ყვავილი,  
როდესაც —  
სადმე,  
ტყვია ვარდება...  
მე —  
მარადიულ  
ცეცხლში გავივლი,  
ოლონდ, —  
ტყვიები  
იქცნენ ვარდებად...

19. XI. 2013

## ვინ, — ან, სად არის?..

ამ ფიქრებს —  
ვმარცვლავ,  
ვხარშავ და  
კვინეტავ:  
ვინ სწვდება  
ზეცას,  
როგორც მწვერვალი?..  
ვინ, —  
ან,  
სად არის? —  
ამ მზის ქვეშ,  
ნეტავ,  
მანის\* კურთხევით —  
ნაღდი მწერალი...

22. VI. 2014

\*იგულისხმება თომას მანის გენიალური სენტენცია:  
„ჭეშმარიტი მწერალი — სიმართლის, სიკეთისა და  
პატიოსნების სიმბოლოა“

## ვასრულოდა...

ოცნებით, —  
რამდენს ვეკონე?..  
სხვაც,  
მე,  
რამდენი მეკონა?..  
რამდენს —  
თავისი ვეგონე?..  
მეც, —  
ჩემი





ვინ არ მეგონა?..  
ის, —  
არჩევანი  
ასულთა —  
გაფრინდა...  
გასხლტა...  
გასრულდა...

20. VI. 2014

### თუკი...

უფალმა ვისაც  
ბედი ათხოვა,  
მეფურ ზის...  
თავი მოაქვს —  
მაცხოვრად...  
არ გაიკითხავს, —  
ვინაც,  
მათხოვარს,  
უფალი —  
თვითონ დასვამს  
მათხოვრად...

21. VI. 2014

### არასოდეს...

არ არს —  
ბრძენს რომ  
არ ახსოვდეს,  
ასე ბრძანა  
ლუკამ:  
სულელები —  
არასოდეს,  
არ იხევენ  
უკან...

25. XII. 2013

### ლიმილ-სიწილით...

*„მოყვარესა მტერსა ვუფრთხი  
მოღიმილობს, მოცინარობს“...  
შოთა რუსთაველი*

შურით:  
დამდნარი...  
დახრუკული...  
ნამცეცა...  
შეთი...  
ლიმილ-სიცილით,  
„მეგობრობით“  
და... „ძმობით“, —  
ლამის...  
პატივისცემის,  
ერთგულების მტკიცებით, —  
შენთვის,  
თვალეში  
ნეტარ შემყრელია:  
ნაცრის და

ლამის...  
სანამ ვიტყოდი, —  
ფიქრმა,  
განცდამ  
აზრმა ამიკლო,  
ასეთი —  
თამაშ-მეგობარი  
თქვენც გყავთ,  
ძამიკო?..

17. XII. 2011

### სიწოვნი და... სიყვარული...

დრო, —  
ათასჯერ,  
მონაფარდა,  
მაგრამ...  
სიბრძნის —  
მძე ვალი...  
მე  
სიცოცხლის  
მონა ვარ და...  
სიყვარულის —  
მძევალი...

20. XII. 2013

### მტერი...

ვეთაყვანები  
ღირსების ვარვარს,  
არ დავიღლები —  
სიკეთის  
თვლითო...  
მე —  
მტრის მტერიც კი  
აროდეს,  
არ ვარ, —  
მტერია,  
რადგან —  
თავისი, —  
თვითონ...

13. II. 2014

### სჯობს...

სჯობს, — მოიხადო:  
სიცოცხლის ვალი, —  
და...  
გზას არ გაჰყვე —  
ფლიდთა,  
რეგვენთა...  
სიკეთის —  
ისე,  
დატოვო კვალი,  
რომ —  
შენი ყოფნა  
დარჩეს:  
ლეგენდად...

26. I. 2014



## საგანსური თამაში...

გენიალური სატირაა, როცა —  
ილიას საქმის მკვლელს,  
კაბინეტში, ილიას პორტრეტი უკიდია...

ბენვიც, — მოთმენის:  
განყდა...  
ილია...  
მზეც  
ლამეც —  
ერთად,  
როგორ ივლიან?!..  
ილიას —  
მხოლოდ,  
სიტყვით  
მისდევენ...  
მაგრამ...  
მარხავენ  
საქმით —  
ილიას...

5. V. 2005

## ნეტავი...

დროს ვისურვებდი —  
ნეტარს და  
ამოს,  
რომ —  
ყველა ჭუჭყი  
რეცხოს და...  
რიყოს...  
მანქანა რეცხავს  
სხეულის  
სამოსს,  
ნეტავი, —  
სულის  
სარეცხიც  
იყოს...

31. III. 2014

## დაილოცა...

გულში —  
ნეტარ,  
მზე, თუ —  
გიზის,  
არ ხარ —  
გულით ბრმაი,  
როცა —  
ვლოცავ:  
სხივს და  
ნათელს  
იმ მზის,  
ის —  
მზეგული  
დაილოცა...

21. II. 2014

## სულში მინთია...

სულში მინთია,  
ვით,  
უფლის კვარი, —  
ამ მზის ქვეშ,  
ვისაც —  
მზეგულის  
სნამდა,  
ვინც —  
უკეთური მიზნისთვის,  
არ-რით,  
არ იყენებდა —  
აროდეს,  
ნამთაც...

19. II. 2014

## სირცხვილი და დიდება...

ყველას გაცხრილავს  
დრო და  
მზის ცხრილი, —  
საქმით:  
ვინ-მზეა  
ვინ-ბზედ  
დინდება...  
ვინ არის —  
ქვეყნის,  
ერის სირცხვილი...  
ვინ —  
სახელი და  
ერის დიდება...

9. XI. 2014

## ქინქლი... \*

არსით —  
ქინქლია,  
ქინქლ-ბლენძი, —  
ყოველთვის,  
ყველა  
დროში...  
ჭემმარიტებას  
ვინც ებრძვის, —  
ჭემმარიტების  
დროში...

2. XII. 2013

\*ძალიან პატარა, მფრინავი მწერი, — მუმლი

## გამძვრალი წყევლა...

გვინახავს ყველას —  
ავი ზნის  
ბოცა, —





გამძვრალი,  
ქლესა,  
თაღლითი ციცა...  
თავდამსხმელია  
მტყუანი,  
როცა, —  
ალალი —  
მასთან,  
თავს  
რიდით იცავს...

13. II. 2014

### **ასი — პარტია, — ასი — სიმართლე?!..**

კითხვას გაუჩენს  
ალბათ,  
ლონდრესაც, —  
წამების,  
ტანჯვის  
და... ჯვარცმის  
ფასად...  
ასი პარტია  
არის,  
როდესაც,  
სიმართლეც, —  
ნუთუ  
იყოფა —  
ასად?!..

15. V. 2012

### **უფალო...**

ვინაც —  
სულს გვართმევს  
ლაღადო,  
ვინაც —  
მართალს სჯის,  
უფალო,  
ვინაც —  
ცა-მინას  
ლაღატობს,  
მას —  
თავი  
კუპრში  
უფალო...

26. VIII. 2014

### **გულზე — გველივით, გადამიარა...**

ვითომ, —  
ვერ ხედავს  
სულის  
მდიდარ ცას?! —  
მზესიყვარულით  
გამდნარ იარას...  
ცრუ

მეგობრობით,  
ძმობით,  
ვითარცა,  
გულზე —  
გველივით,  
გადამიარა...

2. VII. 2014

### **გრძელო...**

მე  
მეგობარი მყავდა  
გრძელო,  
რით სჯობდა  
ქონდარს?..  
ხელეჩო...  
დამწვარ-დახრუკული, —  
სხვის ხარჯზე —  
ხელი...  
სულ არ ახსოვდა,  
ჯიბეები  
რომ მასაც  
ჰქონდა,  
არ წასცდენია —  
არასოდეს,  
ჯიბისკენ  
ხელი...

20. VII. 2014

### **არე-პო მითხრა და... არე-არა!**

#### *რემინისცენცია ხალხური მოტივის*

ნაზმა და...  
მერე...  
რა ნაზმა?!..  
ჩემთვის:  
რალა — მზე?!..  
ან, ცა — რა?!..  
უცეცხლოდ დამწვა  
ლამაზმა, —  
არც — პო  
მითხრა და...  
არც — არა!..

19. IX. 2014

### **მტერი, — მტერზე, უძტრესი...**

მოგცემს —  
მზაკვრულ,  
ზოგად რჩევებს,  
თან, —  
სურს გქონდეს  
სულ, სტრესი...  
თავს



მეგობრად  
მოგაჩვენებს —  
მტერი, —  
მტერზეც,  
უმტრესი...

22. VIII. 2014

### პორტრეტები...

ვინ, —  
ხატავს,  
ძერნავს —  
ყაყაჩო ლექსებს...  
რებუხებს ბლანდავს  
და... ხლართავს —  
ზოგი...  
ვინ —  
მოლაშქრეა,  
ვითარცა —  
ქსერქსე...\*  
სიტყვებად დნება —  
უბრძნესი  
მოგვი...

15. IX. 2014

\*სპარსეთის მეფე, — მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებისა და ნადავლისთვის მოლაშქრე

### თუ, გინდა გახდე — ადამიანი...

ლოცავენ  
სულის ნადავლს იანიც,  
გზით —  
ძნელით მოდის:  
სახელიც,  
დავლაც...  
თუ, გინდა:  
გახდე —  
ადამიანი,  
საჭირო არის —  
ბანარზე  
გავლაც...

16. VIII. 2014

### პოლიტიკა...

**„პოლიტიკა არის სიცრუის ხელოვნება“...  
იური შჩერბატიხი  
(წიგნიდან: „სიცრუის ხელოვნება“)**

ვის —  
ველი ჰგონია,  
ვის  
გზა სატანური,  
ვის —  
სიბრძნე და...

ვის კი —  
ჯურხას  
ჯორის ტლინკვა...  
ხან —  
ალერსით და...  
ხან —  
ჯიქურ ტატანურით,  
სიცრუის —  
ხელოვნებააო  
პოლიტიკა...

5. IX. 2013

### ტელეპათია...

დღეს — მეტი  
ვიდრე — გუშინ,  
მაქვს ტელეპათის  
ნიჭი, —  
ჭვრეტა —  
გულიდან,  
გულში,  
მგონია, —  
რომ არ  
მიჭირს...

21. IX. 2014

### გუდამაყარო...

მოვდივარ,  
გუდამაყარო,  
გულთა მზევე,  
გულთა მაყარო,  
სიყვარულის და  
სიამის —  
ეგ მზე  
ლექსს  
უნდა ვაყარო...

10. X. 2010

### სიზმარი...

წუხელ, —  
ეს რა მესიზმრა?! —  
ტყე —  
ცხოვრებით მგლურით,  
ტყეში იყო —  
ქვეყანა,  
ვითომ, —  
დაკარგული...  
სადაც —  
ღმერთებს იჭერდნენ:  
რატომ გაქეთო —  
თვალეები...  
რატომ გაქეთო —  
ყურები...  
რატომ გაქეთო —  
გული...  
გული, —  
კაკალგული...

7. X. 2010





### ვირი...

ბრჭყალბასრი  
ვიცი —  
რამდენი,  
სვავი, —  
მიმო დაფრინავს  
ჟღურტულით  
მერცხლის...  
და...  
ვიცი —  
მგელიც, —  
კრაველით  
კრავის...  
და...  
ვიცი —  
ვერცხლიც, —  
შიგნიდან —  
ცეცხლი...

5. V. 2011

### გაზაფხული...

თოვლო,  
ვილას ეძნელები? —  
მარტი  
ფრთას რომ  
ზე-შლის...  
იები და  
ენძელები —  
ბანაობენ  
მზეში...

5. III. 2011

### არ მყოფნის სიტყვა...

წუთისოფელი, —  
თურმე,  
ცის ქვეშ,  
რა მოკლე არი...  
ვის დაეზედა,  
თანაც,  
ლამე...  
და... ვის კი —  
მზით ჰყვა...  
განფენილია  
ხან,  
წუხილი,  
ვით —  
ოკეანე,  
სათქმელად ჭირთა, —  
უსაზღვროთა,  
არ მყოფნის  
სიტყვა...

5. V. 2011

### იქვე...

დრო —  
წელთა ხილად  
იდება,  
გვიხმობს:  
საწუთროს  
საარი...  
სადაც იწყება —  
დიდება,  
იქვე —  
უფსკრული  
მზა არი...

2. V. 2011

### ხამს...

*პატარა ნოე ჟორდანიას გახსენება  
დიდ ილიასთან დამოკიდებულების გამო*

სად მიათრევ  
იმ ცოდვებს? —  
რა ჯუნგლს  
ბაძავ,  
რა ტომს?!..  
ხამს, —  
ის, მაინც,  
იცოდე —  
ვის ებრძვი და...  
რატომ?!..

3. V. 2011

### სტიქიონადა დროის...

ვისგან —  
ვის,  
ვისი,  
ვის სწყინს,  
ვა — ტროასი, თუ —  
ტროის...  
ულმობელია, —  
მინყივ,  
სტიქიონადა  
დროის...

28. IV. 2011

### ერთად...

ეს, — ჩვენთა  
ზოგთა,  
წილხვედრი თუა, —  
როცა გვაქვს  
ძალა,  
არა გვაქვს  
ჭკუა...  
არარაია, ორივე,  
ცალად, —



როცა გვაქვს  
ჭკუა,  
აღარ გვაქვს  
ძალა...  
ძალა და ჭკუა  
როცაა ერთად, —  
მოყვრისთვის — მზეა  
და... ღამე — მტერთა...

1. V. 2011

### ეს საუკუნე...

როდია საქმე —  
გირჩის და  
წინვის? —  
დრო გადაქარდა  
ათასი  
გვადის  
ეს საუკუნე  
ზედ, —  
გულზე  
ინვის...  
ეს საუკუნე —  
ნერვებზე  
გადის...

23. X. 2010

### დასკვნა...

იქნებ, —  
დასკვნა  
მკაცრი არი?...  
მღვრიე წყალი  
აქაც არი...  
რადგან, —  
ზოგი,  
კაცი არი,  
ხოლო, —  
ზოგი —  
ნაკაცარი...

27. IV. 2011

### გადაჰკრავს და...

აკრძალული  
უყვარს ვაშლი, —  
იბუსკნება  
საშა როს,  
გადაჰკრავს და...  
საქმეს აშლის:  
სამუშტოს და  
საშაროს...

27. IV. 2011

### ეს, — იმას ნიშნავს...

ცაში ისვრიან —  
ნეტარებით,  
როდესაც  
ქუდებს,  
და... აღკაპონე  
თავს ისე გრძნობს,  
ვითარცა —  
ხვითო,  
მეფე, როდესაც  
სწყალობს:  
მკვლელებს,  
ყარალებს  
ქურდებს,  
ეს, — იმას ნიშნავს —  
რომ,  
ყველაზე,  
შავია თვითონ...

27. IV. 2000

### ჭკვიანი...

დასტურს დასცემენ  
იანიც,  
ჰკითხეთ მზეს, —  
მთებზე შენაფენს,  
მტრისგანაც სწავლობს  
ჭკვიანი,  
ვინ —  
მოყვრისგანაც,  
ვერაფერს...

20. IV. 2011

### ვითარ — თვალში უზის...

ისე უქრის  
აზრის ქარი,  
ვითარ —  
თვალში უზის...  
ხან, —  
თუ,  
ბუზი —  
სპილო არის,  
ხან, —  
სპილოა ბუზი...

16. IV. 2011

### ეს ცხოვრება...

ეს ცხოვრება, —  
ბენვის ხიდი...  
იქაც — ფული,  
აქაც — ფული...  
გზები:  
ვისთვის —







ჩახერგილი...  
ვისთვის —  
ჩაჭრილ-ჩაკაფული...  
ვისთვის —  
ლომი  
შიმშილის და...  
ვისთვის —  
ჩამწვად-ჩაქაფული...

12. IV. 2011

### თუ გაიღვიძა...

გაუცვდა:  
ენა,  
კბილიც და  
ლრძილიც —  
ვინც დააყენა  
ქაოსი —  
მტვრისა...  
კრიტიკას სძინავს  
სალათას  
ძილით,  
თუ გაიღვიძა,  
მერე კი —  
მტრისას...

14. III. 2011

### ეს ხომ, — მაინც, იყოფე უნდა...

არ გაგიკვირდეს  
დაგიშენენ  
თუ —  
ქვას და გუნდას,  
რად უჩხიკინებ,  
სადაც არის  
ავსული,  
იმ ნავს?..  
შე, დალოცვილო,  
ეს ხომ, —  
მაინც,  
იცოდე უნდა —  
არ გააღვიძო  
ეშმა, —  
მაშინ,  
როდესაც სძინავს...

12. VIII. 2008

### ვიყრი...

ვიცი, —  
ათასჯერ  
ათასი სიბრძნე,  
გამორჩეულად  
და... მტკიცედ —  
ერთი:  
ქვეყანას,

სადაც  
მართავენ „მე“-თი,  
არის —  
მუნჯეთი,  
ყრუეთი,  
ბრმეთი...

13. IV. 2011

### გაგრძელოდეს მინდა...

მოვიდა ჩემთან  
მზე, —  
მზის მარია,  
სულის და  
გულის  
ფრთებს ითხოვს  
მინდად...  
ვიცი, —  
სიცოცხლე  
რომ სიზმარია  
და...  
ცოტა მაინც,  
გაგრძელოდეს  
მინდა...

1. IV. 2011

### უფრო ძნელია...

თან დაგვდევს  
ეშმა, —  
ჩუმი კვილით,  
ეს, —  
ხალხის აზრი,  
ეგზომ,  
ძველია...  
ხომ, — ძნელი არის  
თვალის ტკივილი?..  
ხომ, — ძნელი არის  
ყურის ტკივილი?..  
ხომ, — ძნელი არის  
ჭკუის ტკივილი?..  
გულის ტკივილი  
უფრო ძნელია...

3. XI. 2010

### ვინც ვართ და... რაჯ ვართ?..

არც კი ვართ  
ფასი —  
ვინ იცის, —  
კამის...  
ვინ —  
გვიან ვხვდებით,  
რომ მეტობს  
ლოლოც...



გარეშე — ტახტის,  
გარეშე — სკამის,  
ვინც ვართ და  
რაც ვართ,  
ისა ვართ, —  
მხოლოდ...

10. X. 2010

### რაისთვის მოდის?..

ბევრი —  
ცხოვრების არტახებში,  
შობითვე გმინავს, —  
რამდენ:  
ჯოჯოხეთს  
და... ჯანდაბას  
აქვს, ჩვენთან, რიგი...  
რაისთვის  
მოდის? —  
აკენიდანვე,  
არ ფიქრობს  
ვინაც —  
უთქვამთ:  
ცოცხალი  
გარდაცვლილი  
არისო იგი...

26. III. 2011

### როცა — ვისწავლით...

მოგვეფინება  
გული ვარდითა, —  
ჩვენი ცა —  
მადლით  
გადაივსება,  
როცა —  
ვისწავლით:  
სხვისი დარდის და  
სხვისი ტკივილის  
გათავისებას...

14. VIII. 2011

### თავისუფლებნა?..

დრო —  
მიქარავნობს  
მიჯრით და...  
მწყობრად...  
დრო არის —  
სულთა  
ხატვის, ძიების...  
თავისუფლება  
დავარქვით  
წყობას —  
პლებების და  
პატრიციების?!

21. V. 2000

### ხან...

ხან, —  
მკოცნის ცაი, —  
ლრუბლის გედება  
ხან, —  
მკოცნის —  
მზით და  
ბროლის იერით...  
ხან, —  
გულზე,  
დარდის  
ცეცხლი მედება...  
ხან, —  
ვზი:  
ვით —  
ზევსი  
ოლიმპიელი...

23. IX. 2010

### კაჯის კაჯობის საზომი...

დრო —  
მუდამ დგება  
სიავის სხვლისი,  
რამდენჯერ ითქვა  
და... ვამბობ  
ახლაც:  
გულით ხედვა და  
სიკეთე სხვისი —  
კაცის  
კაცობის საზომი  
გახლავთ...

6. IX. 2010

### თუ, — რამ ხდებნა...

დრო არის, —  
ვისთვის:  
სიტყვა,  
საქმე,  
ან —  
კედელს ჩხირი...  
ავიც და  
კარგიც —  
ვის,  
ვისი ჰკლავს...  
ვის,  
ვისი ართობს?!..  
პატრიციათა —  
თუ, —  
რამ ხდება:  
ლხინი, თუ —  
ჭირი,  
ეს, —  
პლებების  
ტიტან ზურგზე  
გადადის მარტო...





## სომ ხდება?..

მტრად გაგიხდება —  
 ზოგჯერ, —  
 შავი,  
 მრისხანე დროცა, —  
 მზადაა —  
 ღმერთებს ნაუკიდოს  
 ცეცხლი და  
 ალხი...  
 სომ ხდება ისეც, —  
 არა — ერთხელ  
 ამ მზის ქვეშ,  
 როცა —  
 იბრძვიან  
 ხალხის წინააღმდეგ, —  
 სახელით  
 ხალხის...

2. XII. 2010

## ვინცებით... ვენთებით...

ზეობენ, —  
 ჩვენ, თუკი,  
 საყორე  
 ლოდი ვართ...  
 ალ-ქაჯებს  
 არ უყვართ  
 ცოცხალი  
 ღმერთები...  
 მოვდივართ...  
 მივდივართ...  
 მივდივართ...  
 მოვდივართ...  
 ვენთებით...  
 ვინცებით...  
 ვინცებით...  
 ვენთებით...

3. IV. 2011

## ასე მგონია...

ბევრჯერ, —  
 ვათენებ...  
 ფიქრთა მთოველი...  
 და...  
 როცა დგება —  
 ცისკენ  
 წამი სვლის,  
 ასე მგონია:  
 ლექსი, — ყოველი,  
 არის —  
 დიდგორი,  
 ანდა —  
 კრწანისი...

25. IV. 2011

## ლამის...

წინ მივაღექით, —  
 როდესაც —  
 ას კლდეს...  
 და...  
 ბუნვზე ვდგავართ:  
 ერი და  
 ბერი,  
 ეს გული —  
 ლამის,  
 განცდილით  
 გასკდეს,  
 ილიას ნიღბით  
 რომ დადის  
 ბევრი...

25. III. 2011

## მხოლოდ, — ღირსების...

მიწყვი, —  
 რომ ვიყო  
 გალუმპული  
 დარდის წვიმაში  
 და...  
 ჩემკენ ქროდნენ —  
 სასიკვდილოდ,  
 ცეცხლის ისრები,  
 თავს არ მოვიდრეკ:  
 ტახტისა და  
 სკამის წინაშე...  
 კაცურ მოვიდრეკ  
 თავს  
 წინაშე —  
 მხოლოდ,  
 ღირსების...

2. III. 2011

## არ გავსრულოდები...

არ გავსრულოდები, —  
 გიდღვნით ნათევარ —  
 მზისა და  
 მთვარის  
 ამო ბარათებს...  
 ლექსს  
 ვინ დაფარავს? —  
 ვით  
 მზის ნათებას?..  
 ლექსიდან —  
 მზისებრ  
 გამოვანათებ...

17. I. 2003



## ვენაეცვალე...

სანთლით დაგვიწყებენ  
ძებნას, მალე,  
დღეს —  
თუ იქნება, —  
ამის  
მცოდნე სამი...  
მე —  
იმ, ჯიგრით ქართველებს  
ვენაცვალე,  
რომლებიც —  
თაფლს წაისვამენ  
ცოტნესავით...

2. IX. 2010

## ძილშიც რომ გესმის...

ძილშიც რომ  
გესმის:  
კვენესა,  
კივილი —  
მუხის, —  
ნამეხარ...  
ნაჭარ...  
ნამუმლის...  
და...  
უფრო დიდი —  
დარდიც,  
ტკივილიც  
არა ყოფილა,  
ვიდრე —  
მამულის...

19. VIII. 2011

## ვარ — სამსახურზე ჯვარდანერილი...

ვინ —  
ვინ დაფასდა  
ოფლის ლალათი? —  
ეს არის:  
ფიქრის  
ჯართა წერილი...  
მაინც, —  
არ ვიცი —  
საქმის დალატი,  
ვარ —  
სამსახურზე  
ჯვარდანერილი...

15. IX. 2010

## ვინ — მოყვარეა... ვინ — მტერი...

სად — უფსკრულია  
ცხოვრების  
და...  
სად — ციცაბო  
ის სერი...  
მოყვარე გეტყვის,  
მტერი კი —  
უტეხიაო  
კისერი...

24. IX. 2010

## ვიცი...

მზემდი რომ ვნევე —  
სიბრძნის ოდას,  
არც კი არხევე  
წამწამს...  
ვიცი, —  
მალე,  
გავა დრო და...  
სინანული  
დაგწვავს...

7. V. 2011

## მლილი...

ცხოვრება არის  
გულის  
კივილი, —  
წამება...  
ჯვარცმა...  
ცდუნების ვაშლიც...  
არ გტკივა  
როცა —  
სხვისი  
ტკივილი,  
ვინც გინდა იყავ,  
მლილი ხარ  
მაშინ...

11. V. 2011

## ზევრი გვიან გაიგეშ...

ვინც ამზადებს  
ქაჯურ ქვითარს,  
ბევრი  
გვიან გაიგებს, —  
ვინც უყურებს  
ქვეყნებს,  
ვითარც —  
სათამაშო პაიკებს...

14. VIII. 2011





## რეალობის წინაშე...

ჟამი —  
 ირგვლივ,  
 ამო სურნელს  
 როდი ფანტავს იისას?...  
 რომ მოვდივართ —  
 ცეცხლისა და...  
 სისხლის,  
 ცრემლის წვიმაში...  
 უნდა ვიდგეთ —  
 უუმყარეს,  
 განა, ფანტაზიისა? —  
 დროის  
 სინამდვილისა და  
 რეალობის წინაშე...

7. VIII. 2011

## უშენოდ...

ვისთვის —  
 მტრედო და  
 ჩემთვის —  
 გუგულო,  
 უშენოდ ვკინძავ —  
 დარდის ამ ტომებს...  
 ფიქრებსლა შევრჩი —  
 მარტო,  
 უგულო,  
 რადგან...  
 მე —  
 გული  
 შენთან დავტოვე...

11. VIII. 2011

## ამაო არის საუბარი სოკრატესავით...

ანარღვნდებიან —  
 დარდისა და  
 ცრემლის რუები,  
 ფულის ისარმა  
 სათნოება  
 მოკლა მკენესავი...  
 სკამებზე როცა  
 დასხდებიან —  
 ბრმები,  
 ყრუები,  
 ამაო არის —  
 საუბარი  
 სოკრატესავით...

14. V. 2011

## ხან...

ხან, —  
 ეს ღრუბლები  
 მყვანან მე დეზად,  
 ძმად —  
 მაღლით, ზეცა, —  
 ბროლის იერით...  
 ხან, —  
 გულზე,  
 დარდის  
 ცეცხლი მედება,  
 ხან, —  
 ვზი:  
 ვით —  
 ზევსი  
 ოლიმპიელი...

23. IX. 2010

## ნათლად და სხარტად...

რომ არ გააბა:  
 ლაი-ლაი, —  
 ყაყანი ბაზრის,  
 შედეგი არ აქვს  
 გაჭიმული —  
 სიტყვების  
 სხმარტალს...  
 უნდა — მოქსოვო  
 და... მოხატო  
 სათქმელი აზრი:  
 ლაპიდარულად,  
 ლაკონურად,  
 ნათლად და  
 სხარტად...

9. XII. 2010

## აღამიანი, — ანუ, — რით არის იგი ყველაზე ახლოს ღმერთთან და... ყველაზე შორს — ეშმაკთან...

ვართ —  
 უმდიდრესნი,  
 თუ, — ჩვენ,  
 სიბრძნით  
 და... მზით  
 ვივსებით...  
 თუ, —  
 არ გავხდებით:  
 უმეცრების  
 და...  
 ეშმას ლახტი...



ადამიანი იზომება:  
მხოლოდ,  
ღირსებით...  
და, არასოდეს:  
ფულით,  
განძით,  
სკამით და  
ტახტით...

### თავისუფლება...

ბედს —  
ლექსის ბუკით  
ბევრჯერ მოვკივლე,  
ბედთან  
ვინ მართმევს  
დავის უფლებას? —  
რა ვქნა,  
ვერ ვიტან  
ოქროს ბორკილებს,  
მიყვარს —  
ჩიტივით,  
თავისუფლება...

12. IV. 2007

### რა ვქნა?..

ვითომ,  
გზას მივდეგ, —  
სავარდეს,  
ვისთვის — გზა,  
ვისთვის —  
ვა არი...  
რა ვქნა,  
რა წყალში  
ჩავარდე?..  
თუ —  
სიყვარული  
ბრმა არი?..

8. IV. 2007

### მე — სიყვარულთან დავმარცხდი, — მხოლოდ...

ლექს-პირამიდას  
დრო  
ვერ-რით მოშლის,  
მებრძოდა —  
თუმცა,  
ქაჯების ხოროც...  
გამარჯვებული  
ვარ —  
ყველა ომში...  
მე —  
სიყვარულთან  
დავმარცხდი, —  
მხოლოდ...

27. XII. 2010

### ყველას... ყველას და... ყველას...

განა —  
სუყველა სიკეთეა,  
რაიცი კი ელავს?..  
ფასი არაა —  
რაიცი ბრწყინავს, —  
ბევრი რამ,  
ჯირკის...  
სისხლში და  
ხორცში  
უნდა გვექონდეს  
გამჯდარი ყველას,  
რომ —  
უნდა იყოს:  
სახელმწიფო,  
და... არა —  
ცირკი...

1. I. 2011

### ზოგთა და... ზოგთა გამო...

რაი ვთქვა —  
საქმის,  
ქვეყნის, —  
ანინდლის?..  
მას გიმხელთ,  
რაიცი —  
ფიქრი  
მანვიმს და...  
ვინმე —  
არ უნდა ღირდეს  
მთანმინდით,  
ფასი  
მან უნდა დასდოს  
მთანმინდას...

20. XII. 2010

### სამართალი სად არი?!..

ბროლი ვარო  
მიმტკიცებს —  
მთლად,  
ნახშირის სადარი...  
და... ან:  
ვისი ბრალია,  
როცა —  
ბუზი ყვინჩილობს?!..  
თუ, —  
მტყუანი  
მართალს სჯის,  
სამართალი  
სად არი?!..  
დათვის ბელზე —  
მითხარით,  
დათვან  
როგორ ვიჩივლო?!..





## ეს ლუპავს მინცივ...

სულის მზეს —  
მინცივ,  
რამდენი კარგავს,  
უკვირს ცას, —  
მაღლა...  
უკვირს —  
ქვე, ყანას...  
„მთავარიო, —  
მე ვიყო კარგად“,  
ეს ლუპავს —  
მინცივ,  
ხალხს და...  
ქვეყანას...

10. V. 2011

## უთუოდ არის...

გონის —  
სიბრძნე და  
სისულელეც  
შედევით იგრძნეს, —  
ბრძენი მიჰყვება  
გზას — ტაძრისას,  
სულელი — ქარის...  
გენიალური:  
აზრიც,  
ფიქრიც  
ხომ ვიცით სიბრძნე?  
გენიალური:  
სისულელეც,  
უთუოდ, არის...

1. IX. 2010

## ჯილდო, — მალალოზე, უფრო მალალო...

მტვრად უქცევია  
წარსულს —  
ბევრი:  
განძიც,  
ალალიც...  
დროშებს —  
მწვერვალზე მოფრიალეს,  
უკულმა დახრის...\*  
ხომ არის ჯილდო:  
მალალო და...  
უფრო,  
მალალო?..  
მაგრამ...  
რა ჯილდო შეედრება —  
სიყვარულს  
ხალხის?..

27. XII. 2010

## ლექსი...

ლექსი ესაა, —  
ალი, — წვის,  
პირშეუკრავი იარა,  
თუ —  
სანთელივით,  
არ იწვი,  
იმ ლექსში  
არა ყრია რა...

23. IV. 2003

## სიყვარული...

სიტყვა  
მთქმელსა ჰგავს, —  
დამიმონმებს  
გორიც, ატენიც...  
წრფელი  
გულით და  
სიყვარულით  
სიტყვას უვლიან...  
ფუჭი სიტყვების  
იფანტება  
კორიანტელი,  
სიყვარული კი —  
ჯოჯობეთშიც,  
სიყვარულია...

27. XI. 2010

## ვის ეძებ?..

ერთიმეორეს, —  
სიტყვაც,  
საქმეც,  
ძნელად თუ ჰგვანან...  
ხშირად ვაძოვებ —  
ამ ქუდის ქვეშ,  
მზეფიქრთა ვერძებს...  
ადამიანში —  
თქვით,  
ვის ვეძებ? —  
ვის?..  
მეფეს განა?..  
და...  
მეფეში კი —  
ადამიანს  
ვნატრობ და...  
ვეძებ...

16. XI. 2010

## ღმერთი და... რკუსლი...

ოცდამეერთე  
ახურდავებს  
მეოცის ნაგრამს,  
ეს საუკუნეც —  
ლომის,



\*დახრილი დროშა სიმბოლოა: გლოვის, ან —  
დამარცხებისა და აღსასრულის...

დათვის  
გადის ნატორი...  
ცხოვრება —  
თითქოს,  
ცირკი გახდა:  
მდიდართა, მაგრამ...  
ლმერთი და...  
რჯული,  
მე, არა ვარ —  
გლადიატორი...

17. XII. 2010

## **მუდამ მართალი...**

მზემ  
ლამის ველი  
ცეცხლით გადახნა,  
ხან, —  
იმზირება  
ღრუბლის სათვალთ...  
თურმე, —  
ჭკვიანიც ცდება  
ხანდახან...  
სულელი არის —  
მუდამ,  
მართალი...

3. III. 2011

## **მაინჯ, — ღარჩა — გამოწანად...**

ამ ცხოვრების  
უკვირს კიტას, —  
ბრიყვმა —  
ტკბილად გამოცალა...  
ბრძენმა —  
ბევრი,  
უკირკიტა,  
მაინც, —  
ღარჩა —  
გამოცანად...

## **და... მხოლოდ — ერთხელ...**

სხიოდე უნდა —  
სადაც ხარ,  
მუნ, და...  
თუნდ,  
იყავ — მეფე,  
და...  
თუნდაც — მეთხე...  
იბადებოდე:  
ათასჯერ, — უნდა,  
კვდებოდე:

ერთხელ...  
და...  
მხოლოდ —  
ერთხელ...

26. VII. 2014

## **ასე მგონია...**

სიცოცხლე მიყვარს,  
თუ —  
მზემდი ადის,  
თუ —  
სხვისთვის,  
დარდის ცეცხლით  
ვივსები...  
მგონია:  
სხვისთვის —  
ფიქრიც და  
დარდიც,  
სანყაულია —  
ჩემი  
ღირსების...

1994

## **ძალიან როჭა...**

მტყუნ-მართლის  
გამრჩევი  
სით გვყავს? —  
რამდენი —  
კისრით ატარებს  
ცოდვას, —  
პირიდან  
ბევრი ამოდის  
სიტყვა,  
მაგრამ... გულიდან —  
ძალიან  
ცოტა...

1994

## **ღღესაჯ...**

წმინდა ილია —  
გზნებით, —  
მზაკვრულით,  
ხომ ჩვენ შევწირეთ  
აზრთა  
მზიურთა?..  
ღღესაც —  
ბევრია:  
ჯვარზე  
გაკრული,  
ხოლო,  
სიცილით კვდება  
იუდა...

1991







## იკაროს...

სიკეთეს —  
 მუდამ,  
 ავწევ აფრებად,  
 ქვეყნად,  
 ის ცოდვა  
 მინდა ვიკმარო —  
 რომ გადანყვიტე  
 მზისკენ გაფრენა  
 და... მე —  
 ვერ გითხარ:  
 „ფრთხილად,  
 იკაროს!“

1997

## ნამოჩენილი პოეტი...

ნამოჩენილი  
 პოეტი, —  
 აბუქდა  
 ქება...  
 არწივის ბუმბულს  
 დაეძებენ —  
 ბელურის ფრთაში...  
 კონფერანსიეც  
 ყალბი ცეცხლით —  
 ინთება,  
 ქრება...  
 დარბაზის კედლებს  
 მიეხატა  
 დაღვრილი ტაში...

7. II. 2011

## ხვეჭა და დიღუნა...

ვერ მოთავსდება  
 ერთ მცნებაში:  
 ხვეჭა,  
 დიდება...  
 და... ვერ იქნება  
 ეს სიტყვებიც —  
 ერთ მცნებად,  
 ერთად...  
 ან, — ღამე არის —  
 უშავესი...  
 ან, — მზე  
 ინთება,  
 მსგავსად, —  
 სხვაია:  
 შავის,  
 თეთრის  
 სიმბოლოც, —  
 ფერთა...

16. I. 2011

## სინდისი და ნამუსი...

ის იპყრობს  
 სიბრძნის  
 უმაღლეს მწვერვალს,  
 აბამს დროს, —  
 კალმით —  
 ნაჯაბნს და  
 ნამუსრს...  
 მე, თუ —  
 მკითხავენ,  
 ჭეშმარიტ მწერალს  
 ვუნოდებ:  
 ქვეყნის —  
 სინდისს და  
 ნამუსს...

30. VIII. 2010

## მჯერა და მგონია...

მინაზე დავაბამთ  
 ათასჯერ გოლიათს,  
 თუ —  
 შეიკვრება  
 პლანეტა ერთიან...  
 ხამს, —  
 გავაღვიძოთ,  
 მჯერა და  
 მგონია:  
 ადამიანში —  
 მძინარე ღმერთია...

23. XII. 2010

## ყველამ — დედა მიტირა...

ვებრძვი ტალღებს, —  
 ხმები გრგვინავს:  
 მიდი!!!..  
 მიდი!!!..  
 მიდი, რა!!!..  
 გავიყვანე  
 წყალში, ვინაც —  
 ყველამ,  
 დედა  
 მიტირა...

17. XII. 2010



## თუ, — არს რაიმე?!..

ტახტ-სკამებისთვის  
არის:  
ომი...  
ტყვიების დახლა...  
ძირს ვინც ეცემა, —  
წარკვეთილი,  
გახსოვთ: „ვაიმეც“...  
მიისწრაფვიან —  
სისხლით,  
ცრემლით:  
მაღლა და...  
მაღლა...  
და...  
ღირსებაზე,  
უფრო, მაღლა —  
თუ, —  
არს  
რაიმე?!..

11. I. 2011

## არ მწამს...

მე, —  
სიყვარულით  
გადავაქცევ —  
ათასწლად,  
ამ წამს...  
ვნეტარებ, როცა —  
თვალთა სხივი  
გულის მზეს  
ამწვავს...  
არ მჯერა მისი:  
არარაით...  
არარად...  
არ მწამს, —  
ვინც —  
სიყვარულის  
სიდიადით  
არ ასწევს  
წამწამს...

13. I. 2011

## ვერ გავგიმეტე...

ოცნებას ვდიე —  
მიწიდან,  
ცამდე, —  
რა, ცრუდ ველოდი —  
შენგან, იმედებს?!..  
შემძულეობოდი, —  
რამდენჯერ,  
ვცადე,  
სიძულვილისთვის  
ვერ გავგიმეტე...

11. VIII. 2011

## ჩემი სინდისი ჩემი ღმერთია...

*დიდი ილიას  
სენტენციის ინტერპრეტაცია*

თუნდაც, —  
იოტიო,  
შევცდე რამეში,  
ჩემი სინდისი  
ჩემი ღმერთია...  
თითქოს, —  
სულის მზეს  
ავი ღამე შლის, —  
ცეცხლი მედება  
გულზე —  
ერთიან...

6. X. 2010

## მოვლენ და... წავალ...

მინცივ ჰყავს  
მგზავრი —  
ცის ბილიკს  
სავალს:  
წავიდნენ...  
მოველ...  
მოვლენ და...  
წავალ...

18. IX. 2010

## უფრო სავაგლახო...

ზოგან — ფერი აქვს?..  
ზოგან — მიხდილი?..  
ზოგან — ძეძვია?..  
სხვაგან — ახოა?..  
სავაგლახოა? —  
ზოგის  
სიკვდილი,  
სიცოცხლე  
უფრო  
სავაგლახოა...

24. IX. 2010

## რა აღარ ხდებ?!..

რა აღარ  
ხდება —  
და... ეს,  
ნუთუ,  
შენც გჯერა  
ხალხო?! —





დაუჯერებელს  
რომ გვიმტკიცებს  
ვლასი და  
ვერა?..  
ივლისი ყინავს?..  
იანვარი —  
გაყინულს ალხობს?..  
კამეჩის რქაზე  
ბუზს ხედავენ  
და...  
კამეჩს — ვერა?!..

19. XII. 2010

### თქვით...

თქვით, —  
რას იტყვიან —  
ენძელები,  
ანდა იანი?  
ეს, —  
კურთხეულნი,  
ლამაზმანნი, —  
თვალნი განგების? —  
ზოგი —  
რომ დალევს,  
ქრება, —  
როგორც,  
ადამიანი, —  
მისგან არ რჩება:  
იოტიც კი —  
აზრის,  
გაგების...

3. XII. 2010

### ხელისუფლებას — მოდის და მიდის...

დრომ:  
ტახტ-სკამიდან,  
ცვალა, თუ —  
ყარა?..  
მძევალი მისი  
ვალის და  
მინდის...  
ხალხი დგას —  
ოდენ,  
ბურჯად და  
მყარად,  
ხელისუფლება —  
მოდის და  
მიდის...

11. IX. 2010

### დუმილი...

ენაზე —  
ზოგჯერ,  
დავიდებთ ბოქლომს,  
მაგრამ...  
გვაქვს ცოდვა, —  
განა შაურის?..  
დუმილი —  
ზოგჯერ,  
ხომ არის ოქრო?..  
ხან, —  
დუმილია  
დანაშაული...

8. VII. 2011

### წოცხლად რომ არ დაგწვას...

გული  
რომ არ  
ისერო,  
არც ნამავდე  
წამწამს,  
ქმენი საქმე  
ისე, რომ...  
ცოცხლად,  
თვით არ  
დაგწვას...

23. VI. 2011

### ანარეკლი...

დამემონმება —  
სქურჩა\* და  
სხალთაც,\*\* —  
მზეს ვხედავ  
ტოტებდამტვრეულ  
ხედა,  
ლექსებში  
როცა —  
სხვათა და  
სხვათა,  
ჩემი ლექსების  
ანარეკლს  
ვხედავ...

18. V. 2011

\*მდინარე ჩხორონყუს რაიონში, — ხობის შენაკადი.

\*\*მდინარე ხულოს რაიონში, — აჭარისწყლის შენაკადი



## ვიწნობ...

თავქარიანებს, —  
ქალებს, —  
აფრაკებს,  
ვიცნობ: ეშმაკის  
ჭიპზე ნატოლებს...  
გულს რომ მისცემენ  
სულელ აბრაგებს,  
ვიდრე —  
მზით,  
სიბრძნით  
იმპერატორებს...

## ბევრი და წოჭა...

*„ბინდის ფერია სოფელი,  
უფრო და უფრო ბინდდება“..  
ხალხური*

სოფელი  
ბინდის ფერია? —  
ბევრი ტრიალებს  
ცოდვა, —  
განათლებული  
ბევრია,  
ადამიანი —  
ცოტა...

19. V. 2011

## პოეზიის თერგი, ანუ — ავტოპორტრეტი...

რა გააოცებს —  
ბევრს... გვიან? —  
წლები,  
რაც —  
მალლა აქანდნენ...  
იტყვიან:  
თუკი —  
თერგია,  
რაად არ ქუხდა, —  
აქამდე?!..

18. XI. 2016

## სიკეთისათვის,\* — მხოლოდ და... მხოლოდ...

ძირს დაგვცემს  
სანამ —  
სიკვდილის გუნდა,  
ვიქცევით  
სანამ —  
მოფშენეტილ ლოლოდ,

სიცოცხლე —  
ყველას,  
გვინდოდეს უნდა:  
სიკეთისათვის, —  
მხოლოდ და...  
მხოლოდ...

23. XI. 2016

\*„სიკეთის, ადამიანისა და ადამიანობის ფასი რომ  
იცოდე, გაჭირვების სკოლა და გაჭირვების აკადემია  
უნდა დაამთავრო“.

ხალხური სენტენცია

## ზოგჯერ...

რა აღარ ხდება —  
ამ, — დალოცვილ,  
სოფელში, —  
წუთის?! —  
ზოგჯერ, —  
მთავარი აღარ გვახსოვს  
და... ვრჩებით  
ვალში...  
ზოგჯერ კი, —  
ზოგი,  
გვაგინწყდება  
ჩვენ,  
მხოლოდ,  
მაშინ,  
არ გვიზის, როცა —  
არსით, —  
სულში,  
გულში და  
თვალში...

22. XI. 2016

## პარლამენტი რომ არ იქცეს — ბაყაყების გუბედ...

ვერ გავიგეთ:  
სად მივდივართ?!..  
ან, —  
ვდგავართ, თუ —  
მივქრით?!..  
მონყალეზაც  
სანამ ვთხოვთ:  
სხვებს და  
ამ ცის —  
უბეს?!..  
ილიას გზას  
უნდა გავყვეთ —  
სიტყვით,  
საქმით,  
ფიქრით,  
პარლამენტი  
რომ არ იქცეს —  
ბაყაყების  
გუბედ...





## პარლამენტი...

დულს — პარლამენტი...  
თამაშია, —  
ტრიალებს  
ალხი...  
არის სიტყვები —  
ბრილიანტი,  
ზოგის კი —  
თალხი...  
საუბარია:  
ბედზე — ხალხის,  
ტკივილზე — ხალხის,  
მაგრამ...  
ცხოვრებით,  
საქმით,  
ფიქრით  
ვის ახსოვს —  
ხალხი?!..

18. XI. 2011

## მთელ პლანეტაზე ვივლი ვარდებით...

ვარ —  
პოეზიის:  
გაზაფხული და...  
მთელ პლანეტაზე —  
ვივლი ვარდებით...  
მიყვარს:  
ლექსის მზით  
გადახული ცა...  
და...  
სიყვარულის —  
მილიარდები...

28. VII. 2016

## უფალო...

მოგვხედე...  
გვიშველე, —  
რომ ვინცებთ  
გაგანსო,  
ხანდახან, —  
ეს აზრი  
მრთგუნავს და...  
მდაგავსო:  
ისე არ —  
მოგვხედო, —  
უბრძნესო  
უფალო,  
ისე არ —  
აგვავსო,  
განცხრომით  
დაგვავსო...



## ჭკვაროცა...

ეს სიტყვა  
არვის ეგონოს  
ქაცვი, —  
აზრი, რომ —  
ფხაჭნოს,  
კანროს და  
ფლითოს?..  
შვილს  
როგორ გაზრდის  
ჭკვაროცა,  
კაცი?! —  
ჭკუა აქვს ცოცა,  
როდესაც —  
თვითონ?!..

23. VII. 2016

## სირცხვილით ინვის...

მზე —  
წინაპართა,  
სირცხვილით ინვის, —  
ვიყავით — რანი...  
დავეშვიტ — რამდე?!..  
სახელი — თხლე და...  
სახელი — ბილნი:  
საშვილიშვილოდ,  
გაჰყვება — რამდენს?!..

23. VII. 2016

## ვართ მადლიერი — სიბრძნის მინდისი...

ვართ მადლიერი —  
სიბრძნის  
მინდისი,  
როცა — მზით:  
სულიც,  
გულიც ივსება,  
როცა —  
კანონი არის:  
სინდისი,  
როცა —  
კანონი არის:  
ღირსება

27. VII. 2016

## თუ...

ბედნიერება —  
სიყვარულით,  
უფალმა აგო...  
და... ჩვენ,  
სიყვარულს

ვიძენთ ვინმე —  
განა შაურად?!..  
სიყვარულისთვის  
მსურს —  
სიცოცხლით  
პასუხი ვაგო,  
თუ, —  
სიყვარული  
ჩამეთვლება —  
დანაშაულად...

9. VI. 2016

## ეტყობა — ყველას...

ხან, — გამოცდაა:  
დრო, როცა —  
ელავს,  
ქუხს...  
ჭექს... და...  
გვაკრობს:  
რისხვით,  
ტატანით...  
კარგით და...  
ავით ეტყობა:  
ყველას, —  
უფლის გზით მიდის,  
თუ, გზით —  
სატანის?..

5. VIII. 2016

## მამულზე ვფიქრობ, როცა...

ხანდახან, —  
ფიქრიც,  
დარდიც —  
გულს და  
გონებას ნამწვავს...  
და... ნამსაც,  
განა — ნამად? —  
ვთვლი საუკუნედ —  
ამ წამს...  
მამულზე ვფიქრობ,  
როცა —  
ცრემლი შეარხევს  
წამწამს,  
სიცოცხლე არ მწამს —  
უფროოდ,  
უსიყვარულოდ —  
არ მწამს...

14. VI. 2016

## სურვილი...

ყველა —  
მზესავით რომ ვიყოთ,

მინდა, —  
ვადინოთ მტვერი  
წყვდიადის ბოქლომს...  
სული რომ გვექონდეს  
ღმერთივით, —  
წმინდა,  
სიბრძნე და  
სიტყვა —  
ღნებოდეს ოქროდ...

7. V. 2016

## გვავინყებთ მთავარი...

მზე ჩასულა  
რამდენი:  
ხალხის,  
ქვეყნის... ერების...  
რომ ვივინყებთ  
მთავარს და...  
ბავშვებივით,  
ვლამაობთ...  
დღეებია დათვლილი, —  
ჩვენი  
ბედნიერების  
და...  
არ უნდა —  
გავგისხლტეს, —  
ერთი წამიც,  
ამაოდ...

4. VIII. 2016

## ჯერ, — არ ყოფილა და... არც — იქნება...

ჰკითხეთ:  
ამ ზეცას,  
ამ მზეს,  
ან — ამ მთებს, —  
ნაღღია —  
ცოტა,  
თავს, ვინც  
იმართლებს,  
ჯერ, —  
არ ყოფილა,  
რაც —  
მზე ანათებს,  
რომ გაქცეოდეს —  
ვინმე,  
სიმართლეს...

2. VIII. 2016





## მელანქოლია...

გული — სიზიფე  
ფიქრ-ლოდს  
ეზიდა,  
ბევრჯერ, —  
დავცალე სევდა, —  
ყანნივით...  
ისე ვარ,  
როგორც:  
უნყლოდ —  
თევზი და...  
უმზეოდ —  
ცა და...  
უფროოდ —  
არნივი...

10. X. 2010

## ღიაღნი და იოტნი...

სიავე, ზოგჯერ, —  
ყორანივით,  
კუნაპეტ  
ფრთას შლის,  
უსამართლობა  
ადის ტახტზე, —  
ზეიმით,  
ხოლო...  
ღიაღნი, უნინ,  
ნაკლს ეძებენ  
საკუთარ  
თავში,  
სულით იოტნი —  
მხოლოდ,  
სხვაში,  
მუდამ და...  
მხოლოდ...

3. VIII. 2016

## პარადოქსი, ანუ — ხომ ხდება?..

ხომ, ხდება?! —  
ზოგჯერ,  
ავ-კარგს, რომ  
გავცრით, —  
ადამის მოდგმა  
რაც უმზერს  
ამ მზეს,  
ზის:  
მაღალ სკამზე —  
ნამცეცა  
კაცი,  
მაღალი კაცი —  
ნამცეცა  
სკამზე...

P.S.

ცხოვრების სიბრძნით  
ვარ მთქმელი  
ამის:  
როდი ფასდება  
ღირსება —  
სკამით?..

5. VIII. 2016

## აზრი...

გზა — უფლისაკენ, —  
მარადისი,  
ჩვენ —  
აზრით ვპოვეთ,  
აზრს,  
სიბრძნეს, —  
სულის სიღიადეს  
ვერვინ ერევა...  
აზრია:  
წინსვლის  
და სიცოცხლის —  
„ანიც“ და...  
„ჰოეც“...  
აზრში დევს —  
უნინ,  
ჭეშმარიტი  
ბედნიერება...

7. VIII. 2016

## დიქტატურა...

უსამართლობით არის —  
თუა,  
ზე-რყვნა და...  
ქვე-რყვნა,  
ხალხს —  
სული სძვრება, —  
შავი დროის  
სამსალის სმაში...  
თუკი, —  
კანონის დიქტატურა  
არ არის —  
ქვეყნად,  
უკანონობის დიქტატურა  
ზეიმობს მაშინ...

8. VIII. 2016

## ისევ და...

## ისევ — პარადოქსია...

ვჯახირობთ...  
ვფაფხურობთ...  
ვფხაკუნობთ...  
ვენთებით, —  
შური და



სიავე —  
მიმოქრის  
სისინით...  
ხომ ვხედავთ?! —  
მინაზეც,  
არიან —  
ლმერთები,  
მაგრამ... აქ, —  
ჩვენ შორის,  
არ ნებავთ  
ისინი...

3. VIII. 2016

### თამაში...

ვინ —  
ხმა გაიქრო,  
ვითარცა —  
ლეშმა,  
ხან, —  
ველარ იგებ:  
მზეა, თუ —  
ნისლი?!..  
თუმც, —  
აკრიტიკებს —  
ზოგ-ზოგი,  
ეშმაკს,  
მსახური არის,  
როდესაც —  
მისი...

14. XI. 2004

### სიმართლე და სიჯრუე...

სიმართლის  
სხივით —  
სიცრუე ფერთხეს, —  
პატიოსნებას  
სიმართლე შეენის...  
სიცრუე, თუკი,  
გაგისხლტა ერთხელ,  
ასი სიმართლეც  
ალარ სწამთ შენი...

23. IX. 2016

### როჯა...

როცა უკუღმა  
დადის მორალი, —  
რაც მე მწვავს,  
შენაც  
დაგწვავს ის ალი...  
ლექსია —  
ამად,  
ნადიდგორალი...  
და...

ალბათ,  
ზოგჯერ, —  
ნაკრწანისალიც

18. V. 2011

### ჭილოფოთა ჭილოფო, — ყფიაფესი...

ჯილოფებს იღებს, —  
უუმაღლესს,  
აქ, რაოდენიც,  
მწამს —  
შესანდობარს დალევს, —  
ბევრის, —  
ლუდით ჰადესი,\*  
რომელი ჯილოფო?  
ან — რა ძეგლი?  
ან — რა ორდენი?  
ჯილოფო:  
ხალხის სიყვარული, —  
უდიადესი...

25. XII. 2004

\*(ბერძნ. მითოლოგიით) მინისქვეშა სამყაროსა და მიცვალებულთა სულების მბრძანებელი.

### მეტია, — უფრო...

დემოკრატის  
ნიღბის ქვეშ  
ჟონავს —  
დრო და...  
სიცოცხლევ  
გადის ნატორი...  
მეტია, —  
უფრო,  
დღეს, —  
მზის ქვეშ,  
მონა...  
მეტია, —  
უფრო,  
გლადიატორიც...

4. III. 2016

### სიბრძნეთა სიბრძნე...

რომ გავიხადოთ  
ეს სიბრძნე —  
ლუპად,  
მზეაზრი  
დასკვნად მოქსოვა —  
ხოჯამ:  
შაჰის შეცდომა  
ქვეყანას —  
ლუპავს,







ხოლო, მეურმის —  
თავსა და  
ოჯახს...

9. XI. 2016

### ჭეშმარიტი სიყვარული...

დრო, როცა —  
ნამდვილ სიყვარულზე  
ფიქრ-კითხვას  
აშლის, —  
აუხსნელია...  
გამოცანაც...  
ბევრისთვის... ახლაც...  
ჭეშმარიტია სიყვარული  
და... მხოლოდ,  
მაშინ,  
როდესაც —  
წყვილთა  
სულის განძის  
თანხვედრა გახლავთ...

P.S.

მზესიყვარული  
უკვდავებას —  
მზედ მიეღვევა,  
სიყვარულშია:  
ჭეშმარიტი —  
ბედნიერება...

29. III. 2016

### თქვით...

ვერ არჩევს  
ვინაც —  
ტყვიას და  
ბუმბულს,  
ცამ —  
ვისაც,  
გონის თვალი  
აუბა,  
ვერ არჩევს  
ვინაც —  
ყვავსა და  
ბულბულს,  
თქვით:  
აზრი თუ, აქვს —  
მასთან,  
საუბარს?!..

9. III. 2016

### რჩევა...

მე გირჩევ:  
ქცევის, —  
ღირსების წამალს, —  
რომ არ უგრეხდე  
სხვებს:  
ხელეებს,

კისერს,  
როგორც —  
შენ გნებავს  
მოგექცნენ, ძამა,  
შენ —  
სხვებსაც  
უნდა მოექცე  
ისე...

10. XI. 2016

### სულით ზოგანო...

თავი რომ მოაქვს  
სიკეთის  
ძრახვით, —  
სატანისა და  
ქაჯის მომგვანოს,  
სიყვარულს:  
ქვეყნის,  
ერის და  
ხალხის,  
მასხარად იგდებს —  
სულით ზოგანო...

8. XI. 2016

### სიბრძნე...

ოდიდან, —  
სიბრძნე მოსხივობს  
ერთი,  
მზე, ვითარ —  
სხივებს  
აროდეს უკლებს,  
ადამიანი  
მზეს ხედავს —  
ღმერთით,  
არა სწამს  
ვისაც —  
მკვდარია, —  
უკვე...

9. XI. 2016

### ჰერ, — არ მითქვია, რაც უნდა მეთქვა...

მინდა  
მოვასწრო:  
საღვთო,  
საზეო, —  
სანამ შეწყდება  
ამ გულის  
ფეთქვა...  
უფრო დიადი,  
უფრო სამზეო,  
ჯერ, —  
არ მითქვია,  
რაც უნდა  
მეთქვა...





2004 წელი, 31 მაისი, თელავი.  
ლიტერატურული კონკურსის: „პოეტების ახალი თაობა“, — მონაწილეთა და  
ფიურის წევრთა ერთი ჯგუფი.



1989 წელი.  
სახალხო დღესასწაული „თუშეთობა“. პირველ რიგში, მარჯვნიდან მეშვიდე — ფარნა რაინა.

1982 წელი.  
მარცხნიდან მარჯვნივ — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“  
რედაქტორი მიხეილ დავითაშვილი და ახმეტის რაიონულ  
გაზეთ „აბატრიონის“ რედაქტორი ფარნა რაინა ქვემო  
ალაზნის ზვრებში — ვენახების რესპუბლიკური  
დათვალიერებისას.





2004 წელი, 31 მაისი, თელავი.  
ლიტერატურული კონკურსის: „პოეტების ახალი თაობა“, — მონაწილეთა და  
ჯიურის წევრთა ერთი ჯგუფი.



1989 წელი.  
სახალხო დღესასწაული „თუშეთობა“. პირველ რიგში, მარჯვნიდან მეშვიდე — ფარნა რაინა.

1982 წელი.  
მარცხნიდან მარჯვნივ — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“  
რედაქტორი მიხეილ დავითაშვილი და ახმეტის რაიონულ  
გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქტორი ფარნა რაინა ქვემო  
ალაზნის ზვრებში — ვენახების რესპუბლიკური  
დათვალიერებისას.





2004 წელი, 31 მაისი, თელავი.  
ლიტერატურული კონკურსის: „პოეტების ახალი თაობა“, — მონაწილეთა და  
ჯიურის წევრთა ერთი ჯგუფი.



1989 წელი.  
სახალხო დღესასწაული „თუშეთობა“. პირველ რიგში, მარჯვნიდან მეშვიდე — ფარნა რაინა.

1982 წელი.  
მარცხნიდან მარჯვნივ — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“  
რედაქტორი მიხეილ დავითაშვილი და ახმეტის რაიონულ  
გაზეთ „ბაბტრიონის“ რედაქტორი ფარნა რაინა ქვემო  
ალაზნის ზვრებში — ვენახების რესპუბლიკური  
დათვალიერებისას.





2002 წელი.  
მარცხნიდან პირველი, ფარნა რაინა — თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



1956 წელი.  
რუსთაველ შერალთა ერთი ჯგუფი.  
მარცხნიდან, პირველი — ფარნა რაინა.  
მესამე რიგში, მეოთხე ხელმძღვანელი —  
ილია მაისურაძე.

1962 წელი, დეკემბერი.  
თანაკურსელებთან, — ისტორია-  
ფილოლოგიის V კურსის სტუდენტებთან.  
ცენტრში — ფარნა რაინა.





1965 წელი, თუშეთი.  
რაინაულების საგვარეულო სოფელი ვესტმო.  
დაბლიდან ზემოთ, მეორე რიგი, — სამსართულიანი სახლი,  
სადაც 1936 წელს დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ფარნა რაინამ.

### ზღაპარ — თუშეთი...

დრო ლხენის  
ვითარ ვრიყო?..  
ვითარ —  
იმ წელთა  
შრობა?..  
რა ღვთის წყალობა  
იყო —  
ზღაპარ — თუშეთში  
შობა...  
იქ, —  
ჩქარ ჩანჩქერთა  
ვერცხლი, —  
ძილს...რომ უფრთხოვდა

ხრამებს...  
და...  
სიყვარულის ცეცხლით  
ლექსად იწვოდა  
ლამე...  
ვფურცლავდი  
სხივთა ფოთოლთ,  
ოცნებაც  
ნეტარ ზრდილა  
და... მზის პერანგში, —  
თოთო,  
მოკისკისებდა დილა...

ფარნა რაინა

